nature of his beliefs, archaic man was closer to genuine Divine Entity and directly contemplated his God. It was Divine Greatness that caused speechlessness of pre-historic mankind.

Third quality of pre-historic religious experience, as we know, is Silence and we can understand now what it was based upon. Schelling characterizes inhabitation of pre-historic people as “dark workshop”. Full silence was its main property and revelation of Greatness of Divine Entity caused the silence of pre-historic mankind. The archaic man, so to say, saw switched off under the religious ecstatic. If we measure degree of Divine Revelation by its influence on human being, we can say that never after that God has ever appeared to human mind in such a fashion. So, speechlessness was an effect and not a cause determining all modes of life for the archaic man.

Silence stance of the archaic people, however, does not mean that they had no language. Speechlessness has nothing in common with the lack of language. People kept silence only under religious ecstasy. Schelling definitely points out that pre-historic people had language, but he says nothing more on specific qualities on those unused means of speech. Besides, when we reread the passages, where Schelling analyses the meaning of “gojim”, we find out that archaic language had to be the Jewish one. The reason for such a viewpoint is given by assumption that Jews preserved everything (including the language as we suggest) related to the archaic being and first revelation of God.

That is all we wanted to say on suggested inconsistency between Schelling’s essential and functional characterization of mythic language. Now about reasons for his inconsistency. How come, that the mythic language, by its essential character, having most penetrating potential to enclosed mythic system, did not work and fell into polytheism?

One of questions we began our analysis was: “Does Schelling give such linguistic means that provide average reader with understanding of the myths”? Another question was: “Does instruments of Schelling’s philosophy of language open up the Reality of Being in mythology”? And now we have to give the negative answer on these questions. As a matter of fact, Schelling acquainted us with such linguistic means that can not be used for right understanding of mythic stories. Such conclusion won’t be surprising if we recall that, according to Schelling, mythological language was very far from Truth even in the age myths.

References:

1. Г.В.Ф.Шеллинг, Сочинения в двух томах. Изд. «Мысль», т.1, 1987.
2. Г.В.Ф.Шеллинг, Сочинения в двух томах. Изд. «Мысль», т.2, 1989.
3. Г.В.Ф.Шеллинг, Философия искусства. Изд. «Мысль», 1966.
4. Beach, Edward A. *The Potences of the God(s): Schelling's Philosophy of Mythology*, Albany: SUNY Press 1994.
5. *Philosophie der Kunst, 1802–3, The Philosophy of Art*, Minnesota: Minnesota University Press, 1989.

მამუკა ბიჭაშვილი

შანიხი სიმბოლური ენის შესახებ

სიმბოლური ენის პრობლემებს შელინგი დიდი ხნის მანძილზე ამუშავებდა. ენის პრობლემები მნიშვნელოვანია როგორც შელინგის ეთეტიკის, ასევე, მისი მითოლოგიის ფილოსოფიისათვის. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, შელინგმა სიცოცხლეში მითოლოგიის შესახებ თავისი შეხედულებების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოაქვეყნა. ძირითადი მასალა საზოგადოებას შელინგმა ლექციების კურსის სახით გააცნო და ამ მასალამ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული თხზულებების მეტერთმეტე და მეორეთმეტე ტომები შეადგინა.

წინამდებარე სტატიის მიზანია, წარმოგვიდგინოს შელინგის თვალსაზრისი სიმბოლური ენის, როგორც იმ ჰერმენევტიკული საშუალების შესახებ, რომელიც გახსნის და უზრუნველყოფს მითოლოგიის გაგებას.

შელინგი, როგორც მითოლოგიის მკვლევარი, მკვეთრად გამოიჩინა იმავე საგნის მისი დროისა და შემდგომი პერიოდის მკვლევრებისაგან. გავრცელებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, რომელიც გვიმტკიცებს, რომ თავად მითოლოგიაში, კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების კვალდაკვალ, ხდება თანმიმდევრული გადასვლა მითოლოგიის უფრო პრიმიტიული, პოლითეისტური ფორმიდან უფრო სრულყოფილი, მონოთეისტური ფორმისაკენ, შელინგი მისეულ სქემას გვთავაზობს და მიაჩნია, რომ მონოთეიზმი მითოლოგიის ამოსავალი, ძირითადი ფორმა იყო, რომელიც, რიგი გარემოებების გამო, გადაიზარდა პოლითეიზმში და უკან, კვლავ მონოთეიზმში.

პრობლემა, თუ როგორ შეიძლება აბსოლუტურის კონკრეტულში გამოვლენა, გადაიჭრება მითოლოგიური ღმერთის იდეაში, რომელიც დამოუკიდებელ, ობიექტურ არსებობას იძენს დამოუკიდებელ სამყარომდე განვითარებაში, რომელიც, იმავდროულად, მითოლოგიურად ნოდებული პოეტური მთლიანობაა. თავის თავში დიფერენცირებული ეს პოეტური მთლიანობა ღმერთების სამყაროს გამოსახავს, რომლებიც წარმოადგენენ ზოგადისა და კერძოს შერწყმას, ანუ ღვთაებრივ ხატებს (იდეალურად) ან ღმერთებს (რეალურად). ამ თავისებურების წყალობით, ხელოვნება იძენს განკერძოებული, დახშული ხატების სახეს, რომელშიაც თითოეულში მთლიანადაა მოცემული ღვთაებრივის მთლიანი ფენომენი. ხატების თავისებურების გასაგებად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის შემეცნებითი უნარი, რომელიც მათ წარმოებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ესაა ფანტაზია, რომელიც განისაზღვრება, როგორც ინტელექტუალური ჭვრეტა. იმის გამო, რომ ღმერთები აყალიბებენ თავიანთ განსაკუთრებულ სამყაროს, ისინი ფანტაზიისაგან დამოუკიდებელ, ანუ პოეტურ არსებობას იძენენ. სხვაგვარად ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სამყაროს ჩამოყალიბებისთანავე ფანტაზიას აღარაფერი სჭირდება იმისათვის, რომ ა ყოველ საგანში რეალობა, სინამდვილე განჭვრიტოს. ასეთი განჭვრეტის სა-

იდუმლო, შელინგის მიხედვით, მითოსის პოეტურ სიმბოლოებში ძვეს, რომელთა კლასიკურ ნიმუშად შელინგს ბერძნული მითოსის ღმერთები მიაჩნდა. ზევსი, ათინა თუ აპოლონი, როგორც პოეტური სიმბოლოები, სრულიად მოკლებულნი არიან დესიგნატებს. ეს სიმბოლოები რაიმეს კი არ აღნიშნავენ, არამედ თავად არიან მითოსური ღმერთები. სექმატიზმი გამოსახვის ისეთი საშუალებაა, რომელშიაც კონკრეტული ზოგადის საშუალებით განიჭვრიტება. ამისგან განსხვავებით, ალეგორია საპირისპიროს – კონკრეტულის გავლით ზოგადის განჭვრეტას ახერხებს. ორივე ხერხის სინთეზი, როდესაც არც კონკრეტული აღნიშნავს ზოგადს და არც ზოგადი – კონკრეტულს, ანუ სადაც ორივე ერთი და იგივეა, არის სომბოლო.

მხატვრული გამოსახვის მოთხოვნა ასეთია: უნდა იყოს გამოსახვა სრული განუსხვავებლობის ნიშნით. ე.ი. უნდა იყოს კონკრეტული, რომელიც, იმავდროულად, უბრალოდ კი არ უნდა გამოსახავდეს ზოგადს, არამედ იყოს კიდეც ზოგადი. ეს მოთხოვნა მითოლოგიაში პოეტურად ხორციელდება. მითოლოგიის ყველა ხატი გაგებულნი უნდა იყოს, როგორც ის, რაც ის არის. მნიშვნელობა აქ ყოფიერებას ემთხვევა. ეს იმას ნიშნავს, რომ სომბოლოებში რეალობა და იდეალობა განუყრელ ერთიანობაშია. როგორც კი სიმბოლო გაიაზრება, როგორც მხოლოდ აღმნიშვნელ და რეალობას მოკლებულ, თუმცა მნიშვნელობის მქონე რაიმედ, მისი მნიშვნელობა მაშინვე ინგრევა. შელინგის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლო მიმართებას მოკლებული თავისთავადი არსია, მნიშვნელობა მაინც გამოანათებს მისგან.

სიმბოლოს ამგვარი განსაზღვრება საშუალებას იძლევა გავიგოთ, თუ რისი ნყალობით ენიჭება პირველდანიებით მითოსურ-პოეტურ ხატებს რეალობა. მითოლოგიური სამყარო ის პირველადი ნიადაგია, რომელზედაც ამოიზრდება ჭეშმარიტი ხელოვნება. ამ სამყაროში ხელოვნების ნაწარმოებებს ახასიათებდა მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, არანაკლები რელობა, ვიდრე ბუნების ქმნილებებს.

აქედან შეგვიძლია გადავიდეთ შელინგის მითოლოგიის ფილოსოფიაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მითოლოგია შელინგისათვის მონოთეიზმით იწყება, აქედან ის გადადის პოლითეიზმში და ბოლოს ისევ მონოთეიზმს უბრუნდება. ის, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, მითოლოგიას ვუწოდებთ, ანუ ზევსის, აპოლონის და სხვა ღვთაებათა სამყაროს, შელინგისათვის ადამიანის რელიგიური გამოცდილების მხოლოდ მეორე და, ამასთან, ხმოვანი ეტაპია. მას წინ უძღვის პირველი, ე.წ. „მდუმარე“ მონოთეისტური ეტაპი, რომლის დროსაც ადამიანი უფრო ახლო იდგა ღმერთთან და ჭეშმარიტებასთან, ვიდრე პოლითეისტური რელიგიის ეტაპზე. მაგრამ ამ პირველ ეტაპს შელინგი ახასიათებს ისეთი ტერმინებით, როგორიცაა უძრაობა, მარადიულობა და მდუმარება. ღმერთის სიდიადის განმცდელი ადამიანი ამ დროს არსებობდა სრულ მდუმარებაში და მოკლებული იყო რაიმე ენობრივ აქტივობას. ენა მოქმედებას იწყებს ისტორიის, ენების და, შესაბამისად, ხალხების შექმნასთან ერთად, რაც ბაბილონიდან დაიწყო. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ ენაზე და მის შემეცნებით აქტივობაზე, იმაზე, თუ რამდენად სოლიდურია პოეტური მითოსის სიმბოლოების ჰერმენევტიკული პოტენციალი. მაგრამ შელინგი ამ სიმბოლოების ბუნების დეტალური გადმოცემების შემდეგ აცხადებს, რომ ეს ენა შორს იდგა

ჭეშმარიტებისაგან, რადგან სამყაროს პოლითეისტურ ინტერპრეტაციას აძლევდა. აქედან, სიძნელე, რომელიც თან ახლავს შელინგის სიმბოლური ენის თეორიას, შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ხელოვნების ფილოსოფიაში შემუშავებული სიმბოლური ენის თეორია, რომელიც მონოდებული იყო გაეხსნა ჩვენთვის არქაული და მითოლოგიური სამყაროს ღვთაებრივი ბუნება, არ „მუშაობდა“ შელინგის მითოლოგიის ფილოსოფიაში, რადგან არქაული ადამიანის რელიგიური გამოცდილების ძირითადი ნიშანი მდუმარებაა, ხოლო „უფრო ენობრივი“, ბაბილონის შემდგომი პოლითეისტური ეპოქისა კი – ჭეშმარიტებისაგან შორს ყოფნა.

სიყვანიანი, ხობოხს სჯისი ანახიბი:
პლოტინი III 5

პლატონის „ნადიმის“ ეროსი, ალბათ, ამ დიალოგის დანერის დღიდან დღემდე იპყრობდა და იპყრობს, და მომავალშიც მიიპყრობს, როგორც მკითხველების (პროფესიონალებისა და დილეტანტების), ასევე, მის შესახებ ყურმოკვრით გამგონეთა ყურადღებას. მიუხედავად ამისა, ამ დიალოგზე მეტ-ნაკლებად სისტემატური კომენტარები ნაკლებად იწერებოდა, ვიდრე პლატონის ზოგიერთ სხვა დიალოგზე. ერთ-ერთი განმარტება, რომელიც მთლიანად პლატონის „ნადიმს“ მიეძღვნა, არის პლოტინის თხზულება „სიყვარულის შესახებ“. პლოტინის ეს ნაშრომი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია პლატონის ეროსის უკეთესად წარმოჩენისთვის, აგრეთვე, საკუთრივ პლოტინის ფილოსოფიაში უფრო ღრმად გარკვევისთვის, დაბოლოს, ჩვენ მიერ ჩვენივე საკუთარი თავის, შეიძლება, საკმაოდ მოულოდნელი და საინტერესო კუთხით დანახვისთვის.

ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად, გავერკვეთ პლატონის „ნადიმის“ ნეო-პლატონურ ინტერპრეტაციაში, კერძოდ, პლოტინის ნაშრომში „სიყვარულის შესახებ“ (III 5 [50]).¹ პლოტინის ყურადღების ცენტრში, ძირითადად, „ნადიმის“ ონტოლოგიური და, ნაწილობრივ, მეტაფიზიკური და ფსიქოლოგიური ასპექტებია. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიპყრობილია ეროსის, აფროდიტესა და ზევსის/კრონოსის/ურანოსის ურთიერთმიმართებებზე. მითით გამოხატულ ამ ურთიერთმიმართებათა ფილოსოფიური ინტერპრეტაცია პლოტინისგან მოითხოვს, ძირითადად, სულის (აფროდიტე) აქტივობაში (*energeia*) გარკვევას. სწორედ სულის აქტივობას განასახიერებს ეროსი (სიყვარული). სულთან ერთად, ის მიისწრაფვის სულის მამისკენ – გონებისკენ (ზევსი იქნება ეს თუ კრონოსი, დამოკიდებულია იმაზე, რა ტიპის სული და გონება იგულისხმება), და მეტიც – გონების შუამავლობითა და მეშვეობით, თავისი უპირველესი მიზეზისა და საწყისისაკენ, რომელსაც მითში ურანოსი განასახიერებს. შესაბამისად, პლოტინის გაგებით, ეროსი „სულის თვალია“, ანუ მისი აქტივობა, მოქმედება, ბერძნ. *ენერგეია*, რომლითაც სული თავისი მშობლისკენ და საწყისისკენ – გონებისკენ უკუიქცევა. ამ სწრაფვას, ბუნებრივია, განაპირობებს სულის, ერთი მხრივ, რაციონალურობა, მეორე მხრივ კი – სწორედ რაციონალურობის ნაკლებობა მისი მხრიდან. ორივე ეს თვისება სულის ბუნებრივი მახასიათებელია. ამიტომ განსაკუთრებულ ონტოლოგიურ როლს სულსა და გონებას შორის მიმართებათა „რეალიზაციაში“ თამაშობენ *პოროსი* („სიჭარბე“, „სიმდიდრე“; ის გონივრულობით დატვირთულობას განასახიერებს) და *პენია* (რაციონა-

1 მოხსენების სახით, ეს ნაშრომი, გარკვეული სახეცვლილებებით, წარმოდგენილი იყო საერთაშორისო კონფერენციაზე „ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები“, თსუ, 2015 წლის სექტემბერი. იხეჟდება მოხსენების ინგლისური ვერსია სათაურით „What does Love – the ‘Eye’ of the Soul See and not See? Plato’s Eros in Plotinus’ Interpretation“ (*Phasis*, Tbilisi 2015).

ლურობის ნაკლულობა; ეს უკანასკნელი მატერიის როლს ასრულებს). მათი ერთობა შობს სულის მოქმედებას – ენერგიას – ეროსს.

შევეცდებით, გავერკვეთ, პლოტინის ფილოსოფიის კონტექსტში, რას ხედავს და რას ვერ ხედავს ეროსი, როგორც სულის ენერგია და მისი „თვალი“ (ან რა შეუძლია და რა არ შეუძლია მას დაინახოს), ერთი მხრივ, საყოველთაო (უნივერსალური – „ზეციური“) აფროდიტეს (ანუ სულის) შემთხვევაში, ხოლო მეორე მხრივ, „ჩვეულებრივი“ (ანუ მატერიაში „ჩამოსული“) სულის შემთხვევაში (ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ როგორც სულის უფრო მაღალ საფეხურს – მსოფლიო სულს, ასევე ინდივიდუალურ სულებს). ვეცდებით აგრეთვე, გავერკვეთ, რამდენად იცვლება წყვილი – პოროსი და პენია (და, ბუნებრივია, მასთან ერთად ეროსიც, როგორც მათი „პროდუქტი“ და სულის ენერგია) – აფროდიტეს (სულის) ამ ორ სხვადასხვა დონეზე? გვინდა აგრეთვე თვალი გავადევნოთ „ნექტარის“ ფილოსოფიურ ფუნქციასაც ამ მითოონტოლოგიურ თამაშში.

ბევრი სხვა ნეოპლატონიკოსისგან განსხვავებით, პლოტინი არ წერდა სისტემატურ კომენტარებს პლატონის დიალოგებზე. ნარკვევი „სიყვარულის შესახებ“ ამ მხრივ მის შემოქმედებაში გამონაკლისია. თუმცა, სტანდარტული გაგებით (თუნდაც პროკლეს კომენტარებთან შედარებით), ვერც მას ვუნოდებთ „კომენტარს“. პლოტინის ნარკვევი „სიყვარულის შესახებ“ ორგანული სინთეზია პლატონისეული ეროსის განმარტებისა (ამ დიალოგთან დაკავშირებით წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობით) და ამავე საკითხის პლოტინისეული გაგებისა, ზოგადად, პლოტინის ონტოლოგიის კონტექსტში განხილვით. ერთი სიტყვით, ეს ენეადა კარგი ნიმუშია ფილოსოფიისადმი, ერთი მხრივ, ისტორიული და, მეორე მხრივ, თეორიული, შემოქმედებითი მიდგომის ჰარმონიისა. ამ თემას ბოლოს მივუბრუნდებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ნადიმის“ განმარტებისას პლოტინი აქცენტს აკეთებს, ძირითადად, ონტოლოგიურ საკითხებზე. ის მინიერ სიყვარულსაც ეხება და, გარკვეულწილად, მასაც დადებითად აფასებს. ასეთი გაგება გამოხატავს პლოტინის ფილოსოფიურ პოზიციას, რომლის თანახმადაც, ამქვეყნიური კოსმოსი უფრო „დაბალია“ ინტელიგიბილურ კოსმოსთან შედარებით, მაგრამ მშვენიერია და კარგი, როგორც მისი გამოვლინება. ასეთივეა, შესაბამისად, მისი დამოკიდებულება მინიერი ეროსისადმი (იმ შემთხვევაში, თუ ის „ბუნებრივია“: პლოტინი, მსგავსად მარსილიო ფიჩინოსი, რენესანსის ეპოქის უდიდესი პლატონიკოსისა და პლატონის „ნადიმის“ ასევე დიდი ინტერპრეტატორისა, ჰომოსექსუალური კავშირების წინააღმდეგი იყო).¹

ამჯერად ჩვენი ფიქრის საგანი, როგორც ვთქვით, პლატონის „ნადიმის“ პლოტინისეული ინტერპრეტაციიდან განსაკუთრებით ერთი საკითხია, კერძოდ, სი-

1 პლატონის „ნადიმის“ მარსილიო ფიჩინოსეული ინტერპრეტაციისთვის იხ. რაიმონ მარსელის შესანიშნავი გამოცემა: Marsile Ficino, *Commentaire sur le Banquet de Platon. Texte du manuscrit autographe présenté et traduit par Raymond Marcel*. Paris, “Les Belles Lettres” 1956 (გამომცემლის წინასიტყვაობა-გამოკვლევისთვის იხ. გვ. pp. 49-105). სიყვარულის პლატონური თეორიის ალეგორიულად ინტერპრეტაციისთვის იხ. Jill Kraye, *Classical Tradition in Renaissance Philosophy*. Ashgate Variorum 2002, განსაკუთრებით, მესამე თავი: The formation of Platonic love in the Italian Renaissance. უშუალოდ ფიჩინოზე იხ. იქვე, გვ. 76-81.

ყვარულის, როგორც სულის ენერჯის, მისი „თვალის“ გაგება. ამასთან დაკავშირებით, უნდა გავერკვეთ პენიას, როგორც მატერიის, და პოროსის, როგორც გონების, როლში. მაშ, შევეცადოთ, გავერკვეთ პლოტინის კომენტარში, კერძოდ, სიყვარულსა და სულს შორის მიმართებაში, ისე, როგორც ეს პლოტინს ესმის.

მოკლედ შევაჯამოთ პლოტინის ინტერპრეტაცია თავების მიხედვით (სულ გვაქვს 9 თავი), შემდეგ კი შევეცადოთ, პასუხი გავცეთ იმ კითხვებს, რომლებიც ზემოთ დავსვით. ბერძნული ტექსტის გარდა,¹ ვიყენებ ამ ენეადის ჩემს ქართულ თარგმანს², მცირეოდენი შესწორებებით, აგრეთვე, რამდენიმე ევროპულ თარგმანს და გამოკვლევას, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, ვოლტერსის მიერ ინგლისურად თარგმნილი ტექსტი, გამოკვლევა და კომენტარები.³

(1) კითხვა, რომლითაც პლოტინი იწყებს პლატონური ეროსის განმარტებას, ასეთია: „ეროსი ღმერთია, დემონი თუ რაღაც სულიერი განცდა (*pathos*), ან – ნაწილობრივ, ღმერთი და დემონი, ნაწილობრივ კი – განცდა?“⁴

პირველი თავიდან მოკლედ ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: ეროსი არის სულის განცდა („პათოსი“, აფექტი) და დემონიც (ანუ ის ჰიპოსტასიც არის, და არა მხოლოდ სულის აფექტი). მის არსებობას განაპირობებს სულთა მისწრაფება მშვენიერებისკენ.

(2) მეორე თავში განსაზღვრულია გონებას, სულსა და სიყვარულს (ეროსს) შორის მიმართებები, გარჩეულია ორი სახის აფროდიტე: ზეციური (არამატერიალური) სული და ამქვეყნიური სულები:

„მიგვაჩნია, რომ აფროდიტე ორია: ‘ზეციური’ აფროდიტე ზეციურია, ხოლო [მეორე აფროდიტე] ზევსისა და დიონეს [ასულია]; ის ამქვეყნიურ ქორწინებათა მეთვალყურეა“.⁵ ზეციური აფროდიტე უშუალოდ წარმოდგება გონებიდან და არ მონაწილეობს მატერიაში (ამიტომაც მას „უდედო“ ეწოდება). ამგვარად, ის მუდმივად და მოუნყვეტლად არის დაკავშირებული თავის მიზეზსა და შემოქმედთან – გონებასთან, ანუ კრონოსთან: აფროდიტემ „მიმართა თავისი მოქმედება მასზე, დაუკავშირდა მას, შეიყვარა და შვა ეროსი. ამიერიდან ის მას ეროსთან ერთად შესცქერის“.⁶ ამგვარად, ეროსი, როგორც პლოტინი ამბობს, „თვალთა მოსურნისა, რომელიც შეყვარებულს თავისი [ძალით] სასურველი ობიექტის ხილვას ანიჭებს“.⁷

1 ბერძნული ტექსტისთვის ძირითადად ვიყენებდი შემდეგ გამოცემას: Plotinus *Schriften*. Übersetzt von Richard Harder. Neubearbeitung mit griechischem Lesetext und Anmerkungen fortgeführt von Rudolf Beutler und Willy Theiler. Lizenzausgabe für Wissenschaftliche Buchgesellschaft. Darmstadt. Felix Meiner Verlag, Hamburg, Band V, 1960, pp. 173-100.

2 ლელა ალექსიძე, *ნეოპლატონური ფილოსოფია. პლოტინი და იამბლიქოსი*. ტექსტები, თარგმანი, განმარტებები. თბილისი, ლოგოსი, 2009. პლოტინის ენეადა III 5 - გვ. 95-124. პლოტინის ტექსტის ქართული თარგმანის მითითებისას: გვ., ალექსიძე.

3 Albert Marten Wolters, *Plotinus "On Eros": A detailed exegetical study of Enneads III, 5* (Dissertation). Amsterdam 1972.

4 Plot. III 5, 1 (გვ. 104 ალექსიძე)

5 Plot. III 5, 2 (გვ. 109 ალექსიძე).

6 Plot. III 5, 2 (გვ. 110 ალექსიძე).

7 Plot. III 5, 2 (გვ. 110 ალექსიძე).

აქვე დავუმატებთ, რომ, ზეციური აფროდიტეს შემთხვევაში, ჭვრეტის ობიექტი ინტელიგიბილური ფორმების – იდეების, ეიდოსების სფეროა.

(3) მოკლე რეზიუმე მესამე თავისთვის: ეროსი ჰიპოსტასია – ის არსება, რომელიც სულმა თავისი მოქმედებით შვა, როცა ინტენსიურად უყურებდა თავის მიზეზს როგორც „თავის პირველ სიკეთეს“.¹ „ხედვის“, „ჭვრეტის“ აქტი პლოტინის ფილოსოფიაში, საზოგადოდ, ძირითადი ელემენტია შედეგის, როგორც მიზეზის, შემდგომი ჰიპოსტასის წარმოქმნის „პროცესში“: „ჭვრეტის ინტენსივობით, [სულმა] თავისგან შვა რაღაც, რაც მისი და [მისი] ხედვის ობიექტის ღირსია. ხედვის საგანზე კონცენტრირებული მოქმედებიდან და იქიდან, რაც თითქოსდა ხედვის ობიექტიდან გამოედინა, იშვა ეროსი: სავსე თვალი, რომელსაც ხედვა თითქოსდა [იმ] გამოსახულებასთან ერთად გააჩნია, [რომელიც საგნის დანახვის შედეგად მიიღება]. [ეროსის] სახელიც აქედან წარმოდგება, იმიტომ, რომ [მას] ჰიპოსტასი ხედვიდან გააჩნია“.²

პლოტინის თანახმად, არა მხოლოდ ზეციურ-ღვთაებრივ სულს ჰყავს თავისი ეროსი, არამედ კოსმიურ სულს და ინდივიდუალურ სულებსაც თავ-თავისი ეროსები ჰყავთ. ეროსთა ეს უკანასკნელი სახეობა ამ სამყაროშია გაჩენილი და სხეულებრივ სიყვარულშია ჩართული.³ ამგვარად, ეროსის სახეობა იმით განისაზღვრება, თუ რომელი სახის სულს მიეკუთვნება ის.

(4) მოკლე დასკვნა მეოთხე თავისთვის: ღვთაებრივი სულისა და მისი ეროსის გარდა, არის მსოფლიო სული თავისი ეროსით, და არიან ინდივიდუალური სულებიც, რომლებსაც მათი შესაბამისი ეროსები ახლავთ. ისინი დემონთა სახეობას მიეკუთვნებიან (ანუ ღმერთები არ არიან). სულისა და დემონების ამ ორ ძირითად სახეობას შორის მიმართებას პლოტინი ასე გამოხატავს:

„საყოველთაო [სულს] ჰყავს საყოველთაო [ეროსი]. ხოლო ნაწილებითი სულეზიდან თითოეულს – თავ-თავისი. ხოლო რამდენადაც ცალკეული [სული] საყოველთაო [სულისგან] გამიჯნული კი არ არის, არამედ გარემოცულია [მისგან] ისე, რომ ყველა [სული] ერთ [საყოველთაო სულს წარმოადგენს], ასეთივე მიმართებაშია თითოეული ეროსი საყოველთაო [ეროსთან]“.⁴

(5) ძალიან მოკლე დასკვნა მეხუთე თავისთვის: ამქვეყნიური ეროსი დემონია. ის, თუმცა ამ სამყაროსია, მაინც, ისევე, როგორც სხვა დემონები, კოსმოსი არ არის.⁵

(6) მეექვსე თავში პლოტინი განმარტავს განსხვავებებს ღმერთებსა და დემონებს შორის: ღმერთები თავისუფალი არიან აფექტებისგან (განცდებისგან, ვნებებისგან), „ხოლო დემონებს განცდას მივანეროთ; ისინი ღმერთების შემდგომ მარადიულებად მიგვაჩნია, თუმცა [ეს მარადიულობა მხოლოდ] ჩვენ მიმართ ნიშნავს მარადიულობას; მიგვაჩნია, რომ ისინი შუაში, ღმერთებსა და ჩვენს გვარს შორის

1 Plot. III 5, 3 (გვ. 110 ალექსიძე).

2 Plot. III 5, 3 (გვ. 110-111 ალექსიძე). იხ. აგრეთვე Raoul Mortley, *Plotinus, Self and the World*. Cambridge, Cambridge University Press 2013, p. 6-11, 55-67.

3 Plot. III 5, 3.

4 Plot. III 5, 4 (გვ. 112 ალექსიძე).

5 Plot. III 5, 5.

არიან“.¹ წმინდა სულის ეროსი, პლოტინის აზრით, ღმერთია, ხოლო გრძნობადი სამყაროს სულთა ეროსებს დემონები უნდა ვუნოდოთ. გარდა ამისა, პლოტინი გამოთქვამს ვარაუდს: თუ დავუშვებთ, რომ ინტელიგიბილურ კოსმოსში (ანუ იდეათა სამყაროში) არის „თვით-დემონი (ანუ დემონის იდეა – ლ.ა.), ისიც, თავის მხრივ, ღმერთი იქნება“.²

ამ თავში, პლოტინის ონტოლოგიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა მისი ის თეზისი, რომელიც ეხება გონით (ინტელიგიბილურ) მატერიას, როგორც შუამავალ საფეხურს წმინდა უსხეულობასა და შეგრძნებით აღსაქმელ საგანს შორის. ეს თეზისი გვეხმარება, უკეთესად გავერკვეთ ეროსების სხვადასხვა დონეთა შორის მიმართებაშიც: „რაც წმინდაა, მაშინვე არ ერევა სხეულს. თუმცა, ბევრი ფიქრობს, რომ დემონის არსება – რამდენადაც ის დემონია – [გულისხმობს] რაიმე სხეულთან კავშირს, [იქნება ეს სხეული] ჰაერი თუ ცეცხლი. მაგრამ რატომ ერევა ეს არსება ერთ შემთხვევაში სხეულს, სხვა შემთხვევაში კი არა, თუკი შერევის რაიმე მიზეზი არ არის? და რა არის ეს მიზეზი? უნდა დავუშვათ გონითი მატერია, რათა მასთან ურთიერთობაში მყოფი [არსება] მისი მეშვეობით აქაურ, სხეულთა [მატერიალურ] ჩამოვიდეს“.³

როგორც ვოლტერსი ვარაუდობს, გონითი მატერია პლოტინთან, ამ შემთხვევაში, სულის განუსაზღვრელობაა (*aoristia*). შემდგომი თავიდან ეს უფრო ნათელი გახდება.

(7) მეშვიდე თავში პლოტინი განმარტავს „ნექტარის“ ფილოსოფიურ ფუნქციას. მისი ინტერპრეტაციით, პლატონის ნათქვამი, რომლის თანახმადაც, ეროსის დაბადებისას პოროსი მთვრალია ნექტარით, რადგან „ღვინო ჯერ არ არსებობდა“,⁴ მიანიშნებს, რომ „ეროსი გრძნობად [სამყარომდე] ადრე გაჩნდა, პენიაა. გონით ბუნებას იყო ნაზიარები [...]. ის იქ [გონით სფეროში] გაჩნდა, როგორც ფორმისა და განუსაზღვრელობის ნაზავი; ეს უკანასკნელი სულს ახასიათებს, სანამ სიკეთეს მიაღწევს; [ამ დროს სული თითქოს] მარჩიელობს, როცა განუსაზღვრელი და უსაზღვრო წარმოსახვით ეროსის ჰიპოსტასს შობს“.⁵ შესაბამისად, ეროსი მუდამ უქონელია და რაღაც სჭირდება, „ის არც სრულყოფილია და არც კმარი – ის ნაკლულია, რადგან განუსაზღვრელი მისწრაფებიდან და კმარი ლოგოსიდან [გონივრულობიდან] წარმოიქმნა“.⁶ ამგვარად, ეროსი თავისი ბუნებით, ნაკლულია, უკმარია (*aporos*): „მიზანს რომც მიაღწიოს, ის მაინც უქონელი იქნება. მას არ ძალუძს აივსოს, რადგან ნაზავს ეს არ შეუძლია. [...] გინდაც წამიერად აივსოს, ეს დიდხანს ვერ გასტანს“.⁷

ახლა, თუ დავუბრუნდებით შეკითხვას, რომელიც დასაწყისში დავსვით: რას ხედვას ან ვერ ხედავს ეროსი? – შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროსი ხედავს ინტელიგიბილურ ფორმებს, ეიდოსებს, მაგრამ, ამავე დროს, ეს ხედვა არ არის სრულყოფილი

1 Plot. III 5, 6 (გვ. 115 ალექსიძე).

2 Plot. III 5, 6 (გვ. 116 ალექსიძე).

3 Plot. III 5, 6 (გვ. 117 ალექსიძე).

4 Plat. *Symp.* 203 b 5-6.

5 Plot. III 5, 7 (გვ. 117 ალექსიძე).

6 Plot. III 5, 7 (გვ. 118 ალექსიძე).

7 Plot. III 5, 7 (გვ. 117 ალექსიძე).

და დამაკმაყოფილებელი, რაც მას კვლავ და კვლავ უბიძგებს, სულ უფრო მეტად ჭვრიტოს თავისი ხედვის საგანი. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ეროსი ხედავს და ვერ ხედავს ერთსა და იმავე ობიექტებს. ხოლო მათი ხელახლა ხედვის დაუოკებელი სურვილი განპირობებულია სულის განუსაზღვრელი და უსასრულო მისწრაფებით.

(8) მოკლე დასკვნა მერვე თავისთვის: პლოტინის განმარტებით, პოროსი, რომელიც, პლატონის თანახმად, ზევსის ბაღში შემოვიდა,¹ ყველაფრის ლოგოსია. თავად ზევსი – მამრობითი სანყისი – გონებაა, ხოლო აფროდიტე – მდედრობითი სანყისი – სულია. მათ შორის ონტოლოგიურ კავშირს პლოტინი უფრო დანვრილებით შემდეგ თავში ეხება.

(9) მეცხრე თავში პლოტინი იძლევა ეროსის შესახებ მითის საბოლოო და დეტალურ ფილოსოფიურ განმარტებას. ის კომენტარს აკეთებს მითის თითქმის ყველა მონაწილის ონტოლოგიურ როლზე. ამგვარად, პლოტინის თანახმად, პოროსი – გონიერულობა – განასახიერებს ფორმათა ერთობლიობას გონით სამყაროსა და უმაღლეს გონებაში: რაციონალური აზრები (*logoi*) ერთობლიობაში შეადგენენ პოროსს.² ნათქვამი, რომ „პოროსი მთვრალია ნექტარით“ იმას ნიშნავს, რომ პოროსი გარედან ივსება, როცა აზრი/გონიერება ზენა ჰიპოსტასიდან (გონებიდან) ქვედაში (სულში) ჩამოდის.³ სხვაგვარად არის საქმე თავად გონების შემთხვევაში: მას, მისი თვითკმარობის გამო, დათრობა არ სჭირდება, რადგან „გონებაში რაც არსებობს, [მასშია] ჩათესილი და სხვა რაიმედან [ანუ გარედან] არ შემოდის“.⁴

რაც შეეხება სულისა და გონების მიმართებას, პლოტინი მას შემდეგნაირად განმარტავს: სული, გონებასთან თანამყოფი, მისგან გამოდის და შემდგომ კვლავ აზრებით, რაციონალურობით („ლოგოსებით“) ივსება.⁵ ხოლო ეროსს რაც შეეხება, ის სულის მუდმივი თანმხლებია: „ასე, აუცილებლობით, [ეროსი] მუდამ წარმოდგება სულის მისწრაფებიდან, რომელიც უმჯობესი და კეთილი [პრინციპებისკენ] არის მიმართული; ეროსი, ისევე როგორც სული, ხომ მუდამ იყო“.⁶ პოროსისა და პენიას ერთობა – ფლობა და ლოგოსთა ხსოვნა, შერწყმული მათსავე ნაკლებობასთან – წარმოქმნის სულის მოქმედებას („ენერგიას“), მიმართულს სიკეთეზე, და სწორედ ეს არის ეროსი.⁷ პენია მატერიაა, „იმიტომ, რომ მატერიას ყველა [საგანი] სჭირდება, და [იმიტომაც], რომ სიკეთისკენ ლტოლვის განუსაზღვრელობა (რადგან იმაში, რაც მიილტვის, რაიმე სახოვანება ან ლოგოსი არ არის) მით უფრო მატერიალურს ხდის ლტოლვაში იმას, რაც მიილტვის“.⁸ შემდეგ პლოტინი მოკლედ და საინტერესოდ განმარტავს თავის თეორიას ფორმიდან მატერიის წარმოქმნის შესახებ: ის, რაც საკუთარ თავში არსებობს – ფორმაა, „ხოლო ის, რაც მისაღებად მიილტვის, [თავისი] მომავალი მიმღებლობით, მატერიას განუმზადებს მოახლოებულ [არსს]“.⁹

1 Plat. *Symp.* 203 b 5-6.

2 Plot. III 5, 9.

3 Plot. III 5, 9.

4 Plat. III 5, 9 (გვ. 121 ალექსიძე).

5 Plot. III 5, 9.

6 Plot. III 5, 9 (გვ. 123 ალექსიძე).

7 Plot. III 5, 9.

8 Plot. III 5, 9 (გვ. 123-124 ალექსიძე).

9 Plot. III 5, 9 (გვ. 124 ალექსიძე).

ამავე თავში პლოტინი მსჯელობს იმ მსგავსებებსა და განსხვავებებზე, რომლებიც მითოლოგიურ და ფილოსოფიურ დისკურსებს ახასიათებს. ის ჯერ განსხვავებებს აღნიშნავს: „აუცილებელია, რომ მითებში – რამდენადაც ისინი მითებია – დროში იყოს დანაწევრებული ის, რასაც ისინი მოგვითხრობენ, და ერთმანეთისგან იყოს გამიჯნული ერთად მყოფი, თუმცა ერთმანეთისგან რიგით ან ძალით განსხვავებული მრავალი არსი“.¹ ამის შემდეგ კი პლოტინი ყურადღებას მიიპყრობს იმ მსგავსებას, რომელიც მითოლოგიურ და ფილოსოფიურ მსჯელობას ახასიათებს: „მეცნიერული მსჯელობებიც (*logoi*) ხომ იმ წარმოქმნაზე მოგვითხრობენ, რაც წარმოქმნილი არ არის; რაც ერთად არის, იმას მიჯნავენ და, შესაბამისად, გვასწავლიან, გონებით [კვლავ] როგორ შევკრიბოთ [დანაწევრებული]“.² საზოგადოდ, პლოტინის თეორია მითოლოგიურ და ფილოსოფიურ დისკურსებს შორის მიმართებაზე საინტერესო რამ არის: ონტოლოგიური თვალსაზრისით, პლოტინი აღნიშნავს მითოლოგიური დისკურსის შეზღუდულ ხასიათს, თუმცა მან ისიც იცის, რომ ფილოსოფიური დისკურსიც, როგორც დისკურსი და რაციონალური – დისკურსიული მსჯელობა – ვერასდროს იქნება აბსოლუტურად სრულყოფილი ფორმა ონტოლოგიური სინამდვილის მთელი სირთულისა და ერთიანობის გამოსახატავად.

ახლა, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შევეცადოთ, პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვას: მაინც რას ხედავს და რას ვერ ხედავს ეროსი – სიყვარული, რომელიც, პლოტინის ფილოსოფიური ინტერპრეტაციით, სულის (აფროდიტეს) მოქმედებას, ენერგიას განასახიერებს და მის „თვალად“ არის წოდებული?

პლოტინის მოცემული ტექსტიდან და, ზოგადად, მისი ონტოლოგიიდან გამომდინარე, ამ კითხვას ასე შეიძლება ვუპასუხოთ: ეროსი, როგორც სულის ენერგია, მისი თვალი, მიმართულია სულის „წარმოქმნელისკენ“ – „მამისკენ“ – გონებისკენ (მას განასახიერებენ ზევსი და კრონოსი, იმისდა მიხედვით, გონების რა ტიპი იგულისხმება). მისწრაფებას ის განაპირობებს, რომ სული შემდგომი ჰიპოსტასია გონებასთან შედარებით. გონისმიერი განსაზღვრულობის სიჭარბე და სიმდიდრე ჰიპოსტასად – სულად – ფორმდება, რომელიც თავისი მიზეზისკენ – გონებისკენ მიისწრაფვის, რადგან მას, როგორც შემდგომ ჰიპოსტასს, გონების განსაზღვრულობა აკლია, რომელიც მან გარედან ლოგოსების, რაციონალობის სახით უნდა მიიღოს. სულის ეს სწრაფვა მისი მოქმედება, ენერგიაა, და სწორედ ეს არის სიყვარული – ეროსი. სულთან ერთად, ეროსი ჭვრეტს, ხედავს ეიდოსებს, მაგრამ მას აკლია ის სრულყოფილება, რომელიც მათთან სრულ იდენტობას განაპირობებდა. ამიტომ, ზეციური (უსხეულო, არამატერიალური) სულის შემთხვევაშიც კი, ეს ხედვა სრულყოფილი და დასრულებული არ არის; ის არასდროს არის დაკმაყოფილებული და მუდამ ახალ ხედვას მოითხოვს. შესაბამისად, ზეციური აფროდიტეს შემთხვევაში, აფროდიტე წმინდა სულია, სრულიად თავისუფალი სხეულებისგან. ეროსი მისი შესაბამისია: ის განასახიერებს მისწრაფებას იდეალური, გონითი მშვენიერებისკენ (ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, პლატონის ეიდოსებისკენ), ანუ ჭეშმარიტი ფორმებისკენ. ის მათ ხედავს, მათი ჭვრეტით ივსება, მაგრამ ვინაიდან ხედვის ობი-

1 Plot. III 5, 9 (გვ. 122 ალექსიძე).

2 Plot. III 5, 9 (გვ. 123 ალექსიძე).

ექტს გარედან იღებს, ვერ კმაყოფილდება და ისევ ჭჭრეტა სურს. ამდენად, ეროსი ხედავს იდეებს, მაგრამ ეს ხედვა არ არის სრულყოფილი, რადგან საკუთარი თავის გარეთ მყოფ ობიექტზეა მიმართული. ამიტომ ეროსი მარად დაუოკებელია. როგორც უკვე ვთქვით, ზეციური სულის შემთხვევაში, ეროსის ჭჭრეტის საგანი ინტელიგიბილური ფორმებია, ხოლო სულის სწრაფვის განუსაზღვრელობა არის გონითი მატერია, რომელსაც მითში პენია განსახიერებს.

ახლა შევეცადოთ განვსაზღვროთ, რას ხედავს ან ვერ ხედავს იმ სულის ეროსი, რომელიც, ამა თუ იმ სახით, მატერიაა ზიარებული. აქ ჩვენ, სულ ცოტა, სულის ორი დონე და, შესაბამისად, ორი სახის ეროსი უნდა განვასხვავოთ: (1) მსოფლიო სულის ეროსი; (2) ინდივიდუალური სულების ეროსები. ორივე შემთხვევაში აფროდიტე, ეროსთან ერთად, მისწრაფვის იმ ფორმებისკენ/იდეებისკენ/ვიდოსებისკენ, რომლებიც განსხეულებულია – სხეულშია მოცემული. ეს ნიშნავს, რომ სულის მისწრაფების საგანი და მისი მოქმედების (სიყვარულის – ეროსის) მიზანია არა წმინდა ინტელიგიბილური ფორმები, როგორც ეს ზეციური აფროდიტეს შემთხვევაში იყო, არამედ – მატერიაში მოცემული ფორმები (ანუ იდეათა ანარეკლები). თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს (და პლოტინიც ამას სულ გვახსენებს), რომ მისწრაფების საგანი მუდამ არის სიკეთე.

პლოტინი არ არჩევს დეტალურად განსხვავებებს ხედვის თავისებურებებსა თუ ჭჭრეტის ობიექტებს შორის, რომლებიც ახასიათებს ეროსს, ერთი მხრივ, მსოფლიო სულის შემთხვევაში და, მეორე მხრივ, ინდივიდუალური სულის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში ეროსი ხედავს ფორმების/იდეების მთელ კომპლექსს, რომელიც მაკროკოსმოსში ერთიანობაშია მოცემული და მსოფლიო სხეულს განსაზღვრავს; ხოლო რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქ ინდივიდუალური სული ჭჭრეტს რომელიმე უფრო კერძო იდეას გარკვეულ სხეულში/მატერიაში. ზოგადად, პლატონის ონტოლოგიის საფუძველზე, მისი სხვა ნაშრომების გათვალისწინებითაც, ვფიქრობ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდივიდუალური სულის აქტივობაზე (ანუ მის ენერგიაზე – ეროსზე) დამოკიდებულია ის, თუ რამდენად ფართოდ და ღრმად შეძლებს ის, ერთი მხრივ, მატერიაში განსხეულებული ინდივიდუალური ფორმების მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის დანახვას, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად ექნება უნარი (იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს, საერთოდ, ადამიანს ძალუძს), განჭვრიტოს ინტელიგიბილური ფორმები მათი სხეულბრივი გამოხატულების მიღმა.

ახლა შევეცადოთ, პასუხი გავცეთ უკანასკნელ კითხვას, რომელიც, ვფიქრობ, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაეზადოს მას მერე, რაც ის პლოტინის ამ ნაშრომს წაიკითხავს: რითაა პლოტინის ინტერპრეტაცია ჩვენთვის საინტერესო?

ვფიქრობ, პლოტინის ინტერპრეტაცია გვაჩვენებს კავშირს, ერთი მხრივ, ფილოსოფიისა და სინამდვილის იმ სფეროს, რომელიც, ერთი შეხედვით, აბსტრაქტულ ონტოლოგიად და მეტაფიზიკად გამოიყურება, და, მეორე მხრივ, ჩვენს ადამიანურ და პიროვნულ ფსიქოლოგიას შორის. პლოტინის განმარტება ხელს გვიწყობს, შევიგრძნოთ და გავიგოთ, რომ სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, ჰარმონიული

ერთიანობაა, რომლის ლეგიტიმური წევრებიც თავად ვართ. მეტიც: ის გვიბიძგებს, გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი სულიერი შესაძლებლობები უკიდურესად ღრმაა და თითქმის უსაზღვროც, და რომ ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად შევძლებთ ჩვენი ბუნებრივი სულიერი და ინტელექტუალური ძალისა და ჩვენი სულიერი ენერჯის – ანუ ჩვენი საკუთარი ეროსის – ამოქმედებას. მოკლედ, პლოტინი გვეხმარება ჩვენი შინაგანი თავისუფლების გაცნობიერებაში და ჩვენი ნამდვილი მე-ს უკეთესად გაგებაში.

სულ ბოლოს, მინდა ყურადღება მივაქციო ერთ თავისებურებას, რომელიც დასაწყისშიც ვახსენე. ჩემი აზრით, ის ძალიან მნიშვნელოვანია ფილოსოფიური ტექსტთან თანამედროვე სამეცნიერო მიდგომისთვისაც. ვგულისხმობ შემდეგს: პლოტინის მიერ პლატონის „ნადიმის“ განმარტებაში პლოტინი გვევლინება, როგორც ფილოსოფიის ისტორიკოსიც: ის ცდილობს, შინაარსობრივად ადეკვატურად წაიკითხოს პლატონის ტექსტი. ამავე დროს, ჩვენ ვხედავთ, რომ პლოტინის განმარტება თავისთავად წმინდა თეორიულ-ფილოსოფიურიც არის, და ეს ორი რამე – ფილოსოფიის ისტორია და ფილოსოფია, როგორც თეორია, მის განმარტებაში ორგანულად არის შერწყმული, თან – შერევის გარეშე. ჩემი აზრით, პლოტინის განმარტება არის ნიმუში (მე ვიტყვოდი, მასტერ-კლასი) იმისა, რომ ფილოსოფიური ტექსტის კვლევა ფილოსოფიის ისტორიკოსის პოზიციიდან განუყოფელია ფილოსოფიისგან, როგორც თეორიისგან. მეტიც: როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ვფიქრობ, რაც უფრო მეტად ვცდილობთ, ადეკვატურად განვმარტოთ ძველი ფილოსოფიური ტექსტი, მით უფრო ვრცელი და ღრმა ფილოსოფიური თეორიის სფეროში ვექცევით. ამ მხრივ, პლოტინის მიდგომა, ვფიქრობ, სანიმუშო გზამკვლევი და სტიმულის მომცემია არა მხოლოდ მეტ-ნაკლებად მისი რანგის ფილოსოფოსებისთვის, არამედ ფილოსოფიის ისტორიის ჩვეულებრივი მკვლევრებისთვისაც.

ლიტერატურა:

წყაროები და თარგმანები გამოკვლევებით:

1. ლელა ალექსიძე, *ნეოპლატონური ფილოსოფია. პლოტინი და იამბლიქოსი*. ტექსტები, თარგმანი, განმარტებები. თბილისი, ლოგოსი, 2009.
2. Marsile Ficine, *Commentaire sur le Banquet de Platon*. Texte du manuscrit autographe présenté et traduit par Raymond Marcel. Paris, “Les Belles Lettres” 1956.
3. Plotins *Schriften*. Übersetzt von Richard Harder. Neubearbeitung mit griechischem Lesetext und Anmerkungen fortgeführt von Rudolf Beutler und Willy Theiler. Lizenzausgabe für Wissenschaftliche Buchgesellschaft. Darmstadt. Felix Meiner Verlag, Hamburg, Band V, 1960.
4. Albert Marten Wolters, *Plotinus “On Eros”. A detailed exegetical study of Enneads III, 5* (Dissertation). Amsterdam 1972.

მეორეული ლიტერატურა:

1. Jill Kraye, *Classical Tradition in Renaissance Philosophy*. Ashgate Variorum 2002
2. Raoul Mortley, *Plotinus, Self and the World*. Cambridge, Cambridge University Press 2013, p. 6-11, 55-67

LELA ALEXIDZE

Love as Soul's Activity: Plotinus III 5

Summary

The aim of this paper is to analyze the neoplatonic interpretation of Plato's *Symposium* as it is exposed in Plotinus' treatise *On Love* (III 5 [50]). Plotinus focuses his attention mainly on the ontological and, partially, on the metaphysical and psychological aspects of Plato's *Symposium*. He is interested in the interrelationship between Eros, Aphrodite and Zeus/ Kronos /Uranos. The task of philosophical interpretation of this relationship, expressed in a form of the myth, requires from Plotinus the analysis of the concept of Soul's activity (*energeia*), personified in myth by Eros (Love). Then Eros (Love), together with Aphrodite (Soul), strives toward the father of Soul that means, toward Zeus/Kronos (Intellect; depends on that what kind of Soul is discussed), and, even more, by means of Intellect, toward the supreme universal cause, personified in myth by Uranos. Therefore, in Plotinus' interpretation, Eros is "the eye of Soul", that means, her activity, by means of which she strives toward her origin, parent and cause - Intellect. The desire of Soul to go back or to ascend to her principle is caused by Soul's rationality, on the one hand, and by the lack of rationality, by its incompleteness on the other. Both of them - the rationality and its incompleteness as well - are characteristics of Soul. Hence, Poros (possession, richness of rationality) and Penia (poverty, privation of rationality) play key roles in the "realization" of the interrelationship between Soul and Intellect. The result/product of the unity of the two abovementioned principles - Poros and Penia - is Eros - the activity of Soul. In the same treatise, Plotinus discusses differences and similarities between mythical and philosophical discourses. From the ontological point of view, Plotinus acknowledges the restrict character of mythological discourse, though he knows that philosophical discourse as discourse is not an absolutely perfect form for expressing the whole complexity and unity of ontological reality either.

Our purpose is to understand, in the context of Plotinus' philosophy, what Eros as the "eye" and activity of Soul can see or not see in the case of the heavenly Aphrodite (Soul), on the one hand, and in the case of the "ordinary" Aphrodite (world-Soul and individual human Souls too), on the other. Moreover, we analyze, at what extend two kinds of the pair: Poros

and Penia (and, correspondingly, two kinds of Soul's activity that means, two types of Eros) are different from each other on two abovementioned "levels" of Soul/Aphrodite.

On the base of Plotinus' treatise *On Love* and taking into consideration generally his philosophy, we can answer the above mentioned questions in the following way: Eros is, as Soul's activity and her "eye", directed toward Soul's cause and "father" - Intellect (he is personified by Zeus or Kronos, depending on that, ontologically which level of Intellect is discussed). Soul's desire is caused by the fact that she is the "lower" hypostasis than Intellect. The richness of Forms in Intellect becomes existent as hypostasis, and this is Soul. Soul strives toward her cause, parent and origin - Intellect, because she, as the lower hypostasis, has lack of intelligence, which she should receive from outside as Reasons (*logoi*). This desire of Soul is her activity (*energeia*) - Eros. Together with Soul, it looks at and sees the intelligible Forms, though even in the case of very attentive and intensive gazing, this kind of seeing cannot be perfect because the object of seeing is "outside" of the seer. This explains why even in the case of the heavenly (immaterial, bodiless) Soul this type of seeing cannot be ever satisfied but is necessarily everlasting, requiring the desire of seeing again and again. Therefore, we can assume that in the case of heavenly Aphrodite (divine, pure Soul), Eros looks at and sees the intelligible Forms though, at the same time, it is not able to see them satisfyingly, for it cannot ever gain the absolutely perfect union with the objects seen. That's why it desires again and again to see them. In the case of heavenly Soul, the objects of seeing are intelligible Forms, and the indefiniteness of Soul's desire is intelligible matter, personified in myth by Penia. As for Aphrodite which is descended in the realm of matter, here we must distinguish at least two levels of Soul and, correspondingly, Eros: (1) Eros of the world-Soul; (2) Eros of an individual Soul. In both cases, Aphrodite, together with Eros, strives toward the Forms, which are incorporated. This means that the object of Soul's desire and the aim of her activity (Love) are not pure intelligible Forms, as it was in case of heavenly Aphrodite but forms-in-matter, though in all cases, we should remember this and Plotinus reminds it to us constantly - it is good that is desired.

Plotinus does not discuss in details the differences between the modes and objects of seeing in the case of (1) world-Soul and (2) individual Souls. However, it is clear that in the first case, Eros sees the complex of all Forms existing in unity in macrocosm and constituting world-Body, while in the second case, Eros of an individual Soul looks at a particular form-in-matter. On the basis of Plotinus' ontology, taking into consideration his other works too, I suppose, we can say that it depends on individual Soul's activity (that means, on her *energeia* - Eros), how far she can go, on the one hand, in seeing and grasping the plurality and richness of individual forms-in-matter, and, on the other, in her ability of seeing, as far as this is possible to a human being, intelligible Forms through their corporeal images. More perfect is Soul, more universally she can see, that means she can potentially see much more in the object of her desire than the form-in-matter offers to her gaze from the first sight. Thus, we may conclude that in the case of a Soul which participates in sensible (not intelligible) matter, Eros sees Forms (ideas) incorporated in matter. Moreover, in the case of individual Souls, Eros sees not all complexity of forms-in-matter but a part of it. That means, it does not see the whole realm

of intelligible Forms not only in their pure intelligible condition but in their corporeal state too. However, as even our individual Soul *always* possesses, as Plotinus believes, something divine in herself, this is the reason, why it is up to the Soul (that means, ourselves), to be able or not be able to view behind the sensibly seen objects the variety and richness of intelligible Forms. Thus, we may say that the process of seeing and not seeing, and seeing again and again, and so on, is a dynamic eternal process which constitutes Soul's substance. The dialectic of power (*dynamis*) and activity (*energeia*) plays a key role in the realization of this kind of intellectual ('theoretical') life of Soul's substance (*ousia*). Therefore, Plotinus' interpretation makes us understand that there is a connection between that realm of philosophy which, on the first sight, looks like an abstract ontology and metaphysics, on the one hand, and our human and personal psychology, on the other. Plotinus helps us to feel and understand that the world we live in is a harmonic unity, and we are members of this unity and have our own part in it. Moreover, he helps us to become conscious of the fact that our spiritual abilities are extremely vast and almost limitless, and it depends entirely on ourselves how far we can exercise our natural spiritual and intellectual power and our soul's activity, that means, our own Eros. Briefly, Plotinus helps us to recognize our inner freedom and better understand our true self.

In my opinion, Plotinus' treatise *On Love* is a very good example of the synthesis of the historical approach to a philosophical text on the one hand, and purely philosophical, theoretical and "free" interpretation of its main issues on the other. In the treatise *On Love*, Plotinus, as the author, does simultaneously two things: he is historian of philosophy and he is a "pure" philosopher too. Hence, on the one hand, he makes an attempt to read and interpret Plato's text adequately, that means to explain its sense in that way as it, presumably, was meant by Plato, and, on the other, he expresses his own theory on the issues of Plato's dialogue. In Plotinus' interpretation, these two things - the history of philosophy and the "free", purely contemplative, theoretical philosophy co-exist (though without mixing with each other) as a very interesting and harmonious synthesis.

სამყაროს ფიზიკური ბანზომილეები

ეგზისტენციალური ფენომენოლოგიის პოზიციიდან მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ქართველი ფიზიკოსის გია დვალის თეორია სამყაროს ფარული განზომილებების შესახებ. ამ თეორიის თანახმად, სივრცის სამი განზომილების გარდა, სულაც არაა შეუძლებელი, რომ სამყაროს გააჩნდეს სხვა, ჩვენი თვალისთვის დაფარული განზომილებანი; თეორიის ავტორები ამ განზომილებად მიიჩნევენ სივრცის წრფივი საკოორდინატო ლერძის ირგვლივ შემოხვეული ე. წ. ცილინდრის ჭრილის ფართობს, უფრო ზუსტად – ამ ფართობის შემოსაზღვრული წრიული ხაზის განზომილებას.

ცილინდრულ განზომილებაზე ლაპარაკი შეიძლება მეტად მცირე რადიუსის არეში; იმისათვის, რომ სივრცის ამ ფანტასტიკურად მცირე არეში შევალნიოთ, საჭიროა სუპერზემძლავრი ურთიერთქმედება, რაც მიიღწევა ელემენტარულ ნაწილაკთა ამაჩქარებლებში. ასეთ უმძლავრეს დაძაბულობის ველში ახალი განზომილების გაჩენა დადასტურდება იმით, რომ სივრცეში განფენილი ნაწილაკები (გრაფიტონები, ფოტონები, ნუკლეონები...) შეიძლება გაქრნენ, ე. ი. გადავიდნენ ახალ განზომილებაში და შემდეგ ისევ გაჩნდნენ, დაბრუნდნენ უკან, ჩვენს სივრცეში (1).

მაგრამ ასეთი ეფექტი არ დადასტურდა არც ერთ ექსპერიმენტში. თეორიის ავტორები ვარაუდობენ, რომ ჯერჯერობით მიღწეული არ არის ცდისეულ ურთიერთქმედებათა ის ზემდლავრი დონე, რომელიც უსასრულოდ მცირე მიკროსივრცეს გასხნის, სადაც დაფიქსირდება ახალი განზომილების შედეგი.

ამრიგად, შეიძლება საკითხი დავაყენოთ ასე:

თუკი ექსპერიმენტის დღევანდელი დონე საკმარისი არ არის სამყაროს ფარული განზომილების აღმოსაჩენად, მოსალოდნელია თუ არა, ეს აღმოჩენა გაკეთდეს ხვალ ან ზეგ?

ვფიქრობთ, რომ აქ პრინციპულ შეუძლებლობასთან გვაქვს საქმე, თუმცა ეს, ჩვენი აზრით, სულაც არ ნიშნავს, რომ სამყაროს არ შეიძლება გააჩნდეს ფარული განზომილებები. უბრალოდ, ფიზიკური ექსპერიმენტი ფიზიკურ რეალობაში ვერ ჩასწვდება მათ. ამისთვის, ფიზიკის სფეროდან უნდა გადავიდეთ ფილოსოფიური აზროვნების სიღრმეში და აქ დიდ სამსახურს გაგვინევს ფენომენოლოგიური მიდგომა პრობლემის მიმართ.

* * *

მოკლედ განვიხილოთ, რაში მდგომარეობს პრობლემის ფენომენოლოგიური კვლევის მეთოდი. ფენომენოლოგია, როგორც მეცნიერება არსებობის საფუძვლის შესახებ, გვიჩვენებს, რომ სამყაროში თავისთავად მიმდინარეობს იდეათა წარმოშობის, მოძრაობის და ცვალებადობის პროცესი. ეს პროცესი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ობიექტური (ფიზიკური) რეალობის საფუძველს, მეორე მხრივ კი, გან-

საზღვრავს ცნობიერებაში მიმდინარე ფსიქოემოციურ და მენტალურ აქტებს. იგი შეიძლება შევადაროთ რაღაც თვითმოდრავ, ონტოლოგიურ „ტექსტს“, რომელიც არსებობს არა რეალურად, არამედ ნომინალურად, ტრანსცენდენტალურ დონეზე. ასეთი ონტოტექტუალური მოცემულობა იმას ნიშნავს, რომ სამყაროს ობიექტურმა მოვლენებმა ან სუბიექტურმა აქტებმა გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება ითამაშონ აღნიშნული პროცესის როლი.

ფენომენოლოგიური ფილოსოფია იმასაც გვეუბნება, რომ, თუკი ვილაპარაკებთ სამყაროს არსებობაზე, ჯერ უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს არსებობა, ამისათვის კი უნდა დავეყრდნოთ არსებობის ფენომენს, ანუ მის უშუალო და გარკვეულ მოცემულობას ცდაში.

არსებობა მე მეძლევა შემდეგნაირად: ერთი მხრივ, მე შევიგრძნობ, ვხედავ, აღვიქვამ გარე სამყაროს, როგორც მრავალფეროვან სიმრავლეს, რომელსაც მივაწერ ერთსა და იმავე იდეას, არსებობის იდეას; ეს იდეა ლოგიკურად სრულიად გაურკვეველია, რადგან უზოგადესია და ვერც ერთი გარკვეული შინაარსი ვერ ამოწურავს მას.

მეორე მხრივ, შინაგანად შევიგრძნობ ჩემს არსებობას, როგორც ინდივიდუალურ და განუმეორებელ „მე“-ს, რომელიც ასევე გაურკვეველი ფენომენია, რაკი მისი ლოგიკური გარკვევა (ზოგადცნებით შინაარსში გადაყვანა) მის უნიკალურობას მოსპობს.

გამოდის, რომ ამ ორი, გაურკვეველი მომენტის შერწყმა ქმნის ჩემთვის არსებობის მოცემულობას. მაგრამ არსებობა მე მეძლევა სრულიად გარკვეული სახით და არა გაურკვეველად - არც, როგორც მხოლოდ ობიექტური სამყარო და არც, როგორც წმინდად სუბიექტური „მე“, არამედ, როგორც შუალედი ამ საპირისპირო პოლუსებს შორის, რადგან სწორედ შუალედში ხორციელდება მათი ერთიანობა; არა ურთიერთმიმსგავსების გზით (ისინი მსგავსნი არიან იმით, რომ ორივე გაურკვეველია, გაურკვეველობა კი გარკვეულობას ვერ მოგვცემს), არამედ მათი ურთიერთგანსხვავების საფუძველზე.

რა შედეგი მივიღეთ? მივიღეთ ის, რომ, თუკი არსებობა მე მეძლევა უშუალოდ, მაშინ მეძლევა სამყაროს ერთიანობაც და განსხვავებაც. ამ საპირისპირო მომენტების შერწყმა კი შესაძლებელია მხოლოდ პროცესში. ფენომენოლოგიის თანახმად, ეს სწორედ ის სასიცოცხლო პროცესია, რომელიც წარმოშობს და განახორციელებს იდეას და წარმოადგენს, ერთი მხრივ, ობიექტური (ფიზიკური) სამყაროს მოვლენათა გარკვეულობის საფუძველს, მეორე მხრივ კი, განსაზღვრავს ცნობიერებაში მიმდინარე ფსიქოემოციურ და მენტალურ აქტებს.

* * *

დავუბრუნდეთ გია დვალის ფიზიკურ თეორიას. ფენომენოლოგიური ანალიზის ფონზე გაირკვა შემდეგი:

თუკი ცნობიერება და ობიექტური რეალობა ურთიერთგანსხვავების გამო ერთიანობაში იმყოფებიან, როგორც იდეის წარმოშობის პროცესის დიალექტიკური მომენტები, მაშინ არ შეიძლება, ფიზიკური რეალობა განვიხილოთ ცნობიერებისა-

გან მოწყვეტით, რათა ცდაში მოცემულმა სამყარომ არ დაკარგოს თავისი არსებობის აზრი.

ეს ნიშნავს, რომ, რაც უნდა შორს წავიდეს ფიზიკური ექსპერიმენტი სამყაროს სიღრმისეულ კვლევაში, იგი უეჭველად მიადგება ზღვარს, რომლის იქითაც წასვლა აღარ შეიძლება, რადგან ამ საზღვრის მიღმა წყდება ცნობიერების და სამყაროს ცოცხალი კავშირი, ირღვევა იდეის ქმნადობის პროცესი და ქრება ფიზიკური არსებობის აზრი. მათემატიკურ აბსტრაქციაში შეიძლება წარმოვიდგინოთ რაგინდ დიდი და რაგინდ მცირე მანძილები, რადგან, ლოგიკური გამომდინარეობის თვალსაზრისით, რიცხვთა ღერძი უსასრულოა, მაგრამ ამ „ცუდ“ უსასრულობაში იკვეთება ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების ხარვეზი – რომ ის მხედველობიდან უშვებს ცოცხალ, შინაარსობრივ მიმართებას აზროვნებისა თავის ობიექტთან; რომ გარკვეული მასშტაბის იქით იკარგება ან იცვლება სამყაროს აღწერის ენა (რომელსაც ჩვენ ფორმალურად უსასრულოდ ვავრცელებთ), ენა, რომელიც სწორედ ცნობიერებისა და ობიექტური რეალობის ცოცხალ ურთიერთქმედებაში იქნა ერთობლივად გამომუშავებული იდეის ქმნადობის თავისთავადი პროცესის საფუძველზე.

ფენომენოლოგია გვაფრთხილებს, რომ სპეციალურმა მეცნიერებამ თავის შემეცნებით წიაღსვლებში მხედველობიდან არ უნდა დაკარგოს ის ცნებით-ენობრივი ფუნდამენტი, რომელსაც ის უპირობოდ ეყრდნობა. რომ მეცნიერებამ თავისი ენა საგნის აღწერის მზა საშუალებად კი არ უნდა მიიჩნიოს, არამედ თვითმიზნად აქციოს, როგორც გამოსაკვლევი ობიექტი. რადგან ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითქოს არსებობს სამყარო, რომელსაც ცნობიერება ენის გზით აღწერს, არამედ პირველთაგან არსებობს სიტყვა, ენის ფენომენი, როგორც სიცოცხლე, როგორც იდეის შექმნის პროცესი, რომელიც ერთ განუყოფელ მოძრაობაში ამყოფებს ორ განსხვავებულ ფენომენს: ცნობიერებას და სამყაროს.

ამიტომ, თუკი არსებობს სამყაროს ფარული განზომილებები, ისინი უნდა ვეძებოთ არა ფიზიკური რეალობის დაუსრულებელი გაფართოების ან უსასრულო შემცირების გზით, არამედ გონების თვალისათვის სავსებით მისაწვდომ საზღვარზე და იმ გარდამავალ სიტუაციაში, სადაც ცვალებადობას განიცდის ფიზიკური რეალობის აღწერის ენა.

ეს ცვალებადობა ჯერ კიდევ საუკუნის წინ დააფიქსირა ნილს ბორმა ე. წ. „ბორის პრინციპის“ სახით, რომლის თანახმადაც, აზრი არა აქვს, ვილაპარაკოთ ატომურ ობიექტზე, თუ არ მივუთითეთ, რომელი ექსპერიმენტული ხელსაწყო აკვირდება და ზომავს მას.

ბორის პრინციპი სამყაროს შესახებ კლასიკური წარმოდგენის რღვევაზე მიგვანიშნებს. რატომ არა აქვს აზრი, ვილაპარაკოთ გამზომ ხელსაწყოსაგან დამოუკიდებელ ატომურ ობიექტზე? იმიტომ, რომ ურთიერთქმედებამ მათ შორის, ანუ გაზომვის პროცესმა, შეიძინა მენტალური პროცესისათვის დამახასიათებელი მთლიანობა. ეს მთლიანობა გამოხატულ იქნა უმცირესი ქმედების კვანტით, პლანკის მიერ შემოყვანილი სიდიდით, რომელმაც ურთიერთქმედებათა უწყვეტ დიფერენცირებას საზღვარი დაუდო, აჩვენა კვანტურ მოვლენათა დისკრეტული ხასიათი და ნაწილობრივ გაფანტა ბურუსი ატომური სამყაროს ირგვლივ.

ბორმა იწინასწარმეტყველა ის, რაც შემდგომ ფენომენოლოგიურ ფილოსოფიაში დაფიქსირდა ე. წ. წმინდა ცნობიერების ინტენციის სახით. ჯერ კიდევ კანტი მიიჩნევდა, რომ წმინდა გონება არ არის ობიექტური შინაარსისგან დაცლილი ცარიელი, იდეალური ფორმა (როგორც ამას არისტოტელე ფიქრობდა). ჰუსერლის ფენომენოლოგიამ სუბიექტისკენ შემოაბრუნა კანტის დებულება და გვითხრა, რომ წმინდა ცნობიერება, ანუ ტრანცენდენტალური სუბიექტი, თავის თავში უკვე გულისხმობს გარკვეულ ორიენტაციას ობიექტისადმი და ამიტომ სხვა არაფერია, თუ არა ინტენცია, ანუ მიმართება მისგან განსხვავებულ გარე ობიექტზე.

თანამედროვე ფილოსოფიიდან აღებული ეს ინტენცია შეიძლება შევადაროთ პლანკის უმცირესი ქმედების კვანტს.

ეს მუდმივი სიდიდე მიკროსამყაროში გაზომვის პროცესს ახასიათებს. იგი გამოხატავს სუბიექტის დამოკიდებულებას ობიექტისადმი. მისი მთლიანობა თან გაზომვის პროცესის ერთიანობას გვაძლევს, თანაც ქმნის ერთგვარ ბარიერს და განსხვავებას ცდის სუბიექტსა და ობიექტს შორის. სწორედ ამას ნიშნავს ზემოთ აღნიშნული ერთიანობა განსხვავებაში; წმინდა ცნობიერებაც ისეა მიმართული გარე ობიექტზე, რომ მათ ურთიერთქმედებაში გვაქვს ერთიანობაც და განსხვავებაც.

ანალოგია კვანტურ ფიზიკასთან ახლა უფრო გამჭვირვალე ხდება. ნილს ბორი დაჟინებით ხაზს უსვამს, რომ თუმცა საქმე გვაქვს არაკლასიკურ მიკროობიექტთან, მისი გამზომი ხელსაწყო აუცილებლად უნდა აღინერებოდეს კლასიკური ფიზიკის ენით, როგორც მაკროობიექტი.

ბორის პრინციპი ენობრივ ბარიერს გულისხმობს გამზომსა და გასაზომს შორის. კლასიკური ფიზიკის ენა ფიზიკურ ურთიერთქმედებათა უწყვეტობას ემყარება. კვანტური აღწერა კი დისკრეტულია და შემოისაზღვრება უმცირესი ქმედების კვანტით.

რატომ ხდება ყოველივე ეს?

რა გვიშლის ხელს წარმოვიდგინოთ, რომ გამზომი ხელსაწყო არის მიკრონაწილაკთა სტატისტიკური სისტემა, რომელიც ზემოქმედებს მიკრონაწილაკზე. მაშინ ხომ აღნიშნული ბარიერი გაქრებოდა, შესაძლებელი იქნებოდა გაზომვის პროცესის სრული კონტროლი, რაც მოსპობდა განუსაზღვრელობის სიტუაციას მიკროსამყაროში.

ბორი არ აკეთებს ამას. თავისი გენიალური ინტუიციის წყალობით, იგი ხვდება, რომ კვანტურ მექანიკაში გამზომი ხელსაწყო პრინციპულად უნდა განსხვავდებოდეს გასაზომი ობიექტისგან, რადგან პირველი თამაშობს არა ფიზიკური ობიექტის, არამედ მენტალური ობიექტის, კერძოდ, ცნობიერების როლს, რომელიც გაზომვის ინტენციამ ორიენტირებულია მისგან განსხვავებულ ფიზიკურ ნაწილაკზე.

განსხვავებულ ფენომენტთა ეს ურთიერთქმედება განუყოფელი ხასიათისაა. გაზომვის პროცესის ცოცხალი მთლიანობა არ ექვემდებარება ლოგიკურ ანალიზს, რაც ინვეს განუსაზღვრელობის სიტუაციას.

აი, სწორედ ამ სიტუაციის შესახებ გვესაუბრება ჰუსერლი – რომ წმინდა ცნობიერება არის ობიექტზე მიმართული ინტენცია, სადაც გვაქვს მათი განსხვავებაც და ერთიანობაც (2).

ამიტომ ვფიქრობთ, რომ სწორედ ფენომენოლოგიური მიდგომის შედეგად შემოიჭრა ფიზიკის ენაში კვანტური ალბათობის ცნება. ეს ალბათობა არ დაიყვანება მიზეზშედეგობრივ კავშირებზე. იგი არ წარმოადგენს დეტერმინისტული სისტემის გაშუალებულ შედეგებს, არამედ უშუალოდ ასახავს ფიზიკურ სიტუაციას მიკროსამყაროში.

არაკლასიკური ალბათობის გაჩენა და შემდგომი გავრცელება ელემენტარულ ნაწილაკთა თეორიაში მეტყველებს იმაზე, რომ ირღვევა კლასიკური ფიზიკის ენა, რომელიც ცნობიერებისგან დამოუკიდებელ ფიზიკურ რეალობაზე იყო ორიენტირებული. ასეთი ორიენტაცია უკვე კვანტურ მექანიკაში დაირღვა. ამიტომ ვფიქრობთ, არ შეიძლება კლასიკურ ფიზიკაში დადგენილი მსოფლიო მიზიდულობის კანონის პირდაპირი გადატანა მიკროსამყაროში ან მისი ტრანსფორმაცია ფორმალურ-ლოგიკური (აქ მათემატიკური) მსჯელობის საფუძველზე. ასეთი გარდაქმნის დროს თეორიის ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ ის მომენტიც, რომ, ენობრივ-ონტოლოგიური ან ონტოტექტუალური რღვევისა და ცვალებადობის გამო, მასის, ძალისა და მანძილის ცნებებმა შეიძლება დაკარგონ (ან, ყოველ შემთხვევაში, შეიცვალონ) ფიზიკური აზრი.

ცნობიერების მხრიდან არსებობის ერთიანი ინტენციის საფუძველზე, მათ შეიძლება შეიძინონ სუბიექტური შეფერილობა, რაც სულაც არ ნიშნავს სუბიექტურობას კლასიკური გაგებით. სუბიექტი აქ არის ერთიანი ყოფიერების შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც კი არ ზღუდავს, პირიქით, აფართოებს ფიზიკური არსებობის საზრისს და თავის თავში ჩაკეტილ კლასიკურ რეალობას ცნობიერების ცოცხალი ინტენციის მიმართ გახსნილ კვანტურ რეალობად გარდაქმნის.

ასეთი ონტოლოგიური სუბიექტურობა ფიზიკურ ექსპერიმენტსაც უცვლის ელფერს. და აღარ მოიაზრება კლასიკურად, როგორც ურთიერთქმედება ფიზიკურ საგნებს (გამზომ ხელსაწყოსა და ობიექტს) შორის, როგორც ნეიტრალური მასალა, რომელიც ადამიანის გონებამ უნდა გადაამუშაოს და განაზოგადოს.

ექსპერიმენტი გაგებულა, როგორც შემეცნებითი სიტუაცია, ხოლო გაზომვა, როგორც შემეცნების პროცესი, სადაც ხდება ურთიერთქმედება სუბიექტსა და ობიექტს შორის (გამზომი ხელსაწყო ამ შემთხვევაში მნიშვნელობს, როგორც ონტოლოგიური სუბიექტი).

ამასთან, ადამიანი შეიძლება სულაც არ აკვირდებოდეს ასეთ ექსპერიმენტს, და მეტიც: ცდა შეიძლება იყოს არა ხელოვნურად ჩატარებული, არამედ ბუნებრივად შემდგარი; თავისთავად შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, სადაც ბუნების ახალი მოვლენა გამოჩნდება; თუკი შემეცნებას გავიგებთ, როგორც აზრის წარმოშობის პროცესს, რომელიც ახალი შინაარსით წარმოაჩენს ფიზიკურ მოვლენას, მაშინ აქ სწორედ შემეცნების ობიექტურ სიტუაციაზე შეიძლება ვილაპარაკოთ.

როგორც ვხედავთ, კვანტურ რეალობაში ხდება ონტოლოგიური სუბიექტის „შეჭრა“. ფიზიკური ვითარება შეიძლება გადაიქცეს შემეცნებით სიტუაციად, ხოლო კვანტური ურთიერთქმედების მთლიანობაში გამოვლინდეს ცნობიერების ინტენციონალური ფენომენი „მე-სა“ და სამყაროს ერთიანობა-განსხვავებაში.

* * *

ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ, თუ როგორ წარმოიშობა ელემენტარული ნაწილაკები ძლიერი ატომბირთვული ურთიერთქმედების დროს.

საკუთრივ ფიზიკური ასპექტი რომ გამოვტოვოთ და პრობლემის ფილოსოფიურ მხარეზე ვილაპარაკოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ აქ ვლინდება ყოფიერების თავისუფლების ფენომენი და მიკროსამყაროში ალბათობა, და ინდეტერმინიზმი გამოსატყვევებელი არა ცოდნის უკმარისობას, არამედ რეალურ ვითარებას.

მაშინ შეიძლება ისიც ვიფიქროთ, თუ როდის და როგორ არის მოსალოდნელი ელემენტარული ნაწილაკის გაჩენა. მოლოდინი გვაქვს მაშინ, როცა ატომბირთვული ურთიერთქმედება „იმნიშვნელებს“, როგორც სუბიექტ-ობიექტის ურთიერთქმედება და შეიძენს შემეცნებითი მოძრაობის საზრისს. შესაბამისად, ფიზიკური პროცესი საზრისის შემქმნელ პროცესად მოგვევლინება იდეისა და მისი საგნის ერთიანობაშიც და განსხვავებაშიც.

რაკი ახალი ნაწილაკის წარმოშობა გია დვალის თეორიაში სამყაროს ახალი განზომილების გახსნას უკავშირდება (ავტორი გვეუბნება, რომ ახალი ნაწილაკი ახლად გახსნილი განზომილებიდან შემოდის ჩვენს სივრცეში), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ მაშინ, როცა ფიზიკური ურთიერთქმედება „სუბიექტივაცია“ განიცდის და შემეცნებითი პროცესის (ფიზიკური აზრის ქმნადობის) როლს ითამაშებს, სავსებით მოსალოდნელია სამყაროს ფარული განზომილების მანიფესტაცია ახალი ელემენტარული ნაწილაკის წარმოშობის სახით.

* * *

პრობლემის ფენომენოლოგიური და ფიზიკის ფილოსოფიური ასპექტები რომ შევაჯამოთ, გვექნება:

ფენომენოლოგიური პოზიციიდან გამომდინარე ვიტყვით, რომ ცნობიერება მუდმივად განასხვავებს საკუთარ თავს ობიექტური სამყაროსაგან. ამ თვითგანსხვავებაში იგი მოქმედებს არა, როგორც სუბიექტი, არამედ, როგორც ეგზისტენცი – როგორც სუბიექტ-ობიექტის მთლიანობა და ე. ი. მოქმედებს, როგორც ყოფიერება. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ არათუ ცნობიერებამ, არამედ გარკვეულმა ფიზიკურმა მოვლენებმაც ითამაშონ ობიექტური რეალობისგან განსხვავებული ფენომენების როლი. სწორედ ეს ხდება მიკროსამყაროში. კვანტური ექსპერიმენტის ზოგიერთი მოვლენა, ცდის მთლიანობიდან გამომდინარე, პრინციპულად განასხვავებს თავის თავს კლასიკური ფიზიკის ობიექტური მოვლენებისგან. სწორედ ამ განსხვავებაში იძენს იგი ფიზიკურ აზრს და ქმნის მიკრორეალობის სურათს. კვანტურ-მექანიკურ დონეზე ამ სიტუაციას გაზომვის პროცესი ინვევს, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მსგავსი „სუბიექტივაცია“ მოხდეს ელემენტარულ ნაწილაკთა სფეროშიც, სადაც ზოგიერთი ატომბირთვული ურთიერთქმედება ძალიან წააგავს ცნობიერების გამოვლენას ყოფიერებაში – მოვლენათა ინდივიდუალურობის მატერიალური გარემოსაგან განსხვავებისა და ფენომენოლოგიური რედუქციის გზით.

ყოფიერების ისეთი ინდივიდუალურობა არ წარმოადგენს ზოგადი არსის კონკრეტულ მოვლენას, რომელიც გამომდინარეობს არსებული თეორიიდან. აქ ინდივი-

დუაცია მიანიშნებს არა მოვლენის, არამედ არსისეული ფენომენის შესახებ. იგი მოულოდნელია, „თვითნებურია“, მისი პროგნოზი რეალურ ურთიერთქმედებათა ანალიზიდან შეუძლებელია. პირიქით, თვით ეს უნიკალური ფენომენი წარმოადგენს ახალი განზოგადების თეორიული კონცეფციის საწყისს.

ატომბირთულ ურთიერთქმედებათა ანალიზი ვერ იძლევა ელემენტარული ნაწილაკის პროგნოზის საკმარის საფუძველს. ჩნდება სრულიად ახალი რამ, რაც აუცილებლობით არ გამომდინარეობს ობიექტურად არსებული სიტუაციიდან. მის თავისუფლებაში ვლინდება სამყაროს და ცნობიერების ერთიანი ინტენცია. ამიტომ ელემენტარული ნაწილაკის „სიცოცხლე“ შემეცნების ახალი პირობაცაა. ინდივიდუალური ნაწილაკი მხოლოდ თეორიას კი არ ექვემდებარება, ის, როგორც უნიკალური არსი, თვითონ არის შემობრუნება ახალი თეორიისკენ. რაკი ელემენტარული ნაწილაკი „ამოვარდნილია“ წინამორბედ მოვლენათა ზოგადი სისტემიდან, ახალი თეორია ვერ შეიქმნება ინდუქციის ძველი მეთოდით დემპირიულ მოვლენათა განზოგადების გზით. აქ უვარგისია დედუქციის კლასიკური ფორმაც, რომელიც თავის თავში ლოგიკურად დადგენილ თეორიას „დაიყვანს“ თავისთავად არსებულ ობიექტურ რეალობამდე. აქ უნდა შეირჩეს მხოლოდ ის წმინდა თეორიული მოდელი, რომელიც თავსებადია შემეცნების ცოცხალ, უნიკალურ ინტენციასთან.

ასეთი გზით მოხდა კვანტური თეორიის დაბადება და, ვფიქრობთ, ასევე ხდება თეორიული კვლევა ელემენტარულ ნაწილაკთა სფეროშიც.

ამრიგად, თუ ელემენტარული ნაწილაკი არ ექვემდებარება თეორიას, რომელიც ფიზიკური რეალობის სრულ „ობიექტივაციას“ გულისხმობს; თუ იგი თვითონ წარმოადგენს საწყისს ახალი თეორიული კონცეფციისათვის, მაშინ მისი გენეზისი ატომბირთვულ ურთიერთქმედებაში „სუბიექტივირებულია“ (გამოხატავს სუბიექტობიექტის ურთიერთქმედებას), სადაც ყოფიერება, როგორც ცნობიერების ინტენცია, ისე ვლინდება. თვითონ ნაწილაკი კი არის არა ფიზიკური წარმონაქმნი, არამედ მენტალური ობიექტი, რომლის უნიკალურ ინდივიდუაციაში ზოგადი არსია ჩადებული; ამიტომაც აძლევს ის ბიძგს ახალი ცოდნის, ახალი თეორიის წარმოშობას.

ცხადია, ამ დროს ყოფიერება აღარ არის ობიექტურ რეალობაში ჩაკეტილი. იგი ღიაა ცნობიერების ინტენციის მიმართ. ვფიქრობთ, სწორედ ამ სიტუაციაშია შესაძლებელი ჩაკეტილი რეალობიდან გასვლა და სამყაროს ფარული განზომილებების ძიება.

ლიტერატურა:

1. ნიკობაძე გ., სამყაროს ფარული განზომილებები, გამ. „ინტელექტი“, თბილისი, 2003.
2. ჰუსერლი ე., ფილოსოფია, როგორც მკაცრი მეცნიერება, გამ. „საგუნა“, 1994.

MAMUKA DOLIDZE

The Hidden Dimensions of the Universe

Summary

The presented article addresses the “Theory of Hidden Dimensions” by Georgian scientist Gia Dvali. The problem is considered from the viewpoint of phenomenological philosophy. Phenomenological approach to the problem takes into account the cognitive situation in quantum physics deriving from the integrity of the subject and object. The author supposes that such integrity provides the quantum particles with the probability and indeterministic nature. The phenomenon of freedom does not belong only to the human world. In atomic sphere, thanks to indeterminism of quantum particles we encounter with ontological freedom. It is important that such non-classical situation turns the physical reality into the virtual reality of cognitive sphere. Measurement process, according to the author plays a role of consciousness which makes the physical sense of atomic object. Emergence of the new elementary particles would show the appearance of hidden dimensions of the universe. The quantum effects turned into the mental phenomena of cognitive sphere on the basis of integrity of subject and object (measurement tool and quantum particle). The problems of wave-particle duality are the issues of the same cognitive wholeness which seems to be the condition for revealing the hidden dimensions of the universe.

თორნიკე ქოროლიშვილი

მახინ ჰაიდეგერის ნახაჯივი – «ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა?»

მოხსენება «Wer ist Nietzsches Zarathustra?» («ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა?») მარტინ ჰაიდეგერმა 1953 წლის 8 მაისს წაიკითხა. მას წინ უსწრებდა 1951-1952 წლების ზამთრის სემესტრის სალექციო კურსი «Was heißt Denken?» («რას ეწოდება ფიქრი?»).¹ აღნიშნული მოხსენება 1954 წელს «გიუნტერ ნესკეს გამომცემლობამ» გამოსცა, ხოლო 2000 წელს «ვიტორიო კლოსტერმანის გამომცემლობამ» «Gesamtausgabe»-ს მეცხრე განახლებული გამოცემის VII ტომში შეიტანა.²

სასურველია, დასაწყისშივე აღინიშნოს შემდეგი გარემოება: «Gesamtausgabe»-ს შინაარსობრივი სტრუქტურა და თანამიმდევრობა თვით ჰაიდეგერის მიერ იქნა მონიშნული. ახალი გამოცემები სწორედ ჰაიდეგერისეულ სქემას იცავს.³ ეს იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ფილოსოფოსის სათქმელის ძირითადი განზრახულობის ამოცნობას ბევრად აადვილებს. შესაბამისად, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, რომ ჰაიდეგერისეული დასახსვრით აღნიშნულ ნაშრომს წინ უძღვის 1936-1946 წლებში შესრულებული ჩანაწერები სათაურით «Überwindung der Metaphysik» («მეტაფიზიკის დაძლევა»)⁴. ჰაიდეგერი სწორედ ნიცშეს მიიჩნევს იმ მოაზროვნედ, ვის ნააზრევსაც გადამწყვეტი როლი ეკუთვნის დასავლური მეტაფიზიკის ისტორიის დამაბოლოებელ ეტაპზე. მეტაფიზიკის დასრულებისა და დაძლევის წინა პირობები ნიცშეს ნაფიქრით არის შეზავებული.

რამდენადაც ჰაიდეგერისათვის ნიცშე საბედისწერო მოაზროვნეა,⁵ ნიცშეს ნააზრევის ჰაიდეგერისეული ანალიზის განხილვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლისათვის. სწორედ ამ ორი მოაზროვნის ურთიერთმიმართების გააზრებაა წინამდებარე რეფერატის ამოცანა.

* * *

ნიცშე თავისი ფილოსოფიით გამოცანას ტოვებს. მარტინ ჰაიდეგერი მის მიგნებასა და ამოხსნას ისახავს მიზნად. ჰაიდეგერისათვის თავიდანვე ნათელია, რომ ორაზროვანი და რთულია პასუხი ერთი შეხედვით მარტივ კითხვაზე - «ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა?» პასუხი მარტივი უნდა იყოს, რადგან ნიცშე მას მთელ წიგნს უთმობს. მიუხედავად ამისა, ის მაინც მხოლოდ ერთი შეხედვით არის მარტივი.

ცხადია, პირველი მინიშნება არის წიგნის სათაური «ესე იტყოდა ზარატუსტრა» («Also sprach Zarathustra»)⁶ აქვე მას ახლავს ქვესათაური: «წიგნი ყველასთვის

1 Martin Heidegger, Gesamtausgabe, B.7, Vorträge und Aufsätze, Frankfurt am Main, 2000, გვ. 289.

2 იქვე. 293.

3 იქვე.

4 იქვე. 3

5 Heidegger- Handbuch. Leben - Werk — Wirkung, Dieter Thomä(Hrsg.), Stuttgart 2003, გვ. 202

6 ფრიდრიჰ ნიცშე, *ესე იტყოდა ზარატუსტრა* (თბილისი: 1993).

და არავისთვის». ამით ნიცმე ორაზროვნებას განგებ უშვებს. ჰაიდელბერგისათვის ასეთი ქვესათაური პირველი და უმნიშვნელოვანესი მინიშნებაა.

რას ნიშნავს «ყველასთვის»? ეს ნიშნავს ყოველი შემხვედრისათვის, ყოველი ცალკეული ადამიანისათვის, რამდენადაც თავის არსშია იგი ფასეული. «...და არავისთვის» – ეს ნიშნავს: არავისთვის ყოველი მხრიდან მოგროვილ ცნობისმოყვარეთაგან, რომელნიც, წიგნის ცეცხლოვანი ენითა და სტილით დაბრმავებულნი, მხოლოდ ცალკეულ ადგილს, ნაწყვეტს აწყდებიან და არკი შესწევთ ფიქრის გზაზე მყარად დგომის უნარი.

«წიგნი ყველასთვის და არავისთვის» – ასეთი ქვესათაური პროფეტულია და საბედისწერო შინაარსის მქონე თვით ნიცმეს ნააზრევისათვის, რადგან თავიდანვე გულისხმობს, რომ ძალზე რთული ამოცანაა, პასუხი გაეცეს ზემოთ დასმულ კითხვას: ვინ არის ზარატუსტრა? რაში მდგომარეობს მისი სწავლების ძირითადი არსი? ჰაიდელბერი აღნიშნავს, რომ წიგნის გამოჩენიდან (ჰაიდელბერი იყენებს ზმნას *bewahrtheit*) სამოცდაათი წლის შემდეგაც არ არის მოაზროვნე, ვინაც ამ წიგნის ძირისძირ ნააზრევს იქნებოდა შეთვისებული (*gewachsen*) და მისი ღირებულების მისივე წარმომავლობიდან შეფასებას შეიძლება.

ვინ არის ზარატუსტრა? წიგნის სათაური გვამცნობს, რომ ზარატუსტრა საუბრობს, ის მთქმელია, მეტყველია. თუმცა, რა გაგებით არის იგი მეტყველი? არის ის სახალხო მთქმელი თუ წინასწარმეტყველია? ჰაიდელბერი ზარატუსტრას «*Fxrsprecher*»-ს («მეხვამიშენე», «მეოხე», «მეყოფელი», «მელონე») უწოდებს. ამ სიტყვის პირველი ნაწილი არის უძველესი გერმანული თავსართი «*Für*», რაც მრავალი მნიშვნელობის მქონეა და უტოლდება წინსართს «*vor*» («წინ», «წინმყოფი»). «მეხვამიშენე» მსმენელის წინაშე საუბრობს და «ხვამიშნობს».¹ ამავე დროს, წინსართი «*für*» («თვის») რალაცისთვის საუბარს (*sprechen*), რალაცის ხვამიშნობას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ზარატუსტრა არის ის, ვინც განმარტავს, რის შესახებ და რატომ საუბრობს (რას და რატომ ხვამიშნობს).

ზარატუსტრას ზედწოდების ეტიმოლოგია ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რისი ან ვისი მეხვამიშენე და მეოხია იგი. მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ მაინც გავეცით პასუხი კითხვას «ვინ არის ნიცმეს ზარატუსტრა?» ზარატუსტრა მეხვამიშენეა. თუმცა, აქვე გამოსარკვევია, არის იგი რაიმე შემთხვევითის დამცველი, თუ იმ ერთადერთის მეხვამიშენეა, რაც ადამიანის უმნიშვნელოვანესი ბუნების შესატყვისია? («...was den Menschen vor allem und stets anspricht?»)

შემდეგი, რაც ზარატუსტრას ვინაობას გვიმხელს და მინიშნებას იძლევა, წიგნის მესამე თავის ბოლოს დასმული სათაურია: «გამოჯანსაღებული» («*Der Genesende*»)² ეს ზარატუსტრაა. თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ არა ვუნწყით რა, რა არის ეს «გამოჯანსაღება» (*genesen*). გამოჯანსაღება იმავს აღნიშნავს, რასაც ბერძნული სიტყვა *νόσται, νόστος*. ამას ჰაიდელბერი შემდეგნაირად თარგმნის: *heimkehrer* (შინ დაბრუნება). სახელთა ამავე რიგში შემოიყვანება სიტყვები *Heimsschmerz* და *Heimsschmerz* (ნოსტალგია, მამულის მონატრება). მაშასადამე, გამოჯანსაღებულია, ვი-

1 «*Fürsprecher*»-ს ერეკლე ტატიშვილი თარგმნის სიტყვით „მეოხე“.

2 ზარატუსტრა (1993), 164.

ნაც შინ დასაბრუნებლად განემზადება, კერძოდ: თავის უშინაგანეს დანიშნულებას (die Bestimmung) უბრუნდება. გამოჯანსაღებული თავის თავისაკენ შემოიქცევა. გამოჯანსაღებულია ის, ვისაც ხელენიფება თქვას, ვინ და რა არის თვითონ. ნიგნის მითითებულ ადგილას გამოჯანსაღებული ასე იტყვის:

«მე, ზარატუსტრა, მეოხე ცხოვრებისა, მეოხე ურვისა, მეოხე წრისა...»¹

თუ სამეუღს – ცხოვრება, ურვა, წრე – ერთიანობაში გავიაზრებთ, ბევრად მივუახლოვდებით იმის პასუხს, თუ რისი მეხვიაშნე და მეოხია ზარატუსტრა, გამოჯანსაღებული, და მაინც ვის წინაშე მეოხებს იგი. აქვე ჰაიდეგერი წინასწარი მითითების სახით დასძენს: «ცხოვრება» («das Leben») ნიცშესთან მხოლოდ ერთს აღნიშნავს – «ნება ძალაუფლებისაკენ» («der Wille zur Macht»), როგორც ყოველი არსებულის, არა მხოლოდ კაცთა, ძირითადი მახასიათებელი.

რა არის ტანჯვა? ნიცშეს პასუხი შემდეგია: «ხოლო რაც იტანჯება, იმას ცხოვრება ჰსურს...»² ანუ მას ჰსურს ცხოვრება, რაც არის, როგორც ნება ძალაუფლებისაკენ. ხოლო წრე ბეჭდის ნიშანია, ძალისხმევისა, რაიც მუდამ თავისი თავისაკენ მოიქცევა და ამგვარი შემოქცევით მარად იმავეს (das Gleiche) უბრუნდება.

თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: ზარატუსტრა ხვიაშნობს იმას, რომ ყოველი არსებული არის ნება ძალაუფლებისაკენ, რომელიც იტანჯება, როგორც შემოქმედი, წინააღმდეგობრივი ნება და, ამგვარად, მარად იმავეს უკუქცევაში ელტვის თავის თავს.

პასუხი კითხვაზე, ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა, ფორმალურ დეფინიციასა და მიმართულებას იძენს. საჭიროა საკითხის გაშლა. ამ მიზნით, ჰაიდეგერი ნიცშეს დამატებით ციტირებას ახდენს. პირველ ამონარიდს იმავე «გამოჯანსაღებული»-დან მოიხმობს:

«შენ (ზარატუსტრა) ხარ მოძღვარი მარად უკუქცევისა...!»³

ნიგნის შესავალში კი ვკითხულობთ:

«გასწავლით ზეკაცს...»⁴

მოხმობილ ამონარიდთაგან შევიტყვეთ, რომ ზარატუსტრა, მეხვიაშნე, ამავე დროს არის მასწავლებელი. ხოლო მისი სწავლება ორმაგია, იგი მარად უკუქცევასა და ზეკაცის სწავლებაა. აქედან ჩვენ ჯერ კიდევ ვერაფერს შევიტყობთ, თუ რა მიმართებაშია ეს ორი ერთიმეორესთან. გარდა ამისა, ოდენ მოსმენა მასწავლებლისა და მისი სწავლების ათვისება, ჰაიდეგერის თანახმად, ვერაფერს გვეტყვის იმის შესახებ, თუ ვინ არის თავად იგი, ვინაც ჩვენ წინაშე მასწავლებლად წარმოსდგება. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავარკვევთ, თუ გვეცოდინება, როგორ, რა ვითარებაში და რა თვალსაზრისით ამბობს იგი თავის სათქმელს.

გველი და არწივია ზარატუსტრას ცხოველები. ეს ორია მისი თანამგზავრი და თანამოსაუბრე. სწორედ ისინი აუწყებენ ზარატუსტრას მისი ვინაობის არსს. «ეს ჩემი ცხოველებია, – იტყვის ზარატუსტრა, – უამაყესი ცხოველი მზის ქვეშ და უგონი-

1 ზარატუსტრა (1993), 164.

2 იქვე, 239.

3 ნიცშე, ზარატუსტრა (1993), 168.

4 იქვე, 16.

ერესი ცხოველი მზის ქვეშ დასაზვერად გამოსულან». აქვე ვკითხულობთ: «ჰსურთ შეიტყონ, თუ ზარატუსტრა კვლავ ცოცხალია? მართლაც, თუ კვლავ ცოცხალი ვარ?»

რად იკითხავს ცოცხალი ზარატუსტრა თავის სიცოცხლეს? ჰაიდეგერი განმარტავს: ზარატუსტრას ამ კითხვას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, თუ სიტყვას «ცხოვრება» გავიგებთ, როგორც «ნება ძალაუფლებისაკენ». ზარატუსტრა თავს ეკითხება: შეესატყვისება (entspricht) თუ არა ჩემი ნება იმ ნებას, რომელიც, როგორც ნება ძალაუფლებისაკენ, ყოველივეზე მეუფებს (durchherrscht)?

ზარატუსტრა უნდა იქმნას იმად, რაც არის თავად. აქ ისაა მნიშვნელოვანი, რომ ზარატუსტრა გარდაქმნას უფრო ხის. შიში (der Schrecken) განსმტყვალავს მთელს ნიგნს, რომელიც ზარატუსტრას შესახებ გვაუწყებს. ჰაიდეგერის თქმით, სწორედ შიშის ეს ყოვლისმომცველი განცდა განაპირობებს ნიგნის ენობრივ მრავალფეროვნებასა და თავისებურებასაც. ვინაც დასაწყისშივე ვერ ამოიცნობს მას, ბევრს ვერას შეიტყობს ზარატუსტრას შესახებ. შიში და თავზარდაცემამა მიზეზი იმისა, რომ მარადი უკუქცევის მასწავლებელი თავის სწავლებას ზეკაცით იწყებს.

ჰაიდეგერისათვის სიტყვა „ზეკაცი“ სრულიად კონკრეტული შინაარსის მქონეა. „ზეკაცი« აღნიშნავს არა ჩვეულებრივი, აქამდე არსებული ადამიანური ზღვარის გადალახვას, ადამიანზე აღმატებას. «ზეკაცი» არც ადამიანის ახალ სახეობას მოასწავებს, რომელიც ყოველივე ადამიანურს (das Humane) განაგდებდა და ტიტანურ სიშლეგეს წესად დაამკვიდრებდა. ჰაიდეგერის შენიშვნით, ნიცშეს «ზეკაცი» უნდა გვესმოდეს, როგორც მხოლოდ დღემდე არსებული ადამიანის მისსავე განუხორციელებელ არსებამდე ამაღლება და მისი იქ დამკვიდრება. «ზარატუსტრას» შესახებ ერთ ჩანაწერში ნიცშე მიუთითებს კიდევ: „ზარატუსტრას არ სურს ადამიანის წარსულიდან რაიმეს დაკარგვა, ყოველივეს გადადნობა... » («Zarathustra will keine Vergangenheit der Menschen verlieren, alles in den Guß werfen»)¹.

და მაინც, საიდან მომდინარეობს «ზეკაცის» შესახებ მონოდება? ნუთუ, მანამდელი კაცი აღარ კმარა? ნიცშემ აღიქვა ისტორიის ის ეტაპი, როცა ადამიანმა მთელს დედამიწაზე გაბატონება დაისახა მიზნად. ნიცშე არის პირველი მოაზროვნე, რომელმაც, გაითვალისწინა რა აღმავალი ისტორიის რაობა, გაიაზრა ამგვარი ისტორიის მეტაფიზიკური მნიშვნელობა.

ჰაიდეგერთან ამოსავალი კითხვა ფორმულირებულია შემდეგნაირად: არის კი ადამიანი მზად, რათა ბატონობდეს დედამიწაზე? თუ არა, რა უნდა მოხდეს ძველი კაცის თავს, რომ მან დედამიწა «მორჩილებაში» (der Untertan) იყოლიოს? განა არ უნდა აღემატოს იგი თავის თავს? ასე ნაფიქრი «ზე-კაცი» დაზღვეული უნდა იყოს უნაყოფო ფანტაზიისაგან, რომელიც არაფრისკენ მიექანება. გარდა ამისა, ჰაიდეგერის თქმით, თანამედროვე ეპოქის გათვალისწინებისას, ვერ მოვიძიებთ ზეკაცთა ისტორიულ მაგალითებს.

ერთი რამ არის ყურადსაღები, მოძღვრება ზეკაცის თაობაზე ეხება ევროპას, მთელს დედამიწას და ხვალისდელი დღის განმსაზღვრელად უკვე დღეს გვევლინე-

1 Martin heidegger, Gesamtausgabe, B.7, გვ. 105.

ბა. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ვეთანხმებით თუ უარყოფთ ამ აზრს. ყოველი არსებითი აზრი ხელუხლებლად და შეუბღალავად გამოივლის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რიგებში.

ერთადერთი, რაც ჩვენ გვრჩება, არის სწავლა იმისგან, ვინც მოძღვარია, ხოლო ეს ნიშნავს – მოძღვრის შესახებ გამოკითხვას (über ihn hinauszufagen). მხოლოდ ასე შევიტყობთ, ვინ არის ზარატუსტრა. სხვა არჩევანი არ არის. მოძღვრის გასაცნობად კი მასთან ერთად მისი გზის გავლაა საჭირო.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი არსებითი ვითარება: ზარატუსტრა ჯერ მხოლოდ მასწავლებელია, მოძღვარია და არავითარ შემთხვევაში – ზეკაცი. ხოლო, თავის მხრივ, ნიციშე არ არის ზარატუსტრა, ის არის შემკითხველი, ვინაც ზარატუსტრას არსების გამოკითხვას ცდილობს.

ზეკაცი აღემატება მანამდელ ადამიანს. იგია გადასასვლელი (der rbergang), ხიდი (die Brücke). ზარატუსტრა მასწავლებელია, ის ზეკაცის, ხიდზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ იუწყება. ამ უკანასკნელის ხიდზე გადასვლის გასააზრებლად კი, ჰაიდეგერის თანახმად, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი:

1. ის, საიდანაც გარდავალს გარდამავალი.
2. თავად გარდასვლა.
3. ის, საითაც გარდავალს გარდამავალი.

გარდამავალს ხელმძღვანელად და შემწედ ჰყავს მოძღვარი. სწორედ მას აკისრია გზის ჩვენება. თუკი მხედველობიდან გამოტოვებული იქნა «საით» («wohin»), ხიდზე გარდამავალი საჭის გარეშე და გაურკვევლობაში დარჩება. მეორე მხრივ, გაღმა გარდამავალისათვის და თვით მასწავლებლისთვისაც, ამ შემთხვევაში, ზარატუსტრასთვის, კვლავ შორეულია «საით». ეს უკანასკნელი მუდმივ სიმორეში რჩება. ეს სიმორე თავისებურ სიახლოვესაც ნიშნავს. კერძოდ, სიახლოვეს, რაც შორეულს შორეულად ინარჩუნებს. შორეულის სიახლოვეს, რაც მუდამ ახსოვთ და რასაც ელტვიან, ჰაიდეგერი იხსენიებს სიტყვით die Sehnsucht (სევდა, ძლიერი სურვილი, ლტოლვა). იგი აქვე იძლევა ამ სიტყვის ეტიმოლოგიასაც. მისი თქმით, სიტყვის მეორე შემადგენელი – «sucht» – მისი პირვანდელი და უძველესი შინაარსით უნდა გავიგოთ, რაც «სენს», «სნეულებას», «ავადობას» ნიშნავს. თქმულიდან გამომდინარე, სევდა არის ტკივილი შორეულის სიახლოვის გამო.

ეს სევდა ეკუთვნის მას, ვინც ხიდზე გარდავალს და მის მასწავლებელს, გზის მაჩვენებელს. ორივენი ადგანან გზას, რომელიც ზემოთ უკვე განისაზღვრა, როგორც გამოჯანსაღება, ანუ შინ, საკუთარი არსებისაკენ დაბრუნება.

საინტერესოა, რომ «ზარატუსტრას» იმ თავს, რომელსაც «გამოჯანსაღებულის» ეწოდება, მოსდევს შემდეგი სათაური – «დიდი სევდისათვის» (Von der großen Sehnsucht)¹. ჰაიდეგერის თქმით, ნიციშეს «ესე იტყოდა ზარატუსტრა» III ნაწილის ბოლო თავებში თავის მწვერვალს აღწევს. თვით ნიციშეს ჰქონია ჩანაწერი : «Ein göttliches Leiden ist der Inhalt des III. Zarathustra» (ღვთაებრივი ტანჯვაა «ზარატუსტრას» III ნაწილის შინაარსი).²

1 ნიციშე, ზარატუსტრა, 169.

2 Martin heidegger, Gesamtausgabe, B.7, გვ. 108.

არსებითად, მესამე ნაწილი არის ზარატუსტრას საკუთარ სულთან დიალოგი. სწორედ «ზარატუსტრას» ამ ნაწილში ამოიცინობს ჰაიდეგერი პლატონისეულ სწავლებას ფიქრის რაობის შესახებ, რაც საკუთარ სულთან საუბარს გულისხმობს (თეეტეტი 189 e, სოფისტი 263 e). ამ საუბრისას, დიალოგისას ზარატუსტრა თავისი ყველაზე უძირო ფიქრით ფიქრობს. ეს ფიქრი ყოველი ახლასა და მერეს გამაერთიანებელი უსასრულობიდან იფიქრება. თუმცა, უსასრულობა ნიცშესთან უძრაობას როდი გულისხმობს. უსასრულობა არის მარად იმავეს თავის თავთან უკუქცევა.

დიდი სევდა იმავეს ეფუძნება, საიდანაც მომდინარეობს მისი ერთადერთი ნუგეში – თავდაჯერება (*die Zuversicht*). ნუგეშის (*der Trost*, აქვე: *trauen, zutrauen*) გვერდით ჰაიდეგერი ასახელებს იმედს (*die Hoffnung*).¹ დიდი სევდა ზარატუსტრას დიდი იმედისათვის აღძრავს.

მაგრამ გასარკვევია, რა აძლევს ზარატუსტრას სასოების უფლებას? რა იძლევა იმის იმედს, რომ დაიძლევა ადამიანი, რომ მიიღწევა ზეკაცი? რომელია და როგორი ის ხიდი, რომელზე გარდავლაც კაცისათვის პირველადი ამოცანაა? ნიცშე გარკვევით ამბობს: «რათა ადამიანი ხსნილ იქნას შურისგებისაგან, ესეა ხიდი უმაღლესი იმედისაკენ და ცისარტყელა დიდი ავდრების შემდეგ»²

ჰაიდეგერისათვის მოხმობილ ამონარიდს დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანის შურისგებისაგან (*die Rache*) განთავისუფლების ნიცშესეული მოთხოვნის გაუგონრობა იმას ადასტურებს, რომ ნიცშე ჯერ კიდევ არ არის რიგიანად და საფუძვლიანად ნაკითხული. სხვა შემთხვევაში არ მოხდებოდა ნიცშეს დემონიზება და მისი მოძღვრებისათვის იმის მიწერა, რაც მისგან არ გამომდინარეობს. ნიცშეს ეს მოთხოვნა ვერ გაუგიათ მათ, ვინაც ტოტალური ომის მქადაგებელია და ვერც მათ, ვინც პაციფიზმისა და ანგარებიანი ნეიტრალიტეტის შესახებ საუბრობს. შურისგებისაგან განთავისუფლებული სული ნიცშესთან არის თავისუფალი გონება, თავისუფალი სული (*Freigeisterei*).

ნიცშეს ნააზრევში უჩვეულოდ დაჰკავშირებია ადამიანის დაძლევა და ზეკაცი შურისგებისაგან განთავისუფლების აუცილებლობას. როგორ და რატომ დაუკავშირდა ხიდზე გარდასვლა შურისგებისაგან კაცის განთავისუფლებას?

კაცის ყოველი ფიქრი და საფიქრალი დღემდე შურისგების გარშემო ტრიალებდა. აქ მითითებულ ფიქრში ჰაიდეგერი არა უბრალოდ განსჯას გულისხმობს, არამედ ფიქრს, სადაც დავანებულია ადამიანის მიმართება იმასთან, რაც არის ყოფიერი. რამდენადაც ადამიანი თავის თავს ყოფიერთა რიგს მიაკუთვნებს, ყოფიერებას იგი იმასთან მიმართებით წარმოიდგენს, რაც არის თვითონ. ეს წარმოდგენა (*Vorstellen*), ჰაიდეგერის მიხედვით, არის კიდევ ფიქრი.

ნიცშეს კვალდაკვალ თუ განვსჯით, ეს წარმოდგენა უნდა გვესმოდეს, როგორც შურისგების სულით განსაზღვრული. ამასთან, ამ საკითხის ნიცშესეული გააზრება არის მეტაფიზიკური რამ მოვლენა და არავითარ შემთხვევაში – მორალის თემა. შურისგებისაგან განთავისუფლება არ არის მორალური ხსნის საგანი. ასევე არაფერი აქვს მას საერთო ფსიქოლოგიურ ძიებასთან.

1 «იმედი» ქართულში სპარსულიდან შემოვიდა. ძველი ქართული შესატყვისებია «სასოება» და «გინცი/გინცობა».

2 ნიცშე, ზარატუსტრა, 78.

თუკი თვალს სიტყვის მნიშვნელობასა და ეტიმოლოგიას მივადევნებთ, შურისგება (*die Rache*), შურისძიება (*rächen*), მისცე თავს ძალადობის უფლება (*wreken*) ,შევიწროება (*urgere*)¹ ნიშნავს: ხელის კვრას, გაძევებას, წინ გაგდებას, დევნასა და ჩასაფრებას (*stoßen, treiben, vor sich hertreiben, verfolgen, nachstellen*). მაინც რა გაგებით არის «შურისგება» ამავე დროს «ჩასაფრება» (*nachstellen*)? შურისგება თავის თავში არა მხოლოდ რაიმეს მონადირების, დაუფლების დაუოკებელ სურვილს გულისხმობს. შურისგება არც მხოლოდ მკვლელობის გადაწყვეტილებასა და ამ მიზნით ჩასაფრებას ნიშნავს. შურისმგებელი თავიდანვე ეწინააღმდეგება (*widersetzt*) მას, რისკენაც არის მისი შურისგება მიმართული. შეწინააღმდეგება შურისმგებლის მხრიდან მოწინააღმდეგის დამცირებითა და დამცრობით ხდება. ის ამ სახით ცდილობს საკუთარი უპირატესობის ჩვენებასა და ღირსების აღდგენას, რადგან შურისგება მოკლებულია მოსვენებას დამარცხებისა და დამცირების გრძობათა გამო. «ესე იტყოდა ზარატუსტრა»-ს შექმნის წლებში ნიცშეს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: «გთავაზობთ ყოველი წამებულის შესახებ დაფიქრებას, განა შურისგება არ უბიძგებდა მათ უკიდურესობისაკენ?»

ჰაიდეგერი კიდევ ერთ ამონარიდს მოიხმობს: «ესე, მხოლოდ ესეა შურისგება: ნების უნებობა წინააღმდეგ დროისა და მისი «ესე იყო»-სადმი»

ფილოსოფოსი ნების უნებობას (*der Widerwille*)² სიძულვილს (*der Hau*) უკავშირებს. მათ შორის მცირე მანძილი რჩება. მთავარი კი ის არის, რომ ნება განეყენება მას, რაც არის დრო და მისი «ესე იყო» (*es war*). ჰაიდეგერი ამ საკითხს ორი მიმართულებით შლის. ერთია დროის, როგორც წარმავლობის გააზრება და ნების ამ უკანასკნელთან, წარმავლობასთან დაპირისპირება. მეორე მხრივ, ყოფიერის ყოფიერება ახალი დროის მეტაფიზიკაში გამოჩინდება და გამოითქმის, როგორც ნება (*Wille*). მხოლოდ ამგვარად მიმართული ფიქრის მიდევენებისას შეგვიძლია გავიგოთ, რა აზრით არის ნიცშესეული «შურისგება» მეტაფიზიკური მოვლენა.

ზემოთ მოხმობილი ამონარიდის განმარტებისას ჰაიდეგერი აღნიშნავს, რომ ნების უნებობა, ანუ განეყენება და სიძულვილი, ოდენ «იყოს» წინააღმდეგ როდი იქნება მიმართული. დრო სამივეს გულისხმობს — წარსულს, აწმყოსა და მომავალს. დრო განსაზღვრულია არა მხოლოდ წარსულით, არამედ იმითაც, რაც არის ან რაც იქნება. თუმცა, როგორც ჩანს, ნიცშე საგანგებოდ გამოყოფს «ესე იყოს». ეს საგანგებო მითითება ჰაიდეგერს აფიქრებინებს, რომ საქმე დროს (*die Zeit*), როგორც ასეთს, არ ეხება. აქ საუბარია დროის სპეციფიკურ ასპექტზე. რაც მდგომარეობს იმაში, რომ დრო მდინარებს. მდინარებს რა, წარვალს (*vergeht*). დროებითი (*das Zeitliche*) წარმავალის (*das Vergangliche*) იგივეობრივია. ნიცშესთვის დროის სწორედ ეს წარმავლობაა მნიშვნელოვანი. შურისგება არის ნების უნებობა დროისა და მისი «ესე იყოს»-სადმი, ანუ წარმავლობისადმი.

შურისგება განიმარტა, როგორც წინააღმდეგობა, უნებობა ნებისა და სიძულვილი წარმავლობისადმი. ეს არის ის, რასაც ნება ვერაფერს უხეზებს, რაზეც მისი ნებელობა იმსხვერვა. დრო და მისი «იყო» ნებისათვის არის შებრკოლების ქვა (*der*

1 Duden, Deutsches Universalwörterbuch, Hrsg. Günter Drosdowski, Mannheim, 1988.

2 ტატიშვილისეული თარგმანია.

Stein des Anstoues), რომელსაც ნება ადგილიდან ვერ დაძრავს (wälzen). ნება იტანჯება ამის გამო. მისთვის წარმავლობა სატანჯველია. შესაბამისად, მიწა და ყოველივე, რაც წარმავალია, ჭეშმარიტ ყოფიერებას მოკლებულად განიხილება. უკვე პლატონი უწოდებდა მას $\mu\eta\ \delta\upsilon\nu$, არარსებული (Nicht-Seiende).

თუმცა, უღრმესი ნების უნებობა დროის წინააღმდეგ გამოიხატება არა უბრალო სიძულვილში მიწისა და წარმავლისადმი. ნიცშესთვის უსაზარლესი შურისგება მდგომარეობს აზროვნების იმ სახეში, რომელიც ზედროულ იდეალებს, როგორც აბსოლუტურს, ამკვიდრებს. შესაბამისად, ამგვარ იდეალებთან შედარებით, დროებითი, წარმავალი და მიწიერი, ცხადია, არარსებობამდე დამდაბლდება.

ასეთ შემთხვევაში, რას ნიშნავს ადამიანის დედამიწაზე გაბატონება? როგორ უნდა გავიგოთ ისტორიის ის პერიოდი, როცა ადამიანი მიწის მფარველად ყოფნას ცდილობს? გარდა ამისა, როგორ შეიძლება იგი მიწის მფარველად ყოფნას, თუკი ამავე დროს მიწიერს უარყოფს და დამდაბლებს? გამოდის, მიწის გადასარჩენად, შურისგების სულისაგან დახსნაა საჭირო. ამაღ არის ზარატუსტრასათვის შურისგებისაგან განთავისუფლება ხიდი დიდი იმედისაკენ.

ჰაიდელბერი აღნიშნავს, რომ შურისგების სულისაგან განთავისუფლება არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, როგორც ყოველგვარი ნების უარყოფა. მაგალითად, ისე, როგორც ეს არის შოპენჰაუერთან ან თუნდაც ბუდიზმში. რამდენადაც, ახალი დროის მეტაფიზიკის თანახმად, ყოფიერის ყოფიერება არის ნება, ნებაზე უარის თქმა ყოფიერებაზე უარის თქმასა და სიცარიელეში გადაჩეხვას გაუტოლდებოდა. ნიცშე მოითხოვს უარყოფელი და მიწის მოძულე ნების უკუგდებას. «არა» უნდა ჩაანაცვლოს სხვა ნებამ, რომლის განმსაზღველი იქნება «ჰო» და «ამინი». რას ეთანხმება «ჰო»? სწორედ იმას, რაც დღემდე შურისგების სულის მიერ უარყოფილი და დამცირებული იყო – მიწას, დროებითს, წარმავლობას (das Vergehen).

ამინის მთქმელ ნებას წარმავლის დარჩენა (bleiben) სურს და არა უარყოფა და დამცირება მისი. წარმავლის დარჩენა, ანუ შენარჩუნება, მისი მარადი მოსვლით, მარადი დაბრუნებითა და უკუქცევით ხდება. ამგვარად არის წარმავლობა წარმავლისა მარად იმავეს უკუქცევა. უკუქცევა კი ნამდვილად მაშინ ნარჩუნდება, თუ ის მარადიულია. შურისგებისაგან განთავისუფლება არის დროის უარყოფელი ნების უნებობიდან მარადი უკუქცევისაკენ შემობრუნება. ამგვარად შეიქმნება ნება წრის მეხვაიშნედ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ადამიანი ოდენ მაშინ გადავა ხიდზე და განთავისუფლდება შურისგების სულისაგან, ოდეს ყოფიერის ყოფიერება მას ესმის, როგორც მარად იმავეს უკუქცევა. ამ გზაზე დგომით გარდაიქმნება კაცი ზეკაცად.

ჰაიდელბერი ხაზგასმით მიუთითებს: ზარატუსტრა ზეკაცს მხოლოდ იმის გამო ისწავლება, რომ ის მარადი უკუქცევის მასწავლებელია. მასწავლებლის ეს უკანასკნელი აზრი და სწავლება, რანგის მიხედვით, პირველია – უღრმესი სწავლებაა, ამაღაც, ბოლოსდა გამოითქმის და გაუბედავადაც ისწავლება.

დაუბრუნდეთ თავში დასმულ კითხვას: ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა? ის იმ სწავლების მასწავლებელია, რომელსაც მიზნად დაუსახავს აქამდელი აზროვნების შურისგების სულისაგან მარადი უკუქცევისათვის განთავისუფლება. აქვე

უნდა ითქვას, რომ ზარატუსტრას სწავლება ზეკაცისა და მარადი უკუქცევის შესახებ ორმაგი სწავლება როდია. მისი მოძღვრება ერთიანი და მთლიანია. მოძღვრებაში შემადგენელი ელემენტები ერთმანეთთან უშინაგანეს კავშირშია, ერთი მეორეს განსაზღვრავს. ელემენტთა ეს უერთიერთმიმართება არის ის, რასაც ზარატუსტრას სახე თავის თავში ფარავს.

თანამედროვე მეცნიერებათა საყოველთაო გავრცელება გვატყუებს და შეცდომით გვაფიქრებინებს, რომ ცოდნის მიღება შესაძლებელია მეცნიერებათა საშუალებით. თავად ფიქრიც მეცნიერების ხვედრად ქცეულა, მაგრამ საქმე ისაა, რომ რასაც მოფიქრალი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იტყვის და იფიქრებს, მას ჩვენ სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენებით ვერც დავადასტურებთ და ვერც უარვყოფთ. ასეთი ფიქრი და მისი ნაყოფი ექსპერიმენტის მიღმა რჩება. ცხადია, რაც საბუნებისმეტყველო მეთოდით ვერ შემოწმდება, ამით ის რწმენის სფეროში როდი გადადის. მოფიქრალის ნაფიქრი, ჰაიდეგერის თქმით, საპასუხო კითხვა-ფიქრით (*fragend-denkend*) განიჭვრიტება. თავის მხრივ, განჭვრეტილი გამოგვიჩნდება, როგორც საეჭვო (*fragwürdig*)¹.

ამას ამბობს გამოჯანსაღებული: «მე ზარატუსტრა, მეოხე ცხოვრებისა; მეოხე ურვისა; მეოხე წრისა – შენ მოგიწოდებ ჩემს აზრთაგან უღრმესო!»² სწორედ ამგვარადვე იხსენიებს ზარატუსტრა აზრს მარად იმავეს უკუქცევის შესახებ III ნაწილის იმ თავში, რომელსაც ეწოდება «ჩვენებისა და გამოცანისათვის» (*Vom Gesicht und Rätsel*)³.

ჯუჯვასთან საუბრისას ზარატუსტრა, არსებითად, პირველად ცდილობს იმის გააზრებასა და მოხელთებას, რისკენაც არის მისი სევდა (*Sehensucht*) მიმართული. ჰაიდეგერის თქმით, მარად იმავეს უკუქცევა ზარატუსტრასათვის ჯერ კიდევ ჩვენებად და გამოცანად რჩება. ეს უკანასკნელი კი ვერც ლოგიკურად ან ემპირიულად დამტკიცდება და ვერც უარიყოფა. ასვე ითქმის ნებისმიერი მოფიქრალის ჭეშმარიტად ღირებული აზრის შესახებ.

ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა? ახლა უკვე შესაძლებელია, კითხვას ფორმალური პასუხი გავცეს: ზარატუსტრა არის მარად იმავეს უკუქცევისა და ზეკაცის მასწავლებელი. პრინციპულია, რომ ეს ორი ორი სხვადასხვა კი არაა, არამედ – ერთი მთლიანია. ზარატუსტრა «ზეკაცის» მასწავლებელია, რამდენადაც ის «მარად იმავეს უკუქცევის» მასწავლებელია. და პირიქით – «მარად იმავეს უკუქცევის» მასწავლებელია, რამდენადაც «ზეკაცისას» ისწავლება. ორი სწავლება (*die Lehren*) წრეს ქმნის. იმის ნყალობით, რომ თავად მოძღვრება არის წრე, იგი შეესაბამება მას, რაც, როგორც მარად იმავეს უკუქცევა, ყოფიერთა ყოფიერებას შეადგენს.

უდიდესი ნება ძალაუფლებისაკენ, სიცოცხლე თავის უმაღლეს საფეხურზე, წარმავალის მარად იმავეს უკუქცევაში წარმოდგენაა. ასეთი წარმოდგენა არის ფიქრი, რომელიც, ნიცშეს თანახმად, ყოფიერების ხასიათს გამოჰქდავს. ასეთი

1 სიტყვასიტყვით „საკითხავი“.

2 ნიცშე, ზარატუსტრა, 164.

3 იქვე, 118.

ფიქრი და აზროვნება თავის მფარველობაში მიიღებს ყოფას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მუდმივი შეჯახება, ტანჯვა, დარტყმები.

აქ ჰაიდელგერი კვლავ იკითხავს: გადაილახება თუ არა ამგვარი ფიქრით ძველი აზროვნება, შურისგების სული? იქნებ, ფიქრი, რომელიც წარმავალს მარად იმავეს უკუქცევის მფარველობის ქვეშ აქცევს, ასევე შურისგების მეტად გართულებული ფორმაა (ein höchst vergeistiger Geist der Rache)? წარმავლის მარადი უკუქცევა ხომ არ გულისხმობს თვით წარმავალთან დაპირისპირებას და, შესაბამისად, შურისგების სულის ახალ, დახვეწილ გამოვლენას?

ისე გამოდის, რომ ზემოთ დასმული კითხვა ნიცშეს ნაფიქრის უარყოფას გულისხმობს. ამგვარი შეკითხვა თითქოს ცდილობს, ნიცშეს მიანეროს ის, რის გადალახვასაც იგი ესწრაფვოდა. საინტერესოა შემდეგი: უარყოფის სურვილი (das Widerlegenwollen), ჰაიდელგერის თანახმად, ვერასდროს მიაგნებს მოფიქრალის გზას. ეს ნიშნავს, რომ უარყოფის სურვილით ატანილისთვის პრინციპულად გაუგებარი და უცხო რჩება მოაზროვნის ძირითადი სათქმელი. ამგვარი სურვილი სულით მცირეთა (Kleingeisterei) ხვედრია, რომელთა უსაზმნო მსჯელობანი (die Auslassungen) ოდენ მასების გასართობადაა გამოსადეგი.

და მაინც, გადაილახა თუ არა თვით ნიცშეს ფილოსოფიაში შურისგების სული? ხომ არ მოგვიწევს იმის აღიარება, რომ შურისგების სული, როგორც ის ნიცშეს ესმოდა, კვლავ დაუძლეველი რჩება? ჰაიდელგერი ამ საკითხს ღიად ტოვებს. ცხადია, ამას აქვს თავისი მიზეზი. კერძოდ: ჰაიდელგერის მთელი მსჯელობიდან მხოლოდ ის გამოდის, რომ ნიცშეს ნააზრევი მანამდე მეთაფიზიკას ემყარება და მისგან გამომდინარეობს. ნიცშეს ფილოსოფია თავადვეა მეთაფიზიკა. აქედან გამომდინარე, როგორ გადალახავს იგი შურისგების სულს, თუკი თავადაც აზროვნების იმ წესს ემყარება, რომლის არსიც შურისგებაა?

ჰაიდელგერისათვის ზემოთ მოყვანილი მსჯელობა არ ნიშნავს ნიცშეს ნააზრევის უარყოფას ან მასთან შედაგებას. ფილოსოფოსი ამ გზით ცდილობს ნიცშეს ნაფიქრში იმის ჩვენებას, რასაც თვით ეს ფიქრი ვეღარ იფიქრებს (was dieses Denken selber nicht mehr zu denken vermag). ნიცშეს ნააზრევი, ეფუძნება რა მეთაფიზიკას, კიდევ აბოლოებს მას. მეთაფიზიკა ნიცშეს თავის ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავს.

ჰაიდელგერის განმარტებით, მეთაფიზიკური აზროვნების წესი ეფუძნება განსხვავებას ქვეშაირიტად არსებულსა და არარსებულს შორის. მეთაფიზიკის არსის გასაგებად გადამწყვეტია არა ის, რომ დასახელებული განსხვავება გრძნობადისა და ზეგრძნობადის დაპირისპირებაში წარმოჩინდება, არამედ, გაცილებით მნიშვნელოვანია თავად განსხვავების, დაპირისპირების (Unterschied im Sinne einer Zerklüftung) ფაქტი. პლატონის საპირისპიროდ, ნიცშე ზეგრძნობადის წინააღმდეგ გრძნობადის უპირატესობას ამტკიცებს. ეს პლატონისეული იერარქიის გადმოყრევებაა, მაგრამ არსი მაინც უცვლელია – დაპირისპირება, განსხვავება ღირებულსა და ნაკლებღირებულს შორის შენარჩუნებულია. ნიცშე დასავლური მეთაფიზიკის ფარგლებში ფიქრობს. ის, რასაც ნიცშე «დიონისეს» უწოდებს და რაც გრძნობადის პრიმატს უსვამს ხაზს, კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ფაქტს.

ნიცშემ თავის ნააზრევში დაუმუშავებელი დატოვა ჭეშმარიტად მეტაფიზიკური წინააღმდეგობა და ნების უნებობა (der Widerwillen). კერძოდ, თავის უკანასკნელ ნაშრომს «Ecce homo», რომელიც მან 1888 წლის ოქტომბერში დაასრულა, ხოლო 1911 წელს ნიცშეს თზულებათა ტომეულში იქნა ჩართული, ნიცშე შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

«– Hat man mich verstanden? – Dionysos gegen den Gekreuzigten...»¹ («გამიგეს კია? – დიონისე ჯვარცმულის წინააღმდეგ...»)

ზარატუსტრა მასწავლებელია, დიონისეს მეოხი, რომელიც მარადი უკუქცევისა და ზეკაცის შესახებ ისწავლება. თავში დასმულ კითხვაზე ასეთი პასუხის გაცემა ახლა უკვე ლოგიკური და სრულიად დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს, მაგრამ ჰაიდეგერისათვის ნებისმიერი განსაზღვრული, კონკრეტული პასუხი იმპულსია ახალი განსჯისა და ბევრად ღრმა ფიქრის ნამონწყებისათვის.

ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა? ამით ჩვენ ვკითხულობთ: ვინ არის ეს მასწავლებელი? ვინ არის ეს პერსონაჟი (die Gestalt), ვინაც მეტაფიზიკის დამასრულებელ ეტაპზე გამოჩნდება?

არსებითი კი კვლავ ისაა, რომ მასწავლებელი ორმაგი სწავლების ერთიანობას ისწავლება. თავად ზარატუსტრა განასახიერებს ამგვარ ერთობას. ამ თვალსაზრისით, ჰაიდეგერისათვის ზარატუსტრა ბოლომდე გამოცანად რჩება.

«მარად იმავს უკუქცევა» – ეს არის სახელი ყოფიერის ყოფიერებისა. «ზეკაცი» – კი ადამიანის არსებისა, რომელიც თანხმობაშია ყოფიერებასთან.

აქ საკითხავია შემდეგი: როგორ და რაგვარად ხდება ყოფიერებისა და კაცის შეთანხმება, თუ არც ყოფიერებაა კაცის დანაბადი და არც კაცია ყოფიერთა შიგნით რაიმე განსაკუთრებული მოვლენა? შეიძლება კი საერთოდ რაიმე შეთანხმებაზე საუბარი, ვიდრე აზროვნება ადამიანის რაობის აქამდელ განმარტებას ებლაუჭება? ჰაიდეგერი გულისხმობს იმ განმარტებას, რომლის მიხედვითაც ადამიანი animal rationale, გონიერი ცხოველია.

აქვე ფილოსოფოსი სვამს კითხვას: შემთხვევითია თუ მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული სამკაული ის, რომ ზარატუსტრას მისი ცხოველები, უამაყესი და უგონიერესი თანამგზავრნი უჩვენებენ გზას? ისინი განამხნევენ მასწავლებელს და მიუთითებენ მასზე, რადაც უნდა იქმნას იგი. ამაყი და ბრძენი ცხოველნი ერთობას ქმნიან ერთობას, რომელიც თვით მასწავლებელში, მოფიქრალში გადმოდის და ხორციელდება.

ჰაიდეგერის თქმით, გამოცანა, თუ ვინ არის ზარატუსტრა, ზეკაცისა და მარადი უკუქცევის მასწავლებელი, უფრო ცხადი ხდება, როცა მის ერთგულ ცხოველებს დავაკვირდებით და განსჯის საგნად ვაქცევთ.

სიამაყე (არწივი), რომელსაც მორალი განიკითხავს და გმობს კიდევ, ზარატუსტრას თანამგზავრი და მისი გონიერების (გველი) აუცილებელი წყვილია. გონიერება სიამაყეს წრიულად არის გადაჭდობილი. ზარატუსტრა დიდ მიზანს უსახავს თავის თავს და შეუძლებელს ითხოვს თავისი გონებისაგან. ამ მიზეზით უბირთავან გარიყული ზარატუსტრა მარტოობასა და მიტოვებულობაში აღმოჩნდება. გზის გასაგრძელებლად კი მისი გონება თავის ერთგულ თანამგზავრს, სიამაყეს საჭირო-

1 Friedrich Nietzsche, Werke, Hrsg. von Karl Schlechta, 2000.

ებს. ქრისტიანობისაგან ცოდვად შერაცხილი სიამაყე მოფიქრალისა და ფილოსოფოსის გარდაუვალი ხვედრია.

საინტერესოა შემდეგი: ჰაიდეგერისათვის ზარატუსტრას ვინაობის გამოცანა მთლიანად უკავშირდება მისი სწავლების იდუმალებასა და ამოუხსნელობას. ზარატუსტრას «უძირო ფიქრი» ბოლომდე გამოცანად რჩება. «ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა?»-ს დანართში¹ ჰაიდეგერი აღნიშნავს, რომ ზარატუსტრას მოძღვრება, კერძოდ, მისი სწავლება «მარად იმავეს უკუქცევის» შესახებ, ერთ-ერთი ყველაზე ბნელი აზრია დასავლეთის მეტაფიზიკის ისტორიაში. აქედან გამომდინარე, მისი ამოხსნა დაუძლეველ ამოცანად რჩება. თუმცა, ეს როდი ნიშნავს მისგან თავის არიდებასა და ხელალებით მის უარყოფას.

თავის ასარიდებლად კი, ძირითადად, ორი არგუმენტი მოჰყავთ ხოლმე. პირველის თანახმად, ნიცშეს აზრი მარად იმავეს უკუქცევის თაობაზე მისტიკის სფეროში გადადის და შორს სცდება ფილოსოფიისა და სალი განსჯის ფარგლებს.

მეორე არგუმენტის მიხედვით კი, ეს აზრი ძალიან ძველია და ციკლური დროის შესახებ უძველეს წარმოდგენას ეფუძნება. ამგვარი წარმოდგენის მიგნება თვით დასავლური ფილოსოფიის შიგნითაც არის შესაძლებელი, მაგალითად, ჰერაკლიტესთან.

მეორე არგუმენტი ჰაიდეგერს არაფერს ეუბნება, რადგან ის, რაც ამ აზრში დაფარული და გამოუცნობია, დაფარულივე რჩება ნებისმიერი ეპოქისა და დროის მიუხედავად. რაც შეეხება პირველს, მის უსაფუძვლობას უკვე თანამედროვეობა და, განსაკუთრებით, თანამედროვე ტექნიკა გვიმტკიცებს. ჰაიდეგერი შიდაწვის ძრავას მარად იმავეს უკუქცევის გაფორმებად მიიჩნევს და აქვე შენიშნავს, რომ შიდაწვის ძრავის არსი ისევე ვერ აიხსნება, მანქანურობიდან და მექანიკურობიდან გამომდინარე, როგორც ნიცშეს მოძღვრება მარად იმავეს უკუქცევის შესახებ.

* * *

დასკვნის სახით შევეცადოთ, კიდევ ერთხელ მოვუყაროთ თავი «ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა?»-ს ძირითად სათქმელს:

- ზარატუსტრა მოსაუბრეა, მეტყველია.
- მისი საუბარი არის არა სახალხო მთქმელობა ან წინასწარმეტყველება. ზარატუსტრა მეოხია, მეხვაიშნეა. იგი ცხოვრებას, მინას, წარმავლობას, ურვასა და წრეს მეოხებს.
- ცხოვრება იგივეა, რაც «ნება ძალაუფლებისაკენ».
- ზარატუსტრა გამოჯანსაღებულია. იგი შინდაბრუნებულია, ეს ნიშნავს: ზარატუსტრა თავის თავს, თავის არსებით დანიშნულებას დაუბრუნდა. მას შეუძლია თქვას, ვინ და რა არის თვითონ.
- ის მასწავლებელია. ზარატუსტრა «ზეკაცისა» და «მარად იმავეს უკუქცევის» შესახებ ისწავლება. მისი მოძღვრება ერთ მთლიანობასა და წრეს

1 «Anmerkungen über die ewige Wiederkehr des Gleichen».

ქმნის. თუმცა, რანგით მაინც «მარად იმავეს უკუქცევის» სწავლება ალემატება «ზეკაცის» შესახებ მოძღვრებას.

- «ზეკაცია» ჰაიდეგერისათვის სრულიად კონკრეტული შინაარსის მქონეა. «ზეკაცია» ნიშნავს: ადამიანის მისსავე განუხორციელებელ არსებამდე ამაღლებას და მის იქ დამკვიდრებას.
- «მარად იმავეს უკუქცევა» წარმავლის, «ესე იყოს» მარადი დაბრუნებაა. ჰაიდეგერისათვის ნიციშეს ეს აზრი ერთ-ერთი ყველაზე რთულად ამოსაცნობია. «მარად იმავეს უკუქცევა» მეტაფიზიკის ფარგლებში ბოლომდე ვერ გაიაზრება და დაფარული რჩება. ამ აზრის ამოუხსნელობა არასდროს იძლევა მისი უარყოფის უფლებას. ჰაიდეგერისათვის თვით თანამედროვე ტექნიკაა მარად იმავეს უკუქცევის გაფორმება.
- «მარად იმავეს უკუქცევა» არის სახელი ყოფიერის ყოფიერებისა. «ზეკაცია» კი – ადამიანის არსებისა, რომელიც თანხმობაშია ყოფიერებასთან.
- ზარატუსტრა უნდა იქმნას იმად, რაც არის თავად. თუმცა, იგი უფროთხის ამ გარდაქმნას. ყოვლისმომცველი შიში წიგნის დასაწყისიდანვე იგრძნობა და ნაწარმოების ენობრივ თავისებურებასაც განსაზღვრავს. ამ ყოვლისმომცველი შიშის დანახვის გარეშე, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ ვინ არის ზარატუსტრა. შიშია იმის მიზეზი, რომ «მარად იმავეს უკუქცევის» მასწავლებელი თავის სწავლებას «ზეკაციით» იწყებს.
- ადამიანმა, რომელმაც დედამიწაზე ბატონობა და მიწის მფარველად ყოფნა განიზრახა, შურისგების სულისაგან განთავისუფლება უნდა შეიძლოს. ეს არის ხიდი დიდი იმედისაკენ.
- შურისგების სულისაგან განთავისუფლება არ არის მორალის თუ ფსიქოლოგიური ძიების საგანი. ესაა დასავლეთის მეტაფიზიკური აზროვნების ძირითადი ნიშანი.
- შურისგება მიმართულია წარმავლობისა და დროის «ესე იყოს» წინააღმდეგ. უღრმესი შურისგება წარმავალს, მიწას აკნინებს და მის ნაცვლად ზედროულ იდეალებს ამკვიდრებს.
- «არა»-ს მთქმელი ნება უნდა ჩაანაცვლოს «ჰოს» და «ამინის» ნებამ. მხოლოდ ასე დაიძლევა შურისგების სული.
- ზარატუსტრა მასწავლებელი და წინამძღოლია, რომელიც ხიდზე გარდამავალს გზას მიუთითებს და შურისგების სულისაგან განთავისუფლებას უსახავს მიზნად.
- რამდენადაც ნიციშე მეტაფიზიკის ფარგლებში რჩება, ის ვერ ახერხებს თავისივე მოთხოვნის, შურისგების სულის დაძლევას.
- ზარატუსტრა, როგორც პერსონაჟი, მეტაფიზიკის დასასრულის პერიოდს ეკუთვნის.

- ზარათუსტრას ვინაობას მისი ცხოველები გვიმხელენ. უამაყესი ცხოველი (არწივი) და უგონიერესი ცხოველი (გველი) წრეს ქმნიან, გონება სიამაყეს წრიულად ეხვევა. ნებისმიერი ქეშმარიტი ფილოსოფოსისა და მოფიქრალის გონება უშინაგანეს კავშირშია მის სიამაყესთან. ის, რაც უბირთათვის ცოდვაა, ფილოსოფოსისათვის ბედისწერა და გარდაუვალობაა.

ლიტერატურა:

1. ფრიდრიჰ ნიცშე. ესე იტყოდა ზარათუსტრა. მთარგ. ერეკლე ტატიშვილი. თბილისი, 1993.
2. Duden, Deutsches Universalwörterbuch, Hrsg. Günter Drosdowski, Mannheim, 1988.
3. Friedrich Nietzsche, Werke, Hrsg. von Karl Schlechta, 2000.
4. Heidegger- Handbuch. Leben - Werk — Wirkung, Deiter Thomä(Hrsg.), Stuttgart, 2003.
5. Martin heidegger, Gesamtausgabe,B.7, Vorträge und Aufsätze, Frankfurt am Main,2000.

TORNIKE QORGLISHVILI

Martin Heidegger's Essay "Who is Nietzsche's Zarathustra?"

Summary

The paper is aimed at marking ideas of two directions: 1. the lie as the existential experience of being; or the phenomenology of lie and 2. the phenomenology of master and apprentice. The introduction to the first part is the analysis of religious experience of Indian culture, certain myths and lexical materials are discussed. In the second one –the essay of Martin Heidegger "Who is Nietzsche's Zarathustra" and the elements of Indian culture are considered.

It must be said, that the aim of this paper is not to settle the question or represent the final answers. Primary problem – which makes this work valuable – is to put a question and find out the ways for the discussion.

For the entrails of Abrahamic culture the passage, discussed in Brihadaraniaca's work, appears to be obscure. This obscurity for Abrahamic and especially for Christian believers appears because of their omnibenevolent, merciful God is incomprehensible as well, but not because of loving this incomprehensibility, but because of sinful nature of the man. He is the truth not the lie. God doesn't lie. God doesn't cheat a man. It's difficult, actually impossible to imagine Christ laughing at one of his apostles. Even more, according to the New Testament, loud or satiric laughter is unimaginable for Christ. It's easy to portray Christ with merciful and lovely face, but not with evil and juggling smile. It's difficult to assume that for example, Tzabaoth swindled Moses at Mount Sinai and told a lie about, for example, the value of Decalogue or about, for example, his

1 In the comparative analysis we have made, we referred mainly to the editions in Wallachia, that is why we won’t include the editions of Dosoftei, Iași 1679 and 1683; it seems that apart from the argument for the religious service in the national language, St. Antim did not take into account at all this edition for the text or the liturgical language, as is also the case with the *Rules for Deacons* printed at Bălgrad in 1687.

References:

1. Angelescu, Pr. Paraschiv, *Slavă și Mărire*, Bucharest, 1939.
2. Bădără, Doru, *Tiparul românesc la sfârșitul secolului al XVII-lea și începutul secolului al XVIII-lea*, Brăila, 1998.
3. Bianu, I. and Hodoș, N., *Bibliografia Românească Veche*, Vol IV, București, 1944.
4. Bianu, I. and Hodoș, N., *Bibliografia Românească Veche*, Vol. I, București, 1903.
5. *Cartea veche românească în colecțiile Bibliotecii Centrale Universitare din București*, București, 1972.
6. Chițulescu, Arhim. Policarp, *Cărți din bibliotecile medievale românești păstrate în Biblioteca Sfântului Sinod*, București, 2011.
7. Chițulescu, Arhim. Policarp, *Considerations about the importance of the Psalms Book from Bălgrad in 1651*, in the vol. *Polychronion for the professor Nicolae - Șerban Tanașoca at 70 years*, Bucharest, 2012.
8. Coravu, Drd. Dimitrie, *Precizări și contribuții la Bibliografia Românească Veche*, in *Mitropolia Olteniei*, XVIII (1968) nr. 9-10.
9. Dosoftei, *Dumnezeiasca liturghie*, 1679 critical edition by Ursu, N.A., Iași, 1980.
10. *Euchologion* (the Molitvenic), Târgoviște, 1713.
11. *Euchologion*, 1692.
12. *Greek Euchologion*, Buzău, 1702.
13. *Greek Euchologion*, Râmnic, 1706.
14. *Greek Euchologion*, Venice, 1691.
15. *Greek-Arab Hieratikon*, Snagov, 1701.
16. *Hieratikon*, Bucharest, 1680.
17. *Hieratikon*, Bucharest, 1728.
18. *Hieratikon*, Dealu, 1646.
19. *Hieratikon*, Târgoviște, 1713.
20. Ică, Deac. Ioan I. in the vol. *Canonul Ortodoxiei I, Canonul apostolic al primelor secole*, Sibiu, 2008.
21. Molin, Virgil, *Antim Ivireanul – editor și tipograf la Râmnic*, in: *Mitropolia Olteniei*, XVIII (1966), nr. 9- 10.
22. Mureșianu, I. B., *Cartea veche bisericească din Banat*, Timișoara, 1985.
23. *Mystirio or Sacrament*, Târgoviște, 1651.
24. Nițulescu, Dr. Gabriela, *Cartea tipărită la Târgoviște și Renașterea românească*, Târgoviște, 2009.
25. Oltean, V., *Catalog de carte veche din Șcheii Brașovului*, vol. II, Iași, 2009.
26. *Orthodox hieratikon* of the Metropolitan Ștefan of Hungarowallachia, 1790.
27. *Orthodox Hieratikon* printed by Petru Movilă, Kiev, 1639.
28. Păcurariu, Pr. Prof. Mircea, *Cultura teologică românească*, Bucharest, 2011.
29. Poenaru, Daniela in *Contribuții la Bibliografia Românească Veche*, Târgoviște, 1973.
30. Șerbănescu, Pr. N., *Antim Ivireanul tipograf in Biserica Ortodoxă Română*, LXXIV (1956) nr. 8-9.
31. Șerbănescu, Pr. N., *Mitropolitul Antim Ivireanul 1716-1966*, in: *Mitropolia Olteniei*, XVIII (1966), nr. 9- 10.

32. *The Godly liturgy*, Iași, 1679.
33. *The holy and godly liturgy*, Bucharest, 1680.
34. *The Key of understanding*, Bucharest, 1678.
35. Tugearu, Liana, *Miniatura și ornamentul manuscriselor din colecția de artă medievală românească a Muzeului Național de Artă al României*, vol. II, București, 2006.

არქიმანდრიტი პოლიკარპე ჩიტულესკუ

წმინდა ანთიმოზ ივანოვიჩის მიხედვით დაბეჭდილი ხაზგაშლილი სამღვდლო წიგნები

ლიტურგიკული ტექსტების, განსაკუთრებით, ღვთაებრივი ლიტურგიის რუმინული ენაზე თარგმანი და გამართვა უკავშირდება წმინდა ანთიმოზ ივერიელის ღვაწლს. თავდაპირველად მან რუმინულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ბევრი საღვთო-საკულტო წიგნი. ვალაქიის მიტროპოლიტად მისი დანიშვნის შემდეგ იგი შეუდგა საქმიანობას რუმინულ ენაზე საღვთისმსახური კრებულის – ევხალოგიის – მომზადებისა და გამოცემის მიმართულებით. ეს წიგნი 1713 წელს მან ტარგოვიშტეში დაბეჭდა. კვლევაში დადასტურებულია, რომ კრებულის თარგმანისას ძირითად წყაროდ გამოყენებულია ვენეციაში 1691 წელს გლუკის მიერ ბერძნულ ენაზე გამოცემული ევხალოგია. დადასტურებულია, რომ წმინდა ანთიმოზმა ასევე გამოიყენა სლავურ-რუმინულ ენაზე არსებული გამოცემები. მაგრამ ისინი ხარვეზიანი და არასრულყოფილი იყო. წმ. ანთიმოზი მიზნად ისახავდა სრულ, გამართულ სამღვდლო წიგნის შექმნას, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა მთელი ლიტურგიის რუმინულ ენაზე ჩატარება. იგი უფრო პრაქტიკულად უნდა აგებულიყო, რათა გაემარტივებინა საეკლესიო მსახურების სრულყოფილი წარმართვა. კვლევის შედეგად გაცხადდა წმინდა ანთიმოზ ივერიელის მიერ გამოცემული წიგნის მახასიათებლები, მისი უნაკლო ხასიათი. მას დღესაც უცვლელად გამოიყენებენ რუმინულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ღვთისმსახურნი.

ანთიმოზი ირანის და დასავლეთის ბანანათმშენებლობა*

1. ევროპა ბალკანურ-კავკასიურ მერიდიანზე

ნმ. ანთიმოზი ივერიელის ცხოვრებისა და შემოქმედების რეაქტუალიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული „ევროპის იდეასთან“ და ამ „იდეის“ კავშირთან ორ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-ისტორიულ რეგიონთან – საქართველოსა და რუმინეთთან. ახალი ევროპის წარმოშობა ტრადიციულად გულისხმობდა დაყოფას – დასავლეთი და აღმოსავლეთი. დასავლეთი ევროპა, როგორც ცივილიზაციური მოდელი და გარკვეულ ხალხთა საინტეგრაციო ცენტრი სათავეს ანტიკურ საბერძნეთში იღებს, მისი მემკვიდრე რომის იმპერიაა, შემდეგ ახალი, ანუ განმანათლებლობის ეპოქის ევროპა.

XX საუკუნეში ორი მსოფლიო ომის შემდეგ, რომლებიც ევროპის შუაგულში წარმოშვა. დამთავრდა „საერთო-ევროპული სახლის მშენებლობა, ევროპის „იდეა“ რეალობად იქცა, „შეიქმნა ევროკავშირი, ანუ გაფორმდა ევროატლანტიკური ცივილიზაციური იდენტობა.

ანთიმ ივერიელი, XVII-XVIII საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწე, ქართველი, რომელიც მოღვაწეობდა ევროპაში (ბალკანეთში, რუმინეთში), შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევროპის უმნიშვნელოვანესი და ჯერ ნაკლებად ცნობილი ქართულ-რუმინული ვექტორის შემოქმედი მოაზროვნე და პრაქტიკულად განმახორციელებელი.

ჩვენი სტატიის ამოცანაა, ანთიმოზი ივერიელის ცხოვრებისა და შემოქმედების მაგალითზე გავამართლოთ თვითონ ეს ტერმინ-სინტაგმა – „ევროპის ქართულ-რუმინული (თუ ბალკანურ-კავკასიური) ვექტორი“.

როგორც ცნობილია, „დასავლეთ ევროპასთან“ ერთად განსხვავებენ ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპას. ეს რეგიონები განიხილება, როგორც „დასავლეთ ევროპის“ კულტურულ-პოლიტიკური პერიფერიები. საქართველო და რუმინეთი სწორედ ასეთ „პერიფერიებად“ განიხილება. ანთიმოზი ივერიელის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვა ამ კუთხით მნიშვნელოვან პერსპექტივებს ხსნის და ძალზედ აქტუალურს ხდის თანამედროვეებისთვის. თანამედროვე მსოფლიოს მომავალი დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყდება „ევროკავშირის“, როგორც გარკვეული ტიპის ცივილიზაციის, საინტეგრაციო ზონის გაფართოების საკითხი.

საქართველოცა და რუმინეთიც მუდამ წარმოადგენდნენ განსხვავებულ ცივილიზაციურ მოდელთა შეხვედრისა და შეჯახების, მათი კონკურენციისა და სინთეზის ეპიცენტრებს. ამ ეპიცენტრთა შორის ხიდგამდები მოღვაწეა ანთიმოზი ივერიელი, რომელმაც მოხაზა ბალკანურ-კავკასიური ევროპის კონტურები.

* სტატია შეიქმნა რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით.

ანთიმის სახელთანაა დაკავშირებული ბექდვითი საქმიანობის განვითარება მთელს აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში, ანუ პოსტბიზანტიური კულტურული არეალის სამყაროში. ერთი რუმინელი ავტორი წერს: „ამბავმა ვლაჰეთის სტამბების პროდუქტიულობის შესახებ, რომელსაც თავის მფარველობას არ აკლებდა მთავარი კონსტანტინე ბრინკევიანუ, მიაღწია შორს აღმოსავლეთამდე, კავკასიის მთებამდე, სადაც ცხოვრობდნენ იბერიელები ანუ ქართველები. ანთიმ ივერიელს არ გაუწყვეტია კავშირი თავისიანებთან, თავის საყვარელ თანამემამულეებთან, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იყვნენ“

ვახტანგ VI-ის თხოვნით, ანთიმმა საქართველოში გამოაგზავნა იპოლიაკონი მიხეილ იშტვანოვიჩი – „ყველაზე უფრო ერთგული და დახელოვნებული თავისი მოწაფეთაგანი“. სწორედ ანთიმის ინიციატივითა და პირადი ძალისხმევით შეიქმნა თბილისში პირველი ქართული სტამბა. სხვა რუმინელი ავტორი გადმოგცემს, რომ „ანთიმმა, მიუხედავად იმისა, რომ შეისისხლხორცა თავისი მეორე სამშობლო, ერთი წუთითაც არ ივინყებდა ივერიის მიწას, სადაც იგი დაიბადა... მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ქართველებთან“.

ანთიმის სახელთანაა დაკავშირებული ბექდვითი საქმიანობის გავრცელება მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსა და იერუსალიმის საპატრიარქოში, სირიასა და თბილისში. მან ვლაჰეთი აქცია განათლებისა და პოლიგრაფიული საქმიანობის მსოფლიო ცენტრად, საიდანაც საერთაშორისო მასშტაბით ვრცელდებოდა წიგნები. „წიგნებით აივსო ვლაჰეთი“, „ივერთ მიწა გამდიდრდა წიგნებით“, „განა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა, სხვა ქვეყნებიც“.

2. სახელი – სიმბოლო „iverianul“

წმ. ანთიმი ცხოვრობდა (1660-1716) განმანათლებლობის ეპოქაში. ის იყო „დიდი განმანათლებელი და ჰუმანისტი“, პოლიგრაფიული საქმის ორგანიზატორი მსოფლიო მასშტაბით, რუმინული სალიტერატურო და საეკლესიო ენის რეფორმატორი; რუმინული და ქართული კულტურის ცენტრალური ფიგურა მე-18 საუკუნის დასაწყისში.

ბუქარესტის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს ავტორი, 1696 წლიდან „ანთიმის“ სახელის გვერდით აწერს საკუთარი სამშობლოს – საქართველოს – სახელს „iverianul“. ესაა სახელი – სიმბოლო! განემარტოთ ეს სიმბოლო.

განათლებული მსოფლიო საქართველოს იცნობს ორი ტერმინით: Kolxida და Iveria. Kolxida იყო ელინური სამყაროს უკიდურესი ფორპოსტი აღმოსავლეთში. ცნობილია არგონავტების ექსპედიცია კოლხიდაში, ანტიკური ევროპის საზღვარი გადიოდა კოლხიდაში, მდინარე ფაზისზე – მეფე აიეტისა და იაზონის კოლხი ცოლის, მედეას ქვეყანაში. Kolxida წარმართული საქართველოს სახელია. Iveria კი – ქრისტიანული საქართველოსი. IV საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ცხადდება საქართველოში, ე.ი. აღარ არსებობს წარმართული საქართველო. Kolxida, „ძველი იზრაელი“. ხდება st. Iveria, „ახალი ისრაელი“ და ქრისტიანული სამყაროს ფორპოსტი აღმოსავლეთში.

ასეთია ტერმინ Iverianul-ის სიმბოლური შინაარსი. ეს შეგნება (იდენტობის ფორმა) ანთიმს ბავშვობიდანვე ჰქონდა საქართველოში მიღებული. ანალოგიურია რუმინული იდენტობაც. „უანგარო-ვლაჰეით“, „ტრანსილვანია“ იყო pax Romana-ს, ბიზანტიზმის, ელინო-ლათინური უნივერსუმის ფორპოსტი ბალკანეთში.

ასე განიმარტება სინტაგმა Antim iverianul. ეს რუმინელ-ქართველი კულტურ-ტრეგერი შეიძლება განვიხილოთ „ევროპის“ (ქრისტიანული სამყაროს) ბალკანურ-კავკასიური ვექტორის პრეზენტაციადა.

განმანათლებლობის ანთიმოზისეული კონცეფცია განსხვავდება დასავლეთ-ევროპული და ევრაზიულ-რუსული მოდელებისგან. დასავლური მოდელის პოსტულატებია: *autonomi of reason*, დეკარტეს „*Cogito ergo sum*“, კანტის „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში; გერმანელი ფილოსოფოსის, იაკობის ფორმულა: „მე ვარ გონებით წარმართი, გულით კი – ქრისტიანი“. ნმ. ანთიმის კონცეფცია უარყოფს ამ დუალიზმს და ავტონომიზს. ის გულისხმობს თვითონ გონების ტრანსფორმაციას გამოცხადებაზე დამყარებით. ნმ. ანთიმის აზრით, ასეთია ცივილიზაციათა დიალოგისა და ინტეგრაციის პრინციპი.

აღსანიშნავია ნმ. ანთიმის ერთი მოდერნული თეოლოგუმენა, „მოდერნული“ თავისი სტილითა და შინაარსით. ქადაგებაში „ღვთისმშობლის მიძინების შესახებ“ ის ამბობს: ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედ ღმერთს თავისი ყოვლად-ძლიერებით შეეძლო შეექმნა სამყარო უფრო დიადი და საკვირველი, ვიდრე ის, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, მაგრამ მას არ შეეძლო შეექმნა არსება, თავის ღირსებაში რომ აღემატებოდეს დედა ღვთისმშობელს. „მისი ყოვლადძლიერების მიუხედავად. როგორც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ღმერთზე აღმატებული, ასევე ვერ წარმოვიდგინებთ ქმნილებას მეტად აღმატებულს, ვიდრე მას, ვინც იტვირთა განკაცებული ღმერთის დაბადება“. ესაა ადამიანისა და ღმერთის მიერ სამყაროს თანაკრეაციის (Cocreator) კონცეფცია. აქ ჩანს ნმ. ანთიმი, როგორც მე-18 საუკუნის დიდი თეოლოგი და ფილოსოფოსი.

3. თეოლოგიური განმანათლებლობა და იდეოლოგიური პოლარიზაცია XVIII საუკუნის საფრანგეთში

ფრანგული განმანათლებლობა, რომელიც ვოტერონიმას, რუსოუსმისა და სხვა დიდი ენციკლოპედისტების შემოქმედების შედეგია და ევროპის სეკულარიზაციის ძირითად შინაარსს ქმნიდა, არ იყო ერთადერთი და უალტერნატივო ტენდენცია იმ ეპოქის ევროპის გონით სივრცეში. განმანათლებლობა და კონტრგანმანათლებლობა ჩამოყალიბდა უკვე შუა საუკუნეების სქოლასტიკის დასრულების პერიოდშივე. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე და შემდეგაც, განათლებულობის იდეების პრაქტიკული ხორცშესხმის ანუ რევოლუციის წინა პერიოდშიც მიმდინარეობდა დებატები განმანათლებლობის რადიკალურ ფრთასა და ზომიერებას შორის განათლებების სისტემის რეფორმების შესახებ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, თანამედროვეობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ამ დებატების შინაარსის გახს-

ნა. ის ბევრ მნიშვნელოვან ხედვას მისცემს სტიმულს თანამედროვე კონტექსტში; ისტორიკოსები ლაპარაკობენ „თეოლოგიური განმანათლებლობის“ მოძრაობაზე XVIII საუკუნის საფრანგეთში, რომლის მწვერვალადაც ითვლება აბატი მარტიან დე პრადესი. მან შეიმუშავა განმანათლებლობისა და რელიგიის „კონსენსუსის“ პერსპექტიული მოდელი, რაც მთელი კათოლიციზმის მოდერნიზაციის წანამძღვრებს ქმნიდა. ამ მოძრაობის მნიშვნელოვან სანიშნედ იქცა 1732 წელს პარიზში, სორბონას უნივერსიტეტში გამოცემული პრადესის აპოლიგეტური შინაარსის ტრაქტატი. ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის სქოლასტიკური კონსენსუსი, პრადესის აზრით, უნდა შეცვლილიყო ახალი მოდელით. ის ამტკიცებდა, რომ თეოლოგიასა და განმანათლებლობას შორის არ არსებობს ანტაგონიზმი. გამოცხადების რელიგიის „ანტიფილოსოფია“ შორს იყო ანტიგანმანათლებლობისაგან. დასამუშავებელია უფრო ფუნდამენტური საკითხები, რომლებსაც ფრანგული ქრისტიანული აზროვნება უნდა წაეყვანა განმანათლებლობისაკენ, იქითკენ, რომ ქრისტიანი მოაზროვნეები გამხდარიყვნენ განმანათლებლობის თეოლოგები.

4. მოდერნული რევოლუცია XVII-XVIII საუკუნეების ვლაჰეთში

ვლაჰეთში ანთიმ ივერიელის მიტროპოლიტობის პერიოდი თანამედროვე ისტორიკოსების მიერ შეფასებულია, როგორც „ვლაჰეთში მოდერნული რევოლუციის ისტორია“ (*istoria delle modern rivoluzioni della Valachia*), რომელიც გვერდში უდგას ამავე ეპოქის გერმანული, ფრანგული და ბრიტანული განმანათლებლობის „მოდერნიზაციებს“. ამ პერიოდში ვლაჰეთის მმართველი ხდება კონსტანტინე ბრონკოვიანუ ბესარაბი, რომელიც აქტიური კულტურპოლიტიკის მხარდამჭერი და ინიციატორი იყო. ამ ეპოქაში ვლაჰეთში კულტურული კლიმატის (*climat spiritual*) მთავარი არქიტექტორი იყო ანთიმ ივერიელი.

1689 წელს ბუქარესტის ერთ-ერთ მონასტერთან დაარსდა ბერძნულენოვანი სკოლა, რომელიც 1694 წელს რეორგანიზებულ იქნა აკადემიად. ამ სასწავლო დაწესებულებაში, თეოლოგიურ დისციპლინებთან ერთად, ისწავლებოდა ფილოსოფია, ანტიკური ლიტერატურა, რიტორიკა, მეტაფიზიკა, ფიზიკა, ასტრონომია, აკუსტიკა, მათემატიკა და სხვა საგნები. ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი იყო პროფესორების პერმანენტული ჯამაგირი – 810 ტალერი. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ხდება ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა – ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ „ელინიზმის ცენტრის“ გადანაცვლება ბალკანეთის სიღრმეში, რომლის შედეგია XIX საუკუნის შუა ხანებში რუმინულ უნივერსიტეტის დაარსება ჯერ ქალაქ იასაში, შემდეგ ბუქარესტში, მძლავრი თეოლოგიური და საჭირო მეცნიერებათა ფაკულტეტებით.

კონსტანტინე ბრინკევანიუსის მმართველობას ეწოდა „განათლებული აბსოლუტიზმი“ და კულტურული მონარქია (*monarchie cultural*), რომლის შინაარსს შეადგენდა ფართომასშტაბიანი იდეოლოგიური ტრანსფორმაცია, ისეთი სფეროების მოდერნიზება, როგორცაა რელიგია, განათლება, სწავლა-აღზრდის სისტემა და

კულტურის პოლიტიკა. ბრინკევიანუ, ანთიმოზ ივერიელიდან ერთად, ატარებდა ევროპულ განმანათლებლობასთან მიახლოებულ კომპლექსურ კულტურულ პოლიტიკას, რომელსაც თანამედროვე ისტორიკოსები უწოდებენ „ეროვნული კულტურის პატრიმონალურ პოლიტიკას“. კონსტანტინე ბრინკევიანუმაც და ანთიმოზ ივერიელმაც თავი შესწირეს ამ საქმეს. ბრინკევიანუ სახელმწიფო ლალატისთვის დააპატიმრეს იანიჩრებმა ბუქარესტში, თავის სახლში, ოჯახთან ერთად; გაიყვანეს სტამბოლში და იქ საჯაროდ სიკვდილით დასაჯეს. მისი ბედი ცოტა მოგვიანებით ანთიმოზ ივერიელმაც გაიზიარა. 1992 წელს რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ორივე მოღვაწე წმინდანად შერაცხა.

5. რა არის განმანათლებლობა?

ა) კანტის კონცეფცია

კანტმა ჩამოაყალიბა განმანათლებლობის დეფინი. „განმანათლებლობა – ესაა გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია. უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე გამოიყენო. „გაბედე საკუთარი განსჯის გამოყენება“ განმანათლებლობის შინაარსია თავისუფლება, ხოლო თავისუფლების არსი დამოუკიდებელ (ავტონომიურ) აზროვნებაშია. უმწიფრობა არის აზროვნებაზე უარის თქმა, საკუთარი თავისუფლებიდან გაქცევა, რაც ადამიანის ბუნებად ქცეულა. საზოგადოება ნელ-ნელა შეძლებს უმწიფრობიდან გამოსვლას, სხვადასხვა ინსტანციის მეურვეობიდან გონების გათავისუფლებას და განმანათლებლობასთან მიახლოებას. რევოლუციით შესაძლებელია დესპოტთა თუ ტირანთა დამხობა, მაგრამ შეუძლებელია აზროვნების წესის ნამდვილი რეფორმა. განმანათლებლობის პროცესის ერთადერთ გზა, კანტის მიხედვით, არის „თავისუფლება საკუთარი განსჯის საჯარო მოხმარებისა ყველა საკითხში“. ყოველგვარი შეზღუდვა ამ უფლებისა, საზიანოა განმანათლებლობისათვის.

ვცხოვრობთ თუ არა ჩვენ განათლებულ ეპოქაში? კანტის პასუხი ასეთია: არა! მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ განმანათლებლობის ეპოქაში. მაგრამ მთავარია, რომ უმწიფრობიდან თავისუფლების ველზე გამოსვლის კარი გაიხსნა. უმწიფრობიდან ანუ მითიური ჯადოსაგან განჯადოების მთავარ სფეროდ კანტს რელიგია მიაჩნია, როგორც აკადემიური და პოლიტიკური თავისუფლების საფუძველი. კანტის იდეალია გონების თავისუფალი გამოყენების უფლება რელიგიის სფეროში, რასაც ის „რელიგიურ განმანათლებლობას“ უწოდებს.

გონების საჯარო გამოყენება კი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, თუ განვითარდება მედიასაშუალებები მის გასავრცელებლად. ასეთი მედიასაშუალებები XVII-XVIII საუკუნეებში იყო წიგნის ბეჭვდა, პოლიგრაფიული ინდუსტრია და განათლების პოლიტიკა. ანთიმოზ ივერიელი, ამ მხრივ, გვევლინება განმანათლებლობის პროექტის გამოჩენილ თეორეტიკოსად და პრაქტიკოსად იმდროინდელ მსოფლიოში. ანთიმოს „პროექტი“ ამ ასპექტში ენათესავება კანტიანურ „პროექტს“. გონების საჭირო გამოყენება პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ რეალიზდება, თუ განვითარდება პოლიგრაფიული წარმოება, წიგნების ბეჭვდა, თარგმნა და ტირაჟირე-

ბა. როგორც კანტისათვის, ასევე ანთიმოზისათვის „აზროვნების თავისუფლების ზეიმი“ უნდა მომზადდეს აზრის წერილობითი გადმოცემის ფორმით. ანთიმოზის მიხედვით, ეს უნდა მოხდეს ბილინგვური და პოლილინგვური ინტერტექსტუალური საქმიანობით, კულტურათა დიალოგით. მისი „პროექტი“ პრინციპულად შორდება კანტის „პროექტს“ გონების ავტონომიის პუნქტში და, შესაბამისად, „გონების რელიგიის“ უპერსპექტივობასა და დესტრუქციულ პოტენციალზე მკაფიო მითითებებს შეიცავს.

ბ) ჰეგელის კონცეფცია

ჰეგელის კონცეფცია განმანათლებლობის ეპოქის დასასრული და გვიანდელი განმანათლებლობის შეჯამებაა. ჰეგელის მიხედვით, „განმანათლებლობა“ კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის უმაღლესი და უკანასკნელი საფეხურია, რომელშიაც აბსოლუტური გონი (Geist) თავისუფალი თვითცნობიერების საფეხურზე ადის და აზროვნების ტრიუმფალური მსვლელობა ისტორიული პროგრესის პროცესში პრინციპულად იკეტება. მსოფლიო ისტორიის სამი საფეხური – აღმოსავლური დესპოტია, ანტიკური დემოკრატია და გერმანულ-ქრისტიანული სამყარო – ყოვლისმომცველი გონის თვითგაცნობიერების არსებითი მომენტებია. თვითცნობიერების ზრდა თავისუფლების ღვთაებრივ იდეაში, გადადის თავისუფლების ნებაში; ამგვარად, ეს თავისუფალი ნების რეალიზაციაა მსოფლიო ისტორიაში, ამავე დროს, „ჭეშმარიტი თეოდიცეცაა – ღმერთის გამართლება ისტორიაში“. „მაგრამ განმანათლებლობის“ ფრანგულ და გერმანულ ვარიანტებს შორის განსხვავდება, ჰეგელის მიხედვით, იმაშია, რომ გერმანელებმა „თავისუფლების პრინციპი განახორციელეს აზროვნებისა და ფილოსოფიის სფეროში, ხოლო ფრანგებმა ინებეს მისი პრაქტიკული განხორციელება დიდი ფრანგული რევოლუციის სახით. თავისუფლების პოლიტიკური პრინციპი გულისხმობს კანონის თანასწორობას, ანუ სამართლებრივი კონსტიტუციონალისტური წესრიგის დამყარებას („გონების სასუფეველი დედამინაზე“). მაგრამ, ჰეგელის განმარტებით, ეს მხოლოდ თავისუფლების პრინციპის „ფორმალური ასპექტით“, „ფორმალური ნების“ სახით გამოვლენაა, რაც, რა თქმა უნდა, ვერ ამონურავს აბსოლუტური აზროვნების სტიქიის თავისუფლებას. აბსოლუტური აზროვნება თავის ფორმალურ განსაზღვრებაში წმინდა გონების კრიტიკაა, რომელსაც გერმანულმა აზროვნებამ კანტის ფილოსოფიაში მიაღწია. მისი ნაკლი ისაა, რომ გონება თავისი თავის უპირატესობებს რელიგიის აბსოლუტურ შინაარსს, ხოლო პრაქტიკული გონება ანუ მორალი არის ყოველგვარი თავისუფლების „არქიმედის წერტილი“. გერმანულ პროტესტანტულ-ქრისტიანული“ სამყაროს აკმაყოფილებს სინდისის თავისუფლებაში გამოვლენილი თავისუფალი აზროვნების პრინციპი. ამდენად, განმანათლებლობა გერმანიაში თეოლოგიის მხარდამჭერად იქცა, ხოლო საფრანგეთში, ეკლესიისა და რელიგიის მიმართ მტრული სეკულარიზმის სახე მიიღო.

განმანათლებლობის ფრანგულ ვერსიაში დომინანტი გახდა საერო ფილოსოფია. ფრანგული რევოლუციის ამოსავალი წერტილი გახდა განმანათლებელთა ფილოსოფია. ჰეგელი მიუთითებს, რომ ეს ფილოსოფია მაინც აბსტრაქტულია

და ის უნდა კონკრეტული შინაარსით აღივსოს, რათა იქცეს ჭეშმარიტებად. ამდენად, არსებული სამართლებრივ-სახელწიფოებრივი წყობა უსამართლობისა და უგუნურების სამეფოდ გამოჩნდა. რაც გონიერია ნამდვილია, რაც ნამდვილია გონიერია – ამ პრინციპიდან გამომდინარე თავისუფლება, როგორც გონიერების შინაარსი, აბსტრაქტულ-ფორმალური ვითარებიდან უნდა გადაიქცეს მსოფლიო-ისტორიულ მოვლენად. ჰეგელის მიხედვით, ფრანგული რევოლუციის და, შესაბამისად, „განმანათლებლობის ფრანგული ვარიანტის“ ნაკლი იმაშია, რომ მან ვერ შეინარჩუნა კონსტიტუციური მონარქიის პრინციპი, „გონების საჯარო გამოყენების თავისუფლება“, საბოლოო ჯამში, მაინც ღვთაებრივი გონისაგან იღებს ლეგიტიმაციას, რადგან თავისუფლება, თავისი არსით, განსაზღვრების მიხედვით, თავისუფლების ცნობიერებაა. ჰეგელის სიტყვებით, „თავისუფლება არათუ არ არსებობს ღმერთის გარეშე, არამედ არსებითად მისი საქმეა“.

ანთიმ ივერიელი ადრეული განმანათლებლობის ეპოქაში ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნეა, რომელიც ქრისტიანობის ცალმხრივობის საფრთხეებს ხედავდა როგორც სციენტიზმში, ასევე პროტესტანტიზმსა და კათოლიციზმში. ანთიმი ახალი ეპოქის კონტექსტში ახორციელებს მართლმადიდებლური თეოლოგიური ტრადიციის კრეატიულ ადაპტაციას. იგი ამაში ეპოქის განათლების მთავარ მიზანს ხედავს. ამით განსხვავდება ანთიმის ხედვა ევროპული განმანათლებლური მოძრაობის ისეთი რადიკალური შენაკადებისგან, როგორცაა, ერთი მხრივ, მატერიალიზმი და, მეორე მხრივ, ჰეგელისებური რაციონალური თეოლოგია.

გ) განმანათლებლობის ორაზროვნება

თ. ადორნომ და მ. ჰორკჰაიმერმა თავიანთ „განმანათლებლობის დიალექტიკაში“ დამაჯერებლად აჩვენეს განმანათლებლობის ორაზროვანი ბუნება. მითოსური ჯადოსაგან განჯადობა, გონების განთავისუფლება თავის არსში შეიცავს ბუნებაზე და მოაზროვნეზე გაბატონების პრინციპს. ანტირელიგიური განმანათლებლობა შეიცავს სიცოცხლისადმი მტრულ, ნიჰილისტურ, დესტრუქციულ ძალას, ანუ სიცოცხლის თვითგადარჩენის პრინციპი (ცოდნა ძალაა!), თავისი ფარული მოტივის სახით, გულისხმობს თვითმოსპობის პერსპექტივას. გონების სრულწლოვანება, რომელზეც კანტი და სხვა ფილოსოფოსები ლაპარაკობენ, მართალია, გულისხმობს არქაული ფენებიდან გამოსვლას და მათ მოთოკვას, დამორჩილებას, აკრძალვას, ტაბუირებას, დამონებას, მაგრამ ეს უძველესი ფენები კვლავ ბრუნდებიან და შურს იძიებენ გონების რეპრესიულ წესრიგზე.

სპეციალურ თავში – „მორალი და განმანათლებლობა“, ავტორები მიუთითებენ, რომ გონების იმპერატივზე დაფუძნებული ფორმალური მორალისათვის ადამიანი ისევე მასალაა, როგორც თეორიული გონებისათვის – ბუნება. განმანათლებლური მორალის პარადოქსული ორაზროვნება იმაშია, რომ მოვალეობის პრინციპით დათრგუნვილი სიამოვნების პრინციპი იქცევა სიამოვნების წარმოებად, ინდუსტრიად. ეს ვითარება აღწერილია მარკიზ დე სადის რომანებში – „ჟულიეტის ისტორია“ და „სოდომის 120 დღე“, გონების თავისუფალი კომბინირებისა და თვით-

კონსტრუირების პრინციპი ვლინდება სიყვარულის სპორტულ მოდელში – „წულიეტი განმანათლებლურად მკრეხელობს“, ფორმალური მორალი გადადის ცინიკურ ანტიპოდში.

დასავლური განმანათლებლური იდეალის ამ ფარულ მხარეებზე ბევრს წერენ თანამედროვე ფილოსოფოსები, „შეუძლებელი ხდება თვითგადარჩენის გამიჯვნა თვითგანადგურებისაგან, ერთმანეთში ირევა გონიერება და უგუნურება“. განმანათლებლობის დეკადანსის ხანაში ვლინდება მისი პარადოქსული დევიზი: „თვითგადარჩენის მიზნით, თვითმოსპობისაკენ!“

განმანათლებლობის ეს უკიდურესად რაციონალისტური ინტერპრეტაცია არსებითად განსხვავდება ანთიმ ივერიელის გონების განათლების კონცეფციისაგან. ანთიმისთვის გონება არ არის ავტონომიური, მას სჭირდება გამოცხადებისეული კათარსისი – „კეთილი და მორწმუნე გონება, რომლითაც აღგვიტაცებს დიდ და მაღალ ფიქრებში“.

6. ანთიმოზ ივერიელი და მირჩა ელიადე

რუმინელი მკვლევარი კორნელია ბარლიბა აღნიშნავს, რომ 1713-1715 წლებში ბუქარესტის ცენტრში აშენებული მონასტერი – Manastire Antim – ანთიმ ივერიელის მოღვაწეობის ნათელი ძეგლია. მონასტრის მთავარი შესასვლელი, პირადად ანთიმის მიერ, ქართული ხელოვნების მოტივებითაა შესრულებული. თუ ის ვერ შეძლებდა დაბრუნებას თავის საყვარელ იბერიაში, ამ გზით მან საქართველო მიიყვანა თავისთან, თავის მეორე სამშობლოში, რუმინეთში, და თავისი იდენტობა დაადგინა ხელოვნების ამ მარადიულ სიმბოლოებში.

იმავე გზით ხორციელდებოდა მისი ლინგვური შემოქმედება – მშობლიური ენის მეშვეობით ათვისება სხვა ენისა, რათა უკეთ შეიცნო საკუთარი ენა და გაეცხნას მეტაენა, სამყაროსთან და ღმერთთან ურთიერთობის განზომილება. ანთიმის ფენომენის ანალოგიად განიხილავს ეს ავტორი თანამედროვეობის უდიდეს ფილოსოფოსს და რელიგიათა ისტორიკოსს მირჩა ელიადეს, რომელიც რუმინელი იყო, მაგრამ, ანთიმოზის მსგავსად, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საზღვარგარეთ – საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისთვის უცხო გარემოში მოხვედრილი რუმინელი მოაზროვნე ფრანგული და ანგლოამერიკული კულტურის წიაღში ქმნის სამეცნიერო სკოლებს, მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, გლობალურ ბესტსელერებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ახდენენ ფრანგული და ანგლოამერიკული აკადემიური და, საერთოდ, სალიტერატურო-ლინგვური სივრცეების ხელახალ კრეატიულ კოდირებას. ანთიმოზ ივერიელსა და მირჩა ელიადეს, ცხადია, სხვადასხვა დროსა და კონტექსტში მოუწიათ მოღვაწეობა და მათ მრავალი რამ განასხვავებს, მაგრამ მათ შორის ბევრი პარალელიც შეიძლება დაიძებნოს. პირველი საერთო ისაა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობის წარმომადგენლები ორგანულად ჩაერთვნენ დასავლეთევროპული კულტურის ქმნალობაში, „ევროპის მშენებლობაში“.

როგორც კორნელია ბარლობა აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ანტიმ ივერიელსა და მირჩა ელიადეს ძირითადი შრომები მათთვის არამშობლიურ ენებზეა შესრულებული (მირჩა ელიადეს შრომები ფრანგულად და ინგლისურად დაიწერა, ხოლო ანთის ქადაგებები და შრომები, გამოცემული ტექსტები, წინასიტყვაობები და კომენტარები შესრულებულია რუმინულ, ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებზე), თავიანთი მენტალობით, ფსიქოლოგიური ხასიათითა და სასიცოცხლო ბეგრანდით, ისინი თავიანთი მშობლიური კულტურის წარმომადგენლებად დარჩნენ. ინტერლინგვური სოლიდარობა მათთვის იყო შემოქმედების სტიმული.

რაც შეეხება მათ ნააზრევთა ნათესაობას, ცხადია, ეს სპეციალური გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს. ამჯერად კი შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ორივე მოაზროვნე, ერთი XVIII საუკუნის რუმინეთის ქართველი მიტროპოლიტი და ღვთისმეტყველი და მეორე XX საუკუნის უდიდესი რუმინელი რელიგიათმცოდნე, რელიგიის არსებად მიიჩნევენ შემოქმედებას, ხოლო კაცობრიობის განვითარებას რელიგიურ შემოქმედებაში ხედავენ.

ლიტერატურა:

1. ოთარ გვინჩიძე, ანტიმ ივერიელი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
2. Antim Ivireanul, Opere Didahii, Editvra minerava, Bucaresti, 1997.
3. ანტიმოზ ივერიელი. დიდაქეები. ელექტრონული პუბლიკაცია. <https://www.tsu.ge/faculties/humanities/institut-centr/institute-of-philosophy/tqo0wck4icgrbhu//>
4. Maria Cornelia Barliba, Antim iverianu – A model of inter cultural dialogue, კრ. საქართველო და ევროპული სამყარო: ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009.
5. Fugen Negifci – Antim. Logos Si Personalitate, edictura Du Style, Bucaresti, 1997.
6. Antim of Iberia – “Encyclopaedia Britanica”, 2007.
7. Ф. Джинджихашвили, Антимоз Ивериели, Тб. 1967.
8. იმანუელ კანტი/მიშელ ფუკო, რა არის განმანათლებლობა? ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
9. Гегель, сочинения, Том VIII, Ленинград, 1935.
10. თ.ადარნო და მ. ჰორკჰაიმერი, განმანათლებლობის დიალექტიკა, თბილისი, 2012.
11. Mircea Eliade. Histoire de croyances et des idees religuses, Editions, Payot, Paris, 1978.

IRAKLI BRACHULI

Anthim Iverianul and Western Enlightenment*

Summary

Saint Anthim lived in the epoch of Enlightenment. He was “a great enlightener and humanist”, organizer of the polygraphic business at a global scale, the reformer of the Rumanian literary and religious language; major figure of the Roman and Georgian culture in the beginning of the 18th century.

Enlightenment (Germ. Aufklärung) is the climax of the European civilization; the main axis of the whole Western history starting from Homer up to the establishment of the European Union.

Since 1696 the author of the books printed in Bucharest printing house writes the name of Anthim’s native land, “Iverianul” next to his name. This is a name-symbol! And we have to interpret it.

The civilized world knows Georgia by two terms: Kolkhis and Iveria. Colchis was the uttermost stronghold of the Hellenistic world in the East. Argonauts’ expedition to Kolkhis is well-known; the border of the antique Europe ran in Kolkhida, along the river of Pazisi – in the country of King of Kolkhis Aiet and Jason’s Kolkhi wife, princess Medea. ‘Kolkhida’ -- Kolkhis is the name of pagan Georgia. Iveria is the name of Christian Georgia. In the 4th century Christianity was declared the national religion of Georgia, i.e. ‘pagan’ Georgia does not exist any longer. Kolkhis -- “The Old Israel” becomes St. Iveria, “New Israel”, and the stronghold of the Christian world in the East.

Such is the symbolic content of the term Iverianul. This self-identity had formed in Anthim in his childhood in Georgia. His Romanian identity is analogous to it. “Selfless-Vlaseti”, “Transilvania” was the stronghold of Romania, Byzantinism, and Hellenic-Latin Universum in the Balkans.

This is how the syntagma is interpreted: ‘Antim Iverianul’. This Roman-Georgian ‘Kulturträger’ can be regarded as the presentation of the Balkan-Caucasian of “Europe” (the Christian world).

Anthim’s concept of enlightenment differs from the West European and Eurasian-Russian models. The postulates of the Western model are: the autonomy of reason, Descartes’ “Cogito ergo sum”, Kant’s “Religion within the Boundaries of Mere Reason”, German philosopher Jacob’s formula: “I am pagan in my reason, Christian – in my heart”. Saint Anthim’s concept denies this dualism and autonomism. It implies the transformation of the reason itself, based on the Revelation. In Saint Anthim’s opinion, such is the principle of the dialogue and integration of the civilizations.

* The article is prepared with support of Rustaveli foundation.

One modernistic Theologumena of Anthim, “modernistic” by its style and content is worth mentioning here. In his sermon on the Assumption of the Virgin Mary he mentions: God, the Creator of the entire visible and invisible world, could have made the world greater and more amazing than the one we exist in, but he could not have created any creature exceeding the Mother of God in her virtue. “Despite all His might, just as we cannot imagine anything more powerful than God, it is equally impossible to imagine a creature more sublime than Her, who took upon Herself bearing God in human flesh.” This is the concept of co-creation of the world by a Human and God. Here we see Saint Anthim as a great theologian and philosopher of the 18th century.

ალექსი ქუჭაშვილი

წმინდა ანთიმოზ ივანიჩის მოღვაწეობის პოლიტიკური ასპექტები: პასივიზმი თუ აქტივიზმი?

(ანთიმოზის საეკლესიო სამართალის ზოგიერთი საკითხისათვის)

XX-XXI საუკუნეებში ტერორიზმი თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა გახდა. განვითარებული სამხედრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაში, როდესაც პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები აფართოებენ ზეგავლენის სფეროებს, კლასიკური ომების წარმოება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება და, ამის გამო, მემბოხე ადამიანები ტერორისტულ აქტებს მიმართავენ [17: 1061]. ტერორიზმის ამაზრზენი მხარეა ის ფაქტი, რომ მისი სამიზნე ყოველთვის საზოგადოების ყველაზე დაუცველი და უდანაშაულო ნაწილია:

იღუპებიან სამოქალაქო პირები, მოხუცები, ქალები და ბავშვები. ამის ნათელი მაგალითებია 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში, 2004 წლის 1-3 სექტემბერს ჩრდილოეთ ოსეთის ქ. ბესლანში დატრიალებული ტრაგედიები და სხვა მრავალი. ეს არის ცხადი და დაუფარავი ტერორიზმი მთელი თავისი აგრესიითა და უმოწყალებით.

ამის გარდა, არსებობს სახელმწიფოების დონეზე წარმოებული ფარული ტერორიზმი, როდესაც ძლიერი სახელმწიფო, პოლიტიკური მოტივაციის მიზნით, ადანაშაულებს შედარებით სუსტ სახელმწიფოს ტერორიზმსა და გენოციდში და იწყებს ომს მის წინააღმდეგ. ამის მაგალითებია სამხედრო ბლოკ ნატოს მიერ 1999 წლის მარტ-ივნისში იუგოსლავიის წინააღმდეგ წარმოებული ომი, რომელიც კოსოვოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებით დასრულდა; და რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ომი, რომელიც ასევე დასრულდა ქართული ტერიტორიების ოკუპაციითა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადებით [15: 845].

ტერორიზმზე საუბრისას ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება მოვლენათა სწორი შეფასება: პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, ერთი და იგივე ქმედება შეიძლება შეფასდეს ან ტერორისტულ აქტად, ან გმირობად [16: 961]. ამის მრავალი მაგალითი არსებობდა განსაკუთრებით, ცივი ომის პერიოდში, როდესაც დედამიწის რომელიმე კუთხეში მიმდინარე ომი საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის მიერ განსხვავებულად ფასდებოდა – როგორც აგრესია და ტერორიზმი ან, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. მოვლენათა სწორი შეფასება, ზოგადად, ისტორიის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია. ამის ნათელი მაგალი-

* სტატია შეიქმნა რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით.

თია XVIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე წმინდა ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი იერარქიული ხარისხის მქონე სასულიერო პირი იყო, ორი სახელმწიფო შეთქმულების ინიციატორი და ორგანიზატორიც გახლდათ. ერთ-ერთ მათგანს შეენირა არა მხოლოდ მისი სიცოცხლე, არამედ მისი, როგორც სასულიერო პირის, რეპუტაციაც. ის იყო განკვეთილი და შეჩვენებული, როგორც მეამბოხე, რევოლუციონერი და მას რომ ჩვენს დროში ეცხოვრა, აუცილებლად გამოაცხადებდნენ ტერორისტად. საბედნიეროდ, 1992 წელს აღდგა ისტორიული სამართლიანობა და მოხდა ანთიმოზ ივერიელის რეაბილიტირება და წმინდანად შერაცხვა.

ამიტომ, ჩვენი თემიდან გამომდინარე, საინტერესოდ მიგვაჩნია განვიხილოთ, ჰქონდა თუ არა მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელს მსგავსი პოლიტიკური საქმიანობის უფლება. ეს იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც სასულიერო პირების პოლიტიკური მოღვაწეობა და, შესაბამისად, პოლიტიკური გადაწყვეტილებების რელიგიური მოტივაცია დღემდე არცთუ იშვიათი მოვლენაა.

როგორც ცნობილია, წმინდა ანთიმოზი დაიბადა საქართველოში XVII საუკუნის შუა წლებში. ახალგაზრდა ასაკში ის მოიტაცეს და გაყიდეს სტამბულში. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მეშვეობით, მან მოიპოვა თავისუფლება, რის შემდეგაც წავიდა რუმინეთში და იქ შეუდგა ძალზე ნაყოფიერ სასულიერო და კულტურულ მოღვაწეობას. როგორც უკვე აღინიშნა, იგი იყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწე, კერძოდ, ორი სახელმწიფო შეთქმულების მთავარი ინიციატორი: უნგრეთის მიტროპოლიტმა ანთიმოზმა ორჯერ – 1711 წელს ბალკანეთში რუსეთის იმპერიის სამხედრო კამპანიისა და 1716 წელს ავსტრია-თურქეთის ომის დროს – საიდუმლოდ შეკრიბა პატრიოტულად მოაზროვნე რუმინელი თავად-აზნაურები, რომელთა მიზანიც იყო ბრძოლაში ჩაბმა და რუმინეთის სახელმწიფოს საბოლოო გათავისუფლება ოსმალეთის იმპერიის ბატონობისაგან. სამწუხაროდ, ვერც ერთი შეთქმულება ვერ დაგვირგვინდა რეალური შედეგით. უფრო მეტიც, მეორე მცდელობას შეენირა ბევრი რუმინელი პატრიოტისა და, მათ შორის, წმინდა ანთიმოზ ივერიელის სიცოცხლაც [6: 238-239; 253-256].

პროტურქული ორიენტაციის რუმინელი ქრონიკოსები (რადუ პოპესკუ, რადუ გრეჩანუ და მიტროფან გრიგორაში) მკაცრად აკრიტიკებდნენ ანთიმოზ ივერიელს და ბრალს სდებდნენ მას სახელმწიფო ღალატსა და საეკლესიო კანონების დარღვევაში. ამავე მიზეზით, თურქეთის ხელისუფლების ზენოლით, კონსტანტინეპოლის ეკლესიამაც განკვეთა ანთიმოზი მიტროპოლიტის ხარისხიდან: „რევოლუციისა და აჯანყების მომწყობის ბრალი არის ძალზე მძიმე და ის მკაცრად განიკითხება ადამიანებისა და ღვთის მიერ... ამიტომ საეკლესიო კანონებიც მძიმედ სჯიან მას, ვინც, ასე თუ ისე, სჩადის ასეთ დანაშაულს... ყოფილმა უნგრეთის მიტროპოლიტმა, ბოროტმა ანთიმოზმა, განიზრახა რა [მსგავსი] ეშმაკეული და დაუშვებელი საქმეები, უნდა განიკვეთოს მღვდელმთავრის ხარისხიდან... მისი ბრალი – უღვთო რევოლუცია და აჯანყება – ცხადი და დამტკიცებულია. ის გახდა ბოროტმოქმედი, მეამბოხე და შეთქმულების მომწყობი ძღვევამოსილი [ოსმალეთის] იმპერიისა და

ჩვენი უდიდებულესი და უბრწყინვალესი სრულიად უნგროვლახეთის მთავრის, ნიკოლაე [მაგროკორდატის] წინამდებე და, ამ ყველაფრის გამო, საეკლესიო კანონების მიხედვით, უნდა განიკვეთოს“... [13: 336-337] – ნათქვამია მსოფლიო საპატრიარქოს სინოდალურ დადგენილებაში.

თავიდანვე აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის ერთ-ერთი ძირითადი კანონიკური პრინციპი მართლაც გულისხმობს სახელმწიფოს მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას. ამ პრინციპის მიხედვით, ეკლესია აღიარებს, რომ სახელმწიფო არის საზოგადოების მართვის ღვთისგან დაწესებული სისტემა; ეკლესიას გააჩნია განსხვავებული მიზნები და, შესაბამისად, ის არ ერევა სახელმწიფოს საქმეებში; ეკლესია აღიარებს და იცავს სახელმწიფოს კანონმდებლობას; ეკლესია პატივს სცემს საერო ხელისუფლებას და ლოცულობს მისთვის [14: 200]. საეკლესიო კანონები მკაცრად სჯის მათ, ვინც შეთქმულებით ან სხვა რაიმე სახით უპირისპირდებიან სახელმწიფო ხელისუფლებას (მოციქულთა 84-ე კანონი; IV მსოფლო კრების მე-18 კანონი; VI მსოფლიო კრების 34-ე კანონი). მაგალითად:

პირი, რომელიც უსამართლოდ შეურაცხყოფს მეფეს ან მთავარს, სასჯელის ღირსია; თუ იგი სასულიერო პირი იქნება, ხარისხიდან განიკვეთოს, ხოლო თუ ერისკაცი – უზიარებლობით დაისაჯოს [2: 144] – მოციქულთა 84-ე კანონი;

თანამზრახველობითი დანაშაული ან ბრბოს თავშეყრა შეთქმულების მიზნით, გარეშე [სამოქალაქო] კანონებითაც იკრძალება; მით უფრო დაუშვებელია მსგავსი ქმედება საღვთო ეკლესიაში, ნუ იყოფინ! თუ რომელიმე კლერიკოსი ან მონაზონი ბოროტ თანამზრახველობასა და შეთქმულებაში იქნება მხილებული... სრულიად განიკვეთოს ხარისხიდან [2: 345] – IV მსოფლო კრების მე-18 კანონი.

მაგრამ საეკლესიო კანონიკაში ასახული სახელმწიფოს მიმართ ლოიალური და ერთგული დამოკიდებულება არათუ არ კრძალავს, არამედ პირიქით, გულისხმობს კიდევ პატრიოტიზმსა და, საჭიროების შემთხვევაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლაში (თანამოაზრეთა შეკრებაში, შეთქმულებასა და ომში) აქტიურ მონაწილეობას როგორც ერისკაცთა, ასევე სასულიერო პირთათვისაც. მაგალითად, წმინდა ათანასე ალექსანდრიელის პირველ კანონიკურ ეპისტოლეში ვკითხულობთ:

უჯეროა კაცის კვლა, მაგრამ ბრძოლაში მონაწილედეგეთა ამონყვეტა კანონიერია და ქების ღირსი [3: 234].

წმინდა ბასილი დიდის კანონებში ვხედავთ იმავე დამოკიდებულებას, როცა საქმე ეხება იარაღით ხელში სახელმწიფო ინტერესების დაცვას, თანაც კაპადოკიელი მღვდელმთავარი იმონმებს სხვა წმინდა მამების საერთო აზრსაც:

ბრძოლის დროს ჩადენილი მკვლევლობები ჩვენს მამებს არ მიაჩნიათ მკვლევლობად, რადგანაც, როგორც მე მგონია, მათ შეუნდობენ, როგორც მოღვაწეებს სინმინდისა და კეთილი მსახურებისათვის. მაგრამ იქნებ უკეთესია, ვურჩიოთ მათ, როგორც ხელით არანმინდებმა, სამი წლით შეიკავონ თავი საიდუმლოთა ზიარებისაგან [3: 245].

წმინდა კანონთა კომენტატორები – ზონარა და ბალსამონი – აღნიშნავენ, რომ საეკლესიო კანონიკურმა პრაქტიკამ არ გაიზიარა წმინდა ბასილი დიდის რჩევა და

არ აყენებდა სამი წლით ზიარებისაგან ომიდან დაბრუნებულ მეომრებს. უფრო მეტიც, ხსენებული ბიზანტიელი კანონისტები წერენ, რომ ისტორიის მანძილზე ბევრ სასულიერო პირსაც უშუალოდ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში და მოუკლავს მტერი, ამის გამო ისინი არა თუ არ დასჯილან, არამედ დაჯილდოებულან კიდევ (ატენის სინტაგმა IV, 132-133) [14: 353-354].

წმინდა ანთიმოზ ივერიელამდეც და მის შემდეგაც, რუმინეთსა და სხვა ქვეყნებში არსებული არაერთი პრეცედენტი, როცა სასულიერო პირები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზებაში, ასევე საომარ მოქმედებებშიც:

1. ბულგარეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, ტირნოვოს მთავარეპისკოპოსმა ვასილიმ, 1185 წელს ბიზანტიელთაგან განმათავისუფლებელი აჯანყების დაწყების ლოცვა-კურთხევა გასცა. აღნიშნული ბრძოლა ბულგარეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა [10: 60-61].

2. წმინდა სერგი რადონეჟელმა 1380 წელს აკურთხა თავადი დიმიტრი დონსკოი მონღოლთა წინააღმდეგ ომის დაწყებაზე. ამასთან, მანვე გააყოლა თავადს ორი ბერი, რომელთაგან ერთ-ერთი, სახელად პერესვეტი, თავად შეებრძოლა მონღოლთა განთქმულ მეომარს – ჩელუბუის.

3. X საუკუნეში ბერად აღკვეცილი ქართველი მთავარსარდალი თორნიკე ერისთავი სათავეში ჩაუდგა ბიზანტიელთა ჯარს ბარდას სკლიაროსის აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლაში.

4. 1026-1027 წლებში ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII ჯარით შემოვიდა დასავლეთ საქართველოში. მცირეწლოვანი ქართველი მეფის ბაგრატ VI-ის მაგივრად, თავდაცვითი ომის სათავეში ჩადგა ორი ქართველი ეპისკოპოსი – საბა მტბევა-რი და ეზრა ანჩელი, რომლებმაც ააგეს სვეტის ციხესიმაგრე, შეკრიბეს ჯარი და არ მისცეს მტერს ქვეყნის დაპყრობის საშუალება [18: 386].

5. ქართლის მატიანეს მიხედვით, თბილისელმა ბერებმა ორჯერ – 1045 და 1048 წლებში – არაბებისაგან გაათავისუფლეს ქალაქი თბილისი და მეფე ბაგრატ IV-ს გადასცეს [4: 55-56].

6. XII საუკუნის დასაწყისში ჭყონდიდელ ეპისკოპოსს, როგორც მნიგნობართუხუცესს, ემორჩილებოდა მეფის ჯარიც კი. მატიანეს ცნობით, 1110 წელს გიორგი ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესი წინ გაუძღვა მეფის ჯარს და არაბებისგან გაათავისუფლა ორი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი – სამშვილდე და რუსთავი.

7. ზოგადად, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქართველ მღვდელმთავრებს, სასულიერო სამსახურთან ერთად, სამხედრო ფუნქციაც ებარათ [19: 190-191, 337, 384, 397, 418]. დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ქართული ეკლესიის დიდ გავლენას და სახელმწიფო საქმეებში მის აქტიურ მონაწილეობას მონობის ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა დიდ ეკლესიასა და მონასტერს ჰყავდა თავისი საკუთარი კარგად განვრთნილი ლაშქარი, რომელიც საჭიროების დროს მეფის სადროშოს უერთდებოდა და მასთან ერთად ებრძოდა საქართველოს მტრებს. ქრისტიანული ეკლესია შუა საუკუნეების საქართველოში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა“ [5; 58].

8. 1877-1878 წლებში რუმინელი სასულიერო პირები თურქეთის იმპერიისაგან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. იერარქები ჯარს აკურთხებდნენ, უგზავნიდნენ გამამხნეველ ეპისტოლეებს, ხოლო ასობით მღვდელი მსახურებას უშუალოდ ფრონტის ხაზზე ეწეოდა [10: 418]. მეორე მსოფლო ომის დროს რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდში არსებობდა „ჯარის ეპისკოპოსის“ ტიტულისა და ფუნქციის მქონე მღვდელმთავარი, რომელსაც, იმავდროულად, სამხედრო გენერლის რანგიც ჰქონდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მარტივად გამოგვაქვს დასკვნა, რომ წმინდა ანთიმოზ ივერიელის პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რომელიც მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ომის დაწყებასა და ვლახეთის სახელმწიფოსათვის დამოუკიდებლობის მოპოვებას, არაფერი იყო ანტიკანონიკური და სასულიერო პირისათვის შეუფერებელი. მსგავსი საქმიანობა აბსოლუტურად ეთანხმება მართლმადიდებლურ კანონიკურ პრინციპებსა და პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, პატრიოტიზმი არ უნდა გვერეოდეს რელიგიურ ინტოლერანტობასა და ტერორიზმში. მოყვანილი ისტორიული ფაქტებიდან აშკარა ხდება, რომ აუცილებელია მოვლენების სწორი შეფასება. სხვანაირად, ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლა იოლად შეიძლება შეფასდეს ტერორიზმად და გახდეს სხვისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისა და ახალი ომების დაწყების მიზეზი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, სახელმწიფოს უზენაესი კანონი, ყურნალი „ადვოკატი-მეოხი“, №.27-28, თბილისი, 2001.
2. მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებით, გამომცემლობა „ალილო“, თბილისი, 2007.
3. დიდი სჯულის კანონი, 2004.
4. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი III, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1999.
5. ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემა, ტფილისი, 1928.
6. О. Ш. Гвинчидзе, *Антим Ивериец*, „Мецниереба“, Тбилиси, 1989.
7. Павлов А.С., *Курс Церковного Права*, „Лань“, Санкт-Петербург, 2002.
8. Шишков А. М., *Концепция трёх источников легитимной власти по Владимиру Соловьёву*, в „XV Ежегодная богословская конференция православного Свято-Тихоновского гуманитарного университета“, Том 2, материалы, 2005.
9. Antim Ivireanul, *Opere*, Editura „Minerva“, Bucuresti, 1997.
10. Preot Prof. Dr. Mircea Pacurariu, *Istoria Bisericii Ortodoxe Romane*, Editura Episcopiei Dunarii de Jos, Galati, 1996.
11. Gen. Conf. Univ. Dr. Mircea Mureşan, *Strategia de securitate naţională în condiţiile noului mediu global de securitate*, în volumul „Omăgiu Profesorului Nicolae V. Dură la 60 de ani“, Editor și coordonator, Prof. Univ. Dr. Teodosie Petrescu, Editura Arhiepiscopiei Tomisului, 2006.

12. Conf. Univ. Dr. Nicolae Neagu, *Conflictele armate internationale contemporane si Dreptul International Umanitar*, în volumul „Omagiu Profesorului Nicolae V. Dură la 60 de ani”, Editor și coordonator, Prof. Univ. Dr. Teodosie Petrescu, Editura Arhiepiscopiei Tomisului, 2006.
13. Lect. Univ. Drd. Mihai Ionita, *Crima organizata transnationala – o amenintare pentru piata mondiala*, în volumul „Omagiu Profesorului Nicolae V. Dură la 60 de ani”, Editor și coordonator, Prof. Univ. Dr. Teodosie Petrescu, Editura Arhiepiscopiei Tomisului, 2006.
14. ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამომცემლობა „სახელგამი”, თბილისი, 1955.
15. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება”, თბილისი, 1965.

ALEKSI KSHUTASHVILI

Political Aspectes in St. Anthim Iverianul Heritage - Patriotism or Terrorism?! **(Certain issues of Anthim’s Canon Law)***

Summary

Political activity of clergymen and therefore religious motivation of political decisions is not a rare fact to present day.

Declared in Canon Law loyalty and fidelity towards the state does not prohibit patriotism of clergymen and even their active participation in war, national-liberation movement, etc.

The article analyses several precedents from the history of Orthodox Church, when clergymen took part in organization of national-liberation movement and facts of their participation in military activities. The core issue of the investigation is St. Anthim Iverianul heritage, namely analytical discussion of his political world out-view, his struggle against Ottoman Empire. All issues are analyzed in the key of Anthim’s Canon Law and are compared with various canonical orthodox texts.

It has been proved that in political activity of Saint Anthim Iverianul there was nothing anti-canonical and incompatible for clergymen. The similar activities are in absolute accord with orthodox canon law and practice. Patriotism must not be confused with intolerance and terrorism.

* The article is prepared with support of Rustaveli foundation.

ანასტასია ზაქარიაძე

ბონიზიცი აბოიზი – ხანაზანი ნაჩითხვის მსჯელობა

გონივრული ეგოიზმი შეიძლება განიმარტოს, როგორც საკუთარი ინტერესებით ცხოვრების ხელოვნება იმგვარად, რომ სხვათა ინტერესები არ შეილახოს.

ეთიკური მსჯელობის ეს მოდელი არ იყო უცხო ანტიკურობისათვის. ჩვენ გავიხსენებთ არისტოტელეს, რადგანაც, ჯერ ერთი, მასთან ყველაზე გაშლილად და დახასიათებული, თუ ვინ არის ეგოისტი და მეორეც – მასზე ყველაზე მეტად აპელირებენ გონივრული ეგოიზმის თანამედროვე ეპიგონები. არისტოტელე იწყებს შეკითხვით – „ვინ უფრო მეტად უნდა გიყვარდეს, შენი თავი თუ სხვა ვინმე?“ თან დასძენს, სიძნელეს ინვევსო ეს კითხვა (არისტოტელე. 2003. 1168 ბ; 201). იგი განაგრძობს მსჯელობას მეგობრობაზე და ამ კონტექსტში ხსნის ეგოიზმის რაობას. ეგოისტი ხასიათდება, როგორც ხელგაშლილი, ყველას დამხმარე, მაგრამ ამის სანაცვლოდ, მოიპოვებს ნაცნობთა თუ უცნობთა ხოტბას, რაც, არისტოტელეს თქმით, ამაღლებული და განწმენდილი მშვენიერებაა (არისტოტელე. 2003. 1169 ა; 203). არისტოტელეს ეგოისტი გონებით მოქმედებს, რაც იმაში ვლინდება, რომ იგი არსოდეს აიღებს იმაზე მეტს, რაც ეკუთვნის. ეგოისტი საკუთარ თავზე ზრუნავს, მაგრამ სხვაგვარად სხვის დახმარებას ვერ შეძლებდა. „კაცი საკუთარ თავთან უნდა მეგობრობდეს ყველაზე მეტად“, – ასკვნის არისტოტელე.

ამ მოდელის რეცეფცია, „გონივრული ეგოიზმის“ კონცეფციის სახით, ევროპულ განმანათლებლობაში იწყებს გაფორმებას. ამ თემაზე მსჯელობას ვხვდებით სმითის, სპინოზასა და ჰელვეციუსის ტექსტებში.

სმითი აყალიბებს ადამიანური ბუნების ერთიან თეორიას, სადაც ჰომო ეკონომიკუსი და ჰომო მორალის განუყოფელია.

ხოლო ჰელვეციუსის მიხედვით, რაციონალური ბალანსი ეგოისტურ ვნებასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას შორის ბუნებრივად ვერ ჩამოყალიბდება. მხოლოდ მიუკერძოებელ კანონმდებელს, სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენებით, შეუძლია უზრუნველყოს სარგებელი მრავალი ადამიანისათვის და სიკეთის საფუძვლად „ცალკეული ინდივიდის სარგებელი“ აქციოს.

მაგრამ ტერმინი პოპულარულობას მოიპოვებს მხოლოდ XIX ხაუკუნის ბოლოს (მილი, სპენსერი, სიჯვიკი) და ისიც მცირე ხნით. იგი გულისხმობს ეთიკურ

პოზიციას, რომლის მიხედვითაც, სუბიექტისთვის მახასიათებელია პირადი ინტერესების პრინციპული პრიორიტეტულობა საზოგადოებრივ ან სხვა სუბიექტების ინტერესებთან მიმართებით. მისი მომხრეები იცავენ პოზიციას, რომ ნეგატიური საზრისული დატვირთვა, რომელიც ტრადიციულად თან ახლავს ტერმინს „ეგოიზმი“, უნდა მოიხსნას.

რამ განაპირობა ერთი საუკუნის შემდეგ, XX საუკუნის მიწურულს, გონივრული/რაციონალური ეგოიზმის პოზიციისაკენ შემობრუნება? და როგორ იქცა იგი თანამედროვე მეტაეთიკური ველის პრიორიტეტულ ხედვად?

ანალიზისათვის შევარჩიეთ თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსის აინ რენდის ეთიკური კონცეფცია (ჟურნალის ამ ნომერში ქვეყნდება რენდის ფილოსოფიური ესეის „ეგო ეგოიზმის გარეშე“ თარგმანი. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ესაა დასავლურ სივრცეში ფართოდ ცნობილი ფილოსოფოსის ანალიტიკური ნაშრომის ქართულ ენაზე გადმოცემის პუბლიკაციის პირველი მცდელობა). განსაკუთრებულია რენდის ფილოსოფიური რომანებისა და ესეების გავლენა ამერიკულ საზოგადოებაზე. სოციოლოგიური გამოკითხვებით ისინი ბიბლიის შემდეგ მეორე ადგილს იკავებენ.

ფილოსოფიურ ესეთა კრებულში „ეგოიზმის სიკეთე“ რენდმა ახალი სული შთაბერა რაციონალური ეგოიზმის თემას ეთიკაში. მისი ტირაჟირების მიზნით, რომანებში „პირველწყარო“, „ატლასმა მხრები გაშალა“ და მოთხრობაში „ჰიმნი“ ეს თემა მთავრი გმირების საუბრის, მოქმედებების ლაიტმოტივად იქნა გამოყენებული.

მიდგომის კონცეპტუალური ჩარჩო ამგვარად გამოიყურება: ა) ადამიანის ნებისმიერი ქცევის მოტივი ეგოსტურია, ბ) გონებას აქვს უნარი, მოტივთა შორის გამოარჩიოს ის, რომელიც აღძრავს სწორად გაგებულ პიროვნულ ინტერესს, ანუ მოიხელთოს იმ ეგოსტურ მოტივაციათა ბირთვი, რომელიც ადამიანის რაციონალური ბუნებისა და მისი ცხოვრების საზოგადოებრივი ხასიათის შესატყვისია. გ) შესაბამისად, ყალიბდება ნორმატიული პროგრამა, რომელიც იცავს ქცევათა ერთიან-ეგოსტურ საფუძველს, მაგრამ, იმავდროულად, ეთიკურად სავალდებულოდ მიიჩნევს სხვათა ინტერესების გათვალისწინებას.

8. Christiane Taubira *Paroles de liberté* ("Words of Freedom"), Paris, Flammarion, coll. " Café Voltaire ", 2014
9. see also: <http://www.france24.com/en/20130211-france-gay-marriage-adoption-christiane-taubira>, <http://www.articlejax.com/criminal-reform-taubira-bill-criticized-even-left/>; <http://blogs.mediapart.fr/blog/melextra-jet/230313/gay-marriage-puts-christiane-taubira-political-spotlight>

პიერ იოვანოვიჩი

**საფხანბათში ოჯახისათვის ბიძოცის მონების ჩანაწახეზი
(2012-2014)**

ავტორი კრიტიკულად აანალიზებს ე.წ. ტობირას ბილს – საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის მიერ შემოთავაზებულ არატრადიციული ორიენტაციის წყვილების ქორწინების შესახებ მიღებულ კანონს რელიგიურ და სოციოლოგიურ ძრუილში. განხილულია საპროტესტო მოძრაობის და ორგანიზაციის „Manif Pour Tous“ სტრატეგია. დასაბუთებულია, რომ ლგბტ ჯგუფების შესახებ მიღებული კანონი საზოგადოების ტრანსფორმაციის საშუალებაა. რეფორმაცია პირველ რიგში უარყოფითად აისახება ოჯახის ინსტიტუტზე, რაც გამოიწვევს ტრადიციული ადამიანური ღირებულებების ტრანსფორმაციას, სოციუმში ადამიანის დანიშნულებისა და როლის შეცვლას.

ქეთევან ცხვარიაშვილი

ბაზოსილიჯის თეოხიის ჩინსახხახასია აქიხაჯი ჰახბახიხმში

ამერიკული ფილოსოფიის ახალი „თვითცნობიერების“ ჩამოყალიბება პირსის, ჯეიმსის, როისისა და დიუის სახელებს, მათ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას უკავშირდება. დიდი ხნის განმავლობაში ამერიკა ნაკლებად აღიქმებოდა გეოგრაფიულ ერთეულად, ეს ქვეყანა უფრო იდეალთა განხორციელების გონიერ ინსტიტუციას წარმოადგენდა, სადაც ადამიანები ვალდებულიყვნენ იღებდნენ, დემოკრატიულ ინსტიტუტსა და საშუალებით განხორციელებინათ მათ მიერ დასახული იდეალები.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ახალი ამერიკული ეპისტემოლოგიის ძირითადი დისკურსი, მისი მთავარი თეზისები, მთავარი განმასხვავებელი და ორიგინალური ნიშნები, რომლითაც იგი გამოირჩევა ტრადიციული ევროპული ფილოსოფიისაგან.

ამერიკული ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი ჯონ სმიტი (John E. Smith) აღნიშნავს: „საჭიროა ფოკუსირება იმ ხედვაზე, რომელიც ამ მოაზროვნეთა მოტივატორი იყო, რათა დანარჩენი მსოფლიოსათვის გაეცნოთ ამერიკული გამოცდილება და შემდეგ უკან მოეტანათ ახალი თვითცნობიერება – თუ რა არის ამერიკა და რას გულისხმობს ის“.¹ სმიტი აქვე აღნიშნავს, რომ ეს ფილოსოფოსები ამერიკული სულის ოდისევსები კი არ არიან, არამედ მათში თავს იყრის, უპირატესად, სინოპტიკური რეფლექსია, რომელიც მიზნად ისახავს საერთო, საზოგადო მიმართულების დინების შეთვისებას, იმ ტენდენციების ხაზგასმას, რომელიც ხშირადაა კონცენტრირებული მოულოდნელი და უცაბედი სიტუაციების დეტალებზე.

და მართლაც, როდესაც „გამოცდილების ფილოსოფიაზე“ ვკონცენტრირდებით, ბუნებრივად და ისმის შეკითხვა: რა გავლენა იქონიეს ევროპულმა ფილოსოფიურმა სკოლებმა ამერიკულ გამოცდილებაზე? იცნობდნენ, თუ არა ისინი ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიისა (ე. ჰუსერლი, მ. შელერი) და „სიცოცხლის ფილოსოფიის“ (ფ. ნიცშე, ა. ბერგსონი, ვ. დილთაი) ფუძემდებელთა ნააზრევს.

სტატიაში შევეცადეთ, წარმოგვედგინა პრაგმატული ეპისტემოლოგიის ფუნდამენტური თეორია, გამოცდილების თეორიის ახალი, პრაგმატული თვალსაზრისი, რომელიც საფუძვლად დაედო განათლების ახალ, ეპისტემოლოგიურ პარადიგმასაც.

პრაგმატიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა

ფილოსოფოსები, საბოლოო ჯამში, ორ კლასად იყოფიან: რაციონალისტებად და ემპირისტებად. რაციონალისტი ძირითადად ხელმძღვანელობს პრინციპებით,

1 “America’s Philosophical Vision” by John E. Smith - pg 3.

მათ შორის: ინტელექტუალისტი, იდეალისტი, ოპტიმისტი, მორწმუნე, ნებისყოფის თავისუფლების მომხრე, მონისტი, დოგმატიკოსი; ხოლო ამის საპირისპიროდ, ემპირისტს საქმე აქვს ფაქტებთან: სენსუალისტი, მატერიალისტი, პესიმისტი, ათეისტი, დეტერმინისტი, სკეპტიკოსი.¹ პრაგმატიზმი კი, ფორმალურად მაინც, ორივე ხაზს აერთიანებს. უპირველეს ყოვლისა, ის მეთოდია, რომელსაც მიზნად დაუსახავს ფილოსოფიური დავის მოწესრიგება. პრაგმატიზმი არც ერთ თვალსაზრისსა და მოძღვრებას არ იცავს და არც უარყოფს.

პრაგმატიზმის პოზიციიდან ფილოსოფიამ უნდა გვიჩვენოს გზა ჩვენი ცხოვრების გარკვეულ მომენტებში, თუ, მაგალითად, ორ განსხვავებულ პრინციპს გავიზარებთ. პრაგმატიზმი არ კმაყოფილდება სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა მიერ წამოყენებული პრინციპებით, ცარიელი სიტყვებით. ეს საკითხები პრაქტიკულ ცხოვრებაში ვერანაირ საკითხს ვერ წყვეტენ. აზროვნების მიზანია, გამოვიყვანოთ პრინციპთა ჭეშმარიტი ღირებულება, ის, რაც პრაქტიკულად ქმედითია. ესაა პრაგმატიზმის მოქმედების პროგრამა. პრაგმატისტული მეთოდი უკუაგდება პრინციპებს, როგორც საკითხების გადაწყვეტის საშუალებას, და მოითხოვს შედეგის, რეზულტატის, ნაყოფის მიხედვით მათ შეფასებას.

იტალიელი ფილოსოფოსის პანინის მიხედვით, პრაგმატული მეთოდი ფილოსოფიურ თეორიებს შორისაა, როგორც კორიდორი სასტუმროში. ამ კორიდორში გამოდის მრავალი კარი. ერთ ოთახში ათეისტური ტრაქტატი ინერება, მეორეში ლოცულობენ, მესამეში მეტაფიზიკის შესაძლებლობას ან შეუძლებლობას ამტკიცებენ, მეხუთეში ქიმიკოსი სხეულთა თვისებებს სწავლობს. კორიდორი ყველას ეკუთვნის, მისი საშუალებით შევდივართ და გამოვდივართ. ასევე, ფილოსოფიაში ყველა საკუთარი ფილოსოფიური ტემპერამენტით აგებს გარკვეულ თეორიას, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველას უნდა ჰქონდეს ერთი – პრაგმატისტული მეთოდი.²

მართლაც, პრაგმატიზმის ფილოსოფიისათვის უმნიშვნელოვანესია მეთოდის საკითხი. პრაგმატიზმი არ წყვეტს არც ერთ საკითხს წინასწარ, ყველა მოაზროვნეს აძლევს თავისუფლებას, შექმნას თავისი თვალსაზრისი, აირჩიოს სამყაროს იმგვარი სურათი, რომელიც მის ინდივიდს ესადაგება, მის ტემპერამენტს შეესაბამება. პრაგმატიზმის პოზიციიდან ყველა თვალსაზრისი მართალია თავისი კუთხით. პროტაგორას³ მიხედვით, ყოველი ადამიანი არის საგანთა საზომი. პრაგმატიზმი, ერთი მხრივ, აღიარებს თვალსაზრისთა თავისუფლებას, მეორე მხრივ, გვთავაზობს ისეთ „საქონელს“, რომელიც ერთდროულად ემპირიული ფაქტორების მეცნიერული ანალიზისა და რელიგიური იდეების შეგუების აღიარებაა, ანუ ესაა მთელი მსოფლმხედველობა და არა მხოლოდ მეთოდი.

1 ანასტასია ზაქარიაძე, „ნარკვევები ამერიკულ ფილოსოფიაში“ (გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი. 2009) გვ. 118-12.

2 იქვე, გვ. 101

3 პროტაგორა - სოფისტიკის მამამთავარი ძველბერძენი ფილოსოფოსი. მისი ძირითადი დებულება: „ადამიანი არის საზომი ყველა საგანთა - არსებულთა, რომ ისინი არიან, და არარსებულთა, - რომ ისინი არ არიან.“

გამოცდილების პრაგმატული თეორიის შესახებ

პრაგმატული ფილოსოფიის ფუნდამენტურ თავისებურებათა ინტერპრეტაცია, თავისთავად ცხადია, პირსის, ჯეიმსისა და დიუის ნააზრევთა ანალიზს მოითხოვს, როგორც ბრიტანული ემპირიზმის გაგრძელებას ქმედებისა და პრაქტიკული კომპონენტების დამატებით. ეს გახლდათ წლების განმავლობაში გაბატონებული აზრი, რომელსაც მკაცრი კრიტიკოსები გამოუჩნდნენ. დღესდღეობით ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამერიკული პრაგმატიზმი და მისი მთავარი წარმომადგენელი, არამცთუ კლასიკური, ბრიტანული ემპირიზმის მიმდევარნი, არამედ მათი უმწვავესი კრიტიკოსები არიან. მათ ლოკისა და ჰიუმის „გამოცდილება“ არასაკმარისად, არაემპირიულად (non-empirical) აღიარეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ფილოსოფოსები გამოცდილების გარშემო კონცენტრირდნენ, ისინი მართლაც არ იყვნენ ემპირისტები, რადგან კლასიკური, ბრიტანული ემპირიზმისაგან განსხვავებით, ისინი უფრო ფართო კონცეფციას ანვითარებენ, რომელიც არა მხოლოდ ცოდნის მოპოვების ეპისტემოლოგიურ თეორიაში უნდა ჩაკეტილიყო, არამედ ცხოვრებისეულ, ცოცხალ ხდომილებებში რეალური ნაყოფი, სარგებელი უნდა მოეტანა. აზროვნების ეს სისტემა მიზნად არ ისახავდა განყენებულ ეპისტემოლოგიურ საკითხებზე სავარაუდო პასუხების გაცემას: გრძნობად მონაცემთა სტატუსის, მტკიცებულების კონდენციის, შემეცნების ფარდობითობის, გარე სამყაროს აღქმის მიღწევადობის პრობლემის შესახებ, რამაც, სინამდვილეში, ჩიხში შეიყვანა ბრიტანული ფილოსოფია, ჰიუმიდან მოყოლებული რასელის ჩათვლით. არა მხოლოდ დიუიმ გამოთქვა ეჭვები „ეპისტემოლოგიური ინდუსტრიის“ ვალიდურობის შესახებ, არამედ პირსმაც და ჯეიმსმაც აღიარეს „გამოცდილების“ გაგებისა და დაფუძნების გზაზე ჩადენილი შეცდომები და მიზნად დაისახეს, შეეცვალათ მისი ძირითადი მატრიცა. ამ ფილოსოფოსთათვის ფილოსოფია არც იწყება და არც მთავრდება შემეცნების თეორიით.

ზემოთ ხსენებულ ფილოსოფოსთაგან, ჯეიმსი კლასიკურ ემპირიზმთან შედარებით ლოიალური დარჩა, ხოლო პირსი და დიუი კი ღრმად აცნობიერებდნენ კლასიკურ ემპირიზმში არსებულ ნაკლოვანებას გამოცდილების დეფინიციის შესახებ. რას ვგულისხმობთ, როცა საკუთარ თავს და გარე სამყაროს გამოცდილების ფარგლებში ვაქცევთ? რას ნიშნავს, გამოცდილების მიღების მზაობა გვაქვს, ვიღებთ გამოცდილებას და უკვე გამოცდილნი ვართ?

თანამედროვე ემპირიზმში გამოცდილება კონსტრუირებული იყო, როგორც გრძნობის დარგი, და საგანთა ბუნება და სამყარო მისგან იმიჯნებოდა. გამოცდილება, როგორც ასეთი, უპირისპირდებოდა გაგებასა და საგანთა მიზეზებს. კანტიც კი გამოცდილებას გრძნობად – მატერიალურისა და კონცეპტუალური ფორმის სინთეზს უწოდებდა, ანუ მხოლოდ გრძნობადად და ფსიქოსენსუალურად აღიქვამდა. მოკლედ რომ ვთქვათ, კლასიკურმა ემპირიზმმა გამოცდილება ერთგვარ შემაკავშირებელ ქსოვილად და, მეორე მხრივ, თავისებურ ფარდად აღიარა გამოცდილების მქონესა და „გარე სამყაროს“ შორის.

პრაგმატიკტივმა, რომელთა შორისაც ორთოდქს პრაგმატიკტივად დიუი და პირსი შეგვიძლია ჩავთვალოთ, სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენეს ამგვარი სურათის ვალიდურობა. მათ განავითარეს გამოცდილების ახალი კონცეფცია საგანთა მიზეზებთან დაკავშირებით. ჯეიმსის მოსაზრება ამ საკითხზე საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ პირსმა და დიუიმ უარყვეს გამოცდილება, როგორც მიზეზთაგან მკაფიოდ გამიჯნული კატეგორია. ეს უარყოფა ჩამოყალიბებული და განვითარებულია მტკიცებულებით, რომ გამოცდილებას თავის თავში სრულყოფილი (დასკვნითი) განგრძობადობა (inferential stretch) გააჩნია, რაც შეუთავსებადია იმ თვალსაზრისთან, რომ იგი მიზეზებსა და რაციონალურ აქტივობას უნდა გაემიჯნოს. უფრო მეტიც, ისინი დაუპირისპირდნენ რწმენას, რომ გამოცდილება სუბიექტურობის ანარეკლი ან ეკრანია, რომელიც ჩვენსა და და გარე სამყაროს შორისაა აღმართული, როგორც ხილული გამჟღავნებული სამყარო. შესაბამისად, ისინი არ ეთანხმებოდნენ თეზისს, რომ რასაც განვიცდი, მხოლოდ ჩემი გამოცდილებაა და არა, ობიექტურად, გარე სამყარო.

პირსმა ამ თვალსაზრისს საფუძველი თავის ადრეულ, ანტიკარტეზიანულ ნაწერებში ჩაუდო, სადაც იგი აცხადებდა, რომ არ არსებობს ინტუიტიური უეჭველობა, რომ, რაც უცაბედად და მყისიერად აღიქმება, აღმქმელის ცნობიერებაში სრულად არ არის აღქმული. ამას გარდა, პრაგმატიზმი უარყოფს გამოცდილების სუბიექტის პასიურ, მაყურებლის ან თუნდაც მონაწილის (პასიურ) როლს. მისთვის მაყურებლის პოზიცია ისევე, როგორც თეორეტიკოსი მიმომხილველისა, უარყოფილია და ამ დროს უმნიშვნელოვანესია გამოცდილებაში მყოფის დამოკიდებულება, მისი უშუალო, ცოცხალი პოზიცია.

ამ ორ მიდგომას შორის განსხვავება სრულიად ნათელია; პრაგმატიზმი აქცენტირებულია გამოცდილების აქტში ჩართულობასა და ცოცხალ, უშუალო აქტივობაზე; გამოცდილების აქტის შედეგად კონკრეტულ ცხოვრებისეულ ხდომილებაში ჩვევებისა და ქცევების ფორმირებაზე. საბოლოოდ კი, ეს იმას ნიშნავს, რომ უარი უნდა ეთქვას გამოცდილების ატომიზაციის, დანაწევრების მცდელობას ცალკეულ მომენტებად და ეპიზოდებად და, ამის საპირისპიროდ, მისი განგრძობადობა და კრებითობა უნდა იქნეს აღიარებული, რაც ადამიანის ცხოვრების მიმართულებასა და თითოეული ინდივიდის ინდივიდუალურ, განუმეორებელ ბიოგრაფიას ქმნის. გამოცდილების ეს გაგება დატვირთულია ყოფის ელემენტებით, რომელსაც პრაგმატიზმი აფუძნებს; გამოცდილების მქონე ადამიანი ის პერსონაა, რომელმაც იცის, თუ როგორ უპასუხოს გამონწვევებს კონკრეტულ ხდომილებებში. Know how – ეს ის ტერმინია, რომელიც საერთო სურათში ახალი საზომის შემოტანას ნიშნავს გამოცდილების კონცეფციაში და რომელსაც კლასიკურ ემპირიზმში, ცხადია, ანალოგი არ გააჩნია.

პირსის თვალსაზრისით, ჩვენ ყველანი „მახლობელნი ვართ“, თუმცა მისი შეხედულებები იმდენად მრავალრიცხოვანი, მრავალგვარი და მრავალკონტექსტურია, რომ რთული ხდება მათი დეტერმინირება, თუმცა აქ მისი ინტერპრეტატორები გვეხმარებიან იმაში, რომ მისი ნააზრევს მეტ-ნაკლებად თანამიმდევრული სურათი ჩამოვაყალიბოთ. მაშ ასე, გამოცდილება არის რწმენისა და კოგნეციის (აზროვ-

ნების) დეტერმინიზაცია, რომელსაც ადამიანი ცხოვრების განმავლობაში აგროვებს. თავის დისკურსში პირსი „გამოცდილების სამ უნივერსუმს“ გვთავაზობს:

1. წმინდა იდეები, რომელთა არსშივეა მათი განაზრების შესაძლებლობა.

2. საგანთა ბრუტალური აქტივობა, რომელნიც მეორად აქტივობასა და რეაქტივობას მანიფესტირებენ.

3. სიმპტომები ან აქტიური ძალა, რომელსაც არამხოლოდ იმავე უნივერსუმში შეუძლია საგნებთან კავშირის დამყარება, არამედ მის გარეთაც.

მაგრამ არსებოს „უნივერსალური გამოცდილება“, რომელიც ასე ჰგავს ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის მიერ დეფინიცირებულ გამოცდილებას.

გამოცდილების გაგება ფენომენოლოგიაში იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რომ ზოგიერთი მკვლევარი მას (ფენომენოლოგიურ მეთოდს) გამოცდილების ფილოსოფიასაც კი უწოდებს. ამ პრობლემის გადაჭრა შემეცნების ფენომენოლოგიის გადაჭრის გასაღებს წარმოადგენს. ე. ჰუსერლის, მ. მერლო-პონტის, მ. შელერის საერთო მისწრაფება იყო წინამეცნიერულ, ყოველდღიურ ცხოვრებაში დაბრუნება, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის შემეცნების ფილოსოფიურ თეორიას და მის ინსპირირებასა და დაფუძნებას უწყობს ხელს. ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიაში გამოცდილება ინტენციონალურობის კონტექსტში ფუძნდება ლოზუნგით – „უკან თავად საგნებისკენ“. ნაწარმოებში „ფილოსოფია, როგორც ზუსტი მეცნიერება“, ჰუსერლი წერს: „უკან, გამოცდილებისკენ, ჭვრეტისკენ მხოლოდ მათ შეუძლიათ აზრი და გონივრული ნება შთაბერონ ჩვენს სიტყვებს“¹ – გამოცდილება აქ ჭვრეტის კატეგორიასთან იკავებს ადგილს. „განცდისა“ და „წმინდა შემეცნების“ კონტექსტში გამოცდილება – „ცნობიერების აქტებში ცხოვრება“, რომელიც შემეცნების შესაძლებლობას იძლევა, ან თავადაა შემეცნების აღსრულება. ჰუსერლის მიხედვით, „ცხოვრება“ კლასიკური, ემპირიული ფსიქოლოგიის მიერ აღიარებული „მე“ კი არ არის, არამედ – მისგან განსხვავებული „წმინდა მე“.

ჰუსერლი „წმინდა ცნობიერების“ მიერ კონსტატირებულ ცხოვრებასა და გამოცდილებაზე არ ჩერდება, მისი მიზანია მათი განმარტება. ცხოვრებაცა და გამოცდილებაც „ორიგინალურად მოცემული ჭვრეტით“ გვეძლევა, რომელიც ყოველგვარი შემეცნების წყაროა. ის, რაც ამგვარი ჭვრეტის შედეგად გვეძლევა, რასაც ჰუსერლი „აქქმას“ არქმევს, საფუძვლად უნდა დაედოს საგანთა არსის შემდგომ შესწავლასა და კვლევას. ამგვარია „პრინციპთა პრინციპი“.²

და მაინც, უფრო ზუსტად, რა არის „ორიგინალურად მოცემული ჭვრეტა“?! ეს არის ცნობიერების განცდათა დაჭერა საკუთარ „როგორ“-ში და მათსავე საფუძველში მათივე აზრის ფიქსაცია, როგორც ინტენციონალური განცდისა და შემეცნებისა, საერთოდ. ინტენციონალური განცდის არსი თანადროულად განცდილის არსებაცაა, საგნის განცდასთან ერთად, რაც ნოემატიკა-ნოეტიკურ განცდის ერთობაში ფიქსირდება. „ამიტომ, ცნობიერება და მისი ობიექტი ინდივიდუალური განცდების მეშვეობით განწმენდილ ერთობას აყალიბებენ“.³

1 “Philosophy as Rigorous Science” by E. Husserl – pg 143

2 “Ideen” by Husserl – paragraph 1

3 “Experience and Judgement” by Husserl – pg 78

შემეცნების თეორიის დაფუძნებისას ჰუსერლი, დეკარტეს კვალად, საფუძველში თვითცხადობის იდეას დებს. თვითცხადობის პრინციპს შემეცნებაში იგი „პრინციპთა პრინციპს“ უწოდებს. „თვითცხადობა ყველაზე არსებულის ან ამგვარად არსებულის მოდუსის დაჭერას ნიშნავს მისი ყოფიერების აბსოლუტურ სარწმუნოებაში, რომელიც ყოველგვარი ეჭვის არსებობას გამორიცხავს“.¹ „თვითცხადობა ყოველგვარი უშუალო ჭვრეტა, ანუ საგანთა აღქმა არა მხოლოდ გრძნობად გამოცდილებაში, არამედ არსთა ჭვრეტაც (უშუალო ხედვა) – არა მხოლოდ გრძნობადი, რომელიც ხედვის გამოცდილების გზით მიიღება, არამედ ხედვა, როგორც საერთოდ ცნობიერება, რომელიც პირველწყაროდან მოგვეცემა.“²

თვითცხადობა შემეცნების საფუძველია, უკანასკნელი ავტორიტეტი შემეცნების საკითხებში, პირველი მეთოდური პრინციპი, ნამდვილობის ერთადერთი კრიტერიუმი. ვერავითარი გონებისმიერი თეორია გვაიძულებს, ეჭვი შევიტანოთ ყველა პრინციპის პრინციპში: „ნებისმიერი ჭვრეტა, რომელიც პირველწყაროდან მოგვეცემა, შემეცნების სამართლებრივი წყაროა“.³ ჰუსერლის მიხედვით, მკაცრად უნდა ავირიდოთ ნებისმიერი თეორია, ესე იგი, ნებისმიერი სახის წინასწარი მოცემულობანი, უნდა გამოვიდეთ მხოლოდ იქიდან, რაც თვითცხადობით ცდაში, გამოცდილებაში მოგვეცემა. როდესაც შემეცნების საზრისზე ვსაუბრობთ, უბრალოდ, რომელიმე თვალსაზრისი კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ თვითცხადობაზე დამყარებული ცოდნით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

თვითცხადობის ბუნების კვლევისას ჰუსერლი იმ დასკვნამდე მიდის, რომ, მართალია, თავად ჭეშმარიტება იდეალურია, ჭეშმარიტების თვითცხადობის განაზრება ფსიქიკური მოვლენაა, ეს არის განსჯის სისწორის განცდა, მისი ჭეშმარიტებასთან შეთანხმება. თვითცხადობა ჭეშმარიტების განცდაა, როგორც ყოფიერების განცდის ადეკვატური აღქმა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამოცდილების პრაგმატული თეორია, ისევე როგორც მისი ეპისტემოლოგიური დისკურსი, მთლიანობაში, როგორც სიცოცხლის ფილოსოფიის ონტოლოგიური მოძღვრების, ასევე ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის მეთოდისაგან არ დისტანცირდება. სიცოცხლის ფილოსოფიის მსგავსად, ამერიკელი პრაგმატისტები, რეალურ სიცოცხლესთან, მის ჭეშმარიტ, ცოცხალ განცდებთან და ყოფიერების კონკრეტულ ხდომილებებთან ერთობას, ფილოსოფიის მათ უშუალო პროცესში ჩართვას, კონკრეტული სარგებლის მოტანას მოითხოვდნენ. ისინი ძალზე იშვიათად ახსენებენ ნიცშეს, მაგრამ როგორც კაუფმანი აღნიშნავს: „ყველას აქვს უფლება, ჰყავდეს თავის ნიცშე“. პრაგმატისტები, უდავოდ, დაინტრიგებულნი არიან ნიცშეს რეცეფციით.

არის თუ არა პრაგმატისტული გამოცდილების თეორიის რეინტერპრეტაცია ემპირიზმისა და რაციონალიზმის ჰარმონიზაცია, მათი სინთეზი პრაგმატული მეთოდის საშუალებით? ნიშნავს თუ არა გამოცდილების ნიაღში „სრულყოფილი გან-

1 „კარტეზიანული განაზრებანი“ - პარაგრაფი მე-6, ჰუსერლი

2 “Ideen” by Husserl – paragraph 19

3 ibid – paragraph 24

გრძობადობის“ დაშვება ემპირიზმისა და რაციონალიზმის ერთგვარ შერიგებას, მსგავსად ჰუსერლის მიერ თვითცხადი ქეშმარიტებების აღიარებისა? ვფიქრობთ, რომ ნიშნავს. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, წმინდა გამოცდილება ქეშმარიტი, წმინდა შემეცნების ერთადერთ საშუალებაა, რომელიც შესაბამის ონტოლოგიას, ეთიკასა და ესთეტიკას ემყარება, რაც, უდავოდ, დიდ ინტერესს იწვევს და, ცხადია, სერიოზულ და სიღრმისეულ კვლევის საგანს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. John Eugene Smith “America’s Philosophical Vision” – The University of Chicago Press Books, 1992.
2. ანასტასია ზაქარიაძე „ნარკვევები ამრიკულ ფილოსოფიაში“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2009.
3. Edmund Husserl “Philosophy as Rigorous Science,” trans. in Q. Lauer (ed.), Phenomenology and the Crisis of Philosophy, New York: Harper 1965.
4. Edmund Husserl “Experience and Judgement” trans. J. S. Churchill and K. Ameriks, London: Routledge 1973.
5. Edmund Husserl “Ideas” Pertaining to a Pure Phenomenology and to a Phenomenological Philosophy—First Book: General Introduction to a Pure Phenomenology, trans. F. Kersten. The Hague: Nijhoff 1982.
6. Edmund Husserl, Cartesian Meditations, 1960; Cairns, D., trans. Dordrecht: Kluwer
7. John Dewey “Experience and Nature”, Free Press; Reprint edition 1997.
8. John Dewey “Democracy and Education: An Introduction to the Philosophy of Education” New York: Macmillan, 1916; New York: Free Press / London: Collier-Macmillan, 1999.
9. John Dewey “How We Think” Boston, New York & London: Heath, 1993.
10. Charles Sanders Peirce “Some Questions Concerning Certain Faculties Claimed for Man” in Collected Papers of Charles Sanders Peirce; vol. V, Edited by Charles Hartshorne, Paul Weiss, 1996.
11. William James “Essays in Radical Empirism”; New York: Longmans, Green & Co., 1912.

KETEVAN TSKHVARIASHVILI

Reinterpretation of the Theory of Experience in American Pragmatism

Summary

It is generally agreed that the most important single influence on the course of Western philosophical thinking since the early eighteenth century was the appeal to *experience* as the touchstone for judging all claims to knowledge and the possession of power. Unfortunately,

the understanding of experience at the hands of the classical British empiricists was quite limited and was, in fact, as Dewey claimed, largely “unempirical”. On the older view, experience was confined to the deliverances of the senses in atomistic fashion; it was set in opposition to reason and, since what is sensed was taken to be certain and incorrigible, the result was that “experience” came to be a purely private domain standing between us and the so-called external world. The watchword was, what we experience is “experience” and the world is well lost. The American philosophical vision put an end to that way of thinking. Experience, among other things, was shown to be intimately connected with “knowing how” to respond to situations and indeed with the entire range of habits formed in the interaction between the self and the world.

The pragmatists expressed serious doubts about the “empirical” understanding. With the possible exception of James, whose thought is at certain points ambiguous, they rejected the identification of experience with sense taken as a clearly defined realm standing over against reason. The clearest indication of this rejection is found in the arguments advanced by Peirce and Dewey in support of the claim that experience has within it an “inferential stretch” which is inconsistent with the view that it is sealed off from reason and rational activity. They were, moreover, opposed to the belief that experience is a screen of subjectivity standing between us and the so-called external world since they regarded it as a public and reliable disclosure of that very world. Consequently, they could not subscribe to the thesis that what we experience is experience and not the world.

გაბრიელე დ'ანუნციო

ახიჯთაყვანისმსახეობი

I

დიდი ქვიშიანი მოედანი ისე ბრწყინავდა, თითქოს ზედ დაფხვნილი პემზა იყო მიმოხეული. ირგვლივ კირით შეთეთრებულ სახლებს ისეთი ალისფერი დასდებოდა, რომ ჩაქრობის პირას მისული ვეება ლუმელის კედლები გეგონებოდა. მოედნის სიღრმეში ეკლესიის სვეტები ღრუბლების ათინათს ირეკლავდა და გრანიტით ძონისფერად მოჩანდა; ვიტრაჟები ისე ელვარებდა, თითქოს მათ უკან გაჩენილი ხანძრის ალებს აბრკოლებენო; წმინდანთა გამოსახულებები ცოცხალ ფერებსა და იერს იძენდნენ; მთელი ნაგებობა დიდებული დაისის შუქზე კიდეც უფრო შთამბეჭდავად და მედიდურად დაჰყურებდა რადუზელთა სახლებს.

კაცები და ქალები აყალმაყალითა და ხელების ქნევით ქუჩებიდან ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ მოედნისაკენ. მათ სულში სწრაფად ღვივდებოდა ცრუმორწმუნეობრივი შიში; ამ უფიცი ადამიანების წარმოდგენაში ღვთის სამსჯავროს ათასგვარი საშინელი სურათი იხატებოდა; განმარტებანი, ცხარე კამათი, ცრემლნარევი ვედრება, აბდაუბდა ამბები, ლოცვები, ყვირილი გარდუვალი გრიგალის ყრუ გუგუნში ინთქმებოდა. რამდენიმე დღე იყო, რაც მზის ჩასვლის შემდეგ ცაზე სისხლისფერი ლაქები რჩებოდა, რომლებიც ღამის მყუდროებას არღვევდა, ძილს მიცემულ არემარეს ავის მომასწავებელ შუქს ჰფენდა და ძაღლების ყეფას ინვევდა.

– იაკობ! იაკობ! – ხელების ქნევით დაიძახა რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც, ეკლესიის შესასვლელის ერთ-ერთი სვეტის წინ შეჯგუფებულები, მანამდე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. – იაკობ!

ეკლესიის კარიბჭიდან გამოვიდა და მოსულეებთან მივიდა თითქოსდა ციებით დაავადებული ტანმალალი და დაღეული კაცი, რომელიც თხემზე მელოტი იყო, ხოლო საფეთქლებსა და კეფაზე აქა-იქ გრძელი ნითური თმები ჰქონდა. ოდნავ ცხვირისაკენ გადახრილი და გაურკვეველი ფერის წვრილი ჩავარდნილი თვალები გზნებით უელავდა. ზედა ყბის ორი წინა კბილი აკლდა, რის გამოც, ლაპარაკისას – მისი პირი და მოძრაობისას ნაწვეტებული ნიკაპი, აქა-იქ თხელი თმით, ბებერი ფავნუსის იერს იძენდა. მისი სხეულის დანარჩენი ნაწილი გასაცოდავებული ჩონხი იყო, რო-

მელსაც ტანსაცმელი მთლიანად ვერ ფარავდა; ხელები, მაჯები, მკლავების შიდა მხარეები და მკერდი ინდიგოთი და ქინძისთავის წვერით გაკეთებული მუქი ლურჯი ნაჭდევებით ჰქონდა დაფარული, წმინდა ადგილების მონახულების, მიღებული ღვთის წყალობისა და აღსრულებული აღთქმების სამახსოვროდ.

როდესაც ეს ფანატიკოსი სვეტებთან მდგომ ჯგუფს მიუახლოვდა, შეშფოთებულმა ადამიანებმა ცხარე კითხვები დააყარეს: – რაო? რას ამბობს დონ კონსოლო? მხოლოდ ვერცხლის მკლავს გამოიტანენ? განა მთელი ქანდაკების გამოსვენება არ აჯობებს? როდის დაბრუნდება პალურა სანთლებით? მხოლოდ ასი გირვანქა თაფლის სანთელი? მხოლოდ ასი გირვანქა? ზარების რეკვას როდის დაიწყებენ? რაო? რაო?

იაკობის ირგვლივ აყალმაყალმა იმატა; შორს მდგომებიც ეკლესიისკენ მიიწევდნენ; ყოველი ქუჩიდან მოედანს მოაწყდნენ და იქაურობა ხალხით აივსო. და იაკობი კითხვებზე მიუგებდა და თან ისე ხმადაბლა, თითქოსდა რაღაც საიდუმლოს ამხელდა, თითქოსდა შორეულ მომავალში მოსახდენს წინასწარმეტყველებდა. ამბობდა, რომ მაღლა ცაში სისხლის გუბეში დაქადნებული ხელი იხილა, შემდეგ – შავი საბურველი, მერე კი – მახვილი და საყვირი...

– გვიამბე! გვიამბე! – აქეზებდნენ სხვები და, სასწაულების მოსმენის დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილები, ერთმანეთს უცქერდნენ; ამასობაში მისი ნაამბობი ელვისებური სისწრაფით ვრცელდებოდა ამ მრავალრიცხოვან თავყრილობაში.

II

დიდი მენამული ზოლი ჰორიზონტიდან ნელ-ნელა ზენიტისაკენ მიიწევდა და თანდათან ცის მთელ კაბადონს ედებოდა. სახლების სახურავებზე თითქოსდა გავარვარებული ლითონის ალმური იდგა; და დაისის შუქზე გოგირდისფერი და იისფერი სხივები მკრთომარე ლივლივს ერწყმოდა. კიდევ უფრო კაშკაშა გრძელი ზოლი მდინარის ჯებირისაკენ მიმავალი გზისკენ ეშვებოდა; და ქვემოთ კი, მაღალ და ტანწვრილ ალვის ხეებს შორის, მოკამკამე მდინარე მოჩანდა; ხოლო მის იქით – მოშიშვლებული ველი, სადაც ნისლში მომცრო ქვიანი კუნძულებივით ოდნავ ჩანდნენ სარაცინების ძველი კოშკები. ჰაერი ახლად მოთიბული თივის მხუთავი ოხშივარით იყო გაჟღენთილი, რასაც დროდადრო ფოთლებში დამპალი აბრეშუმის ქიის სუნი დაჰკრავდა. სივრცეს ხმამაღალი ჟივილ-ხივილით მერცხლების გუნდი სერავდა და მდინარის ნაპირებიდან სახლების ღარებისაკენ მიფრინავდა.

ამ თავყრილობაში ხმაურს დროდადრო მოლოდინის დუმილი ენაცვლებოდა. ყველანი წამდაუნუნებულად პალურას სახელს ახსენებდნენ; ზოგჯერ მოუთმენლობისაგან გაცხარდებოდნენ ხოლმე. მდინარის გაყოლებით გზაზე ორთვალა ჯერაც არ ჩანდა; ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სანთლები, რის გამოც დონ კონსოლო აყოვნებდა რელიკვიების გამოსვენებას და ავი სულების განდევნას, არადა, საფრთხე უკვე კარს იყო მომდგარი. საქონლის ჯოგივით თავმოყრილ ადამიანებს პანიკური შიში ეუფლებოდათ და ცისკენ გახედვას ვერავინ ბედავდა. ქალებს გმინვის ხმა აღმოხდებოდათ

ხოლმე; და ამ ხმის გაგონება ყველას თავზარს სცემდა და განსჯის უნარს ართმევდა.

როგორც იქნა, დაიწყო ზარების რეკვა. ვინაიდან ბრინჯაოს ზარები საკმაოდ დაბლა იყო დაკიდებული, მათი პირქუში ხმა უშუალოდ მათ თავს ზემოთ გაისმოდა და ზარებზე ყოველ ჩამოკვრას შორის არ ცხრებოდა მისი გაბმული ხმა.

– წმინდაო პანტელეიმონ! წმინდაო პანტელეიმონ!

ეს სასონარკვეთილთა და შველის მომლოდინეთა ერთსულოვანი შეძახილი იყო. მუხლმოდრეკილები, ზეაპყრობილი ხელებით, გაფითრებული სახეებით ევედრებოდნენ:

– წმინდაო პანტელეიმონ!

ეკლესიის კარიდან ორი საცეცხლურის ბოლში გახვეული ელვარე ოქრომკედით მოქარგული იისფერი ანაფორით შემოსილი დონ კონსოლო გამოვიდა. ვერცხლის წმინდა მკლავი თავს ზემოთ აღეპყრო და ხმამალა შესთხოვდა ზეცას ლათინურ ენაზე:

– *Ut fidelibus tuis aeris serenitatem concedere digneris. Te rogamus, audi nos.*

რელიკვიის გამოჩენამ ბრბოს მოზღვავებული ალტაცების გრძნობები მოჰგვარა. თვალზე ყველას ცრემლი მოადგა; და ამ ელვარე ცრემლის მიღმა იმ სასწაულებრივ ზეციურ ნათებას ხედავდნენ, რომელსაც კურთხევის ჟესტით ზემოთკენ აწეული სამი თითი გამოსცემდა. ალისფერ შუქზე ვერცხლის მკლავი კიდევ უფრო დიდი ჩანდა, რომლის ძვირფას თვლებზე დაისის ათინათი ათასგვარად ბრჭყვიალებდა: საკმევლის სურნელი სწრაფად აღწევდა ღვთისმოსავთა ნესტოებს.

– *Te rogamus, audi nos!*

როდესაც წმინდანის მკლავი ისევ შეიტანეს ეკლესიაში და ზარების რეკვაც შეწყდა, ჩამოვარდნილ წამიერ სიჩუმეში სულ ახლო მდინარის გაყოლებით მიმავალი გზიდან ეჭვნების ხმა გაისმა. და ყველანი სწრაფი ნაბიჯით იმ მიმართულებით დაიძრნენ, და თან ზოგი იძახდა:

– ეს პალურაა, სანთლები მოაქვს! პალურა მოდის! ეს პალურაა!

ხრემიან გზაზე ჭრაჭუნით ორთვალა მოინევდა მასში შებმული მძიმე ნაცრისფერი ფაშატით, რომლის უნაგირზეც ლამაზი ნახევარმთვარის მსგავსი თითბერის ქიმი ბრწყინავდა. როდესაც იაკობი და სხვები ორთვალას მიუხლოვდნენ, თვინიერი პირუტყვი შეჩერდა ნესტოების ხმამალალი ფრუტუნით. და იაკობმა, რომელიც იქ პირველი მივიდა, უმაღვე დაინახა ორთვალაზე დასვენებული პალურას სისხლში ამოსვრილი სხეული, და ხალხისაკენ გაშვერილი ხელების ქნევით ყვირილი მორთო:

– მკვდარია! მკვდარი!

III

სამწუხარო ამბავი ელვისებურად მოედო იქაურობას. ორთვალას ირგვლივ შეგროვდნენ, ყელს იღერებდნენ, რომ უკეთ დაენახათ, და ახლა, ამ ამბით გაოგნებულები და სისხლის დანახვისას ადამიანებისთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილები, აღარ ფიქრობდნენ ზეციურ რისხვაზე.

– მკვდარია? ნუთუ მკვდარია?

პალურა გულადმა იწვა ფიცრებზე, დიდი ჭრილობით შუბლშუა, დასახიჩრებული ცალი ყურით, ხელებზე, თეძოებსა და ცალ ბარძაყზე იარებით. თვალის ფოსოებიდან სულ ქვემოთ და ქვემოთ, ნიკაპსა და კისერზე სისხლის წვრილი ნაკადი ჩამოსდიოდა, პერანგს ეშხეფებოდა და მკერდზე, ტყავის ქამარზე, შარვლის ტოტებზე მუქ და ელვარე კოშტებს ტოვებდა. იაკობი სხეულისაკენ დაიხარა; მის ირგვლივ შემოკრებილები კი ელოდნენ; გაოგნებულ სახეებს რიჟრაჟის შუქი ანათებდა; და, ამ დუმილის დროს მდინარის ნაპირებიდან ბაყაყების საამო ყიყინი ისმოდა, და ღამურები აქეთ-იქით ისე დაფრინავდნენ, რომ ღამის ადამიანთა თავებს ეხებოდნენ. უცებ იაკობი წელში გაიმართა ცალ ღანვზე სისხლის ლაქებით და დაიძახა:

– არაა მკვდარი. ჯერ კიდევ სუნთქავს.

ბრბოს გუგუნის ყრუ ხმამ გადაუარა; ახლო მდგომებმა ყელი მოიღერეს, რომ უკეთ დაენახათ; შორს მდგომნი წინ მოინევენენ ყვირილით. ორმა ქალმა ტოლჩით წყალი მოიტანა; ერთმაც – ტილოს ნაჭრები; ერთმა ყმანვილმა – ღვინით სავსე გოგრა. დაჭრილს სახე მოჰბანეს, შუბლზე სისხლისდენა შეუჩერეს, თავი აუწიეს. გაისმა ხმამალალი კითხვები, თუ რა მოხდა. ასი გირვანქა სანთელი არ ჩანდა, მხოლოდ სანთლის მცირეოდენი ნამწვი იყო დარჩენილი ორთვალას ფიცრების ღრიჭოებს შორის.

საერთო მღელვარებაში სულ უფრო და უფრო მნარე და ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. და ვინაიდან ყველა მდინარის მეორე ნაპირის მიღმა მდებარე სოფელ მასკალიკოს მიმართ ოდინდელი სიძულვილით იყო გამსჭვალული, იაკობმა ხრინწიანი ხმით გესლიანად თქვა:

– სანთლები ალბათ წმინდა გონსელვოსათვის დასჭირდათ?

ამის თქმა ცეცხლზე ნავთის გადასხმას უდრიდა. ამ გამხეცებულ ადამიანებში მრავალი წლის განმავლობაში მათი ერთადერთი კერპის ბრმა და უზომო თავყვანისცემის შედეგად დაგროვილმა ეკლესიურმა სულისკვეთებამ იფეთქა. ფანატიკოსის სიტყვებს ერთმანეთს გადასცემდნენ. და დაისის ტრაგიკულ მენამულ შუქზე, აღშფოთებული დიდძალი ხალხი აჯანყებული ზანგების ტომს ჰგავდა.

საბრძოლო ყიჟინასავით, ყველა წმინდანის სახელს იძახდა. განსაკუთრებით გაცხარებულები მდინარის გაღმელებს წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ, ხელებს მათკენ იშვერდნენ და მუშტებს უღერებდნენ. შემდეგ, მრისხანებითა და დაისის შუქით ანთებული ფართო და მძლავრი სახეები, ოქროს საყურეებითა და შუბლზე გადმოყრილი ქოჩრით, რაც მათ ბარბაროსების უცნაურ იერს სძენდა, აი, ეს განრისხებული სახეები, სიბრალულისაგან შეურბილდათ, როდესაც მზერა მწოლიარეს მიაპყრეს. ორთვალასთან რამდენიმე ქალი მომაკვდავს თავს დასტრიალებდა და ცდილობდა, იგი გონს მოეყვანა: ალერსიანი ხელებით ჭრილობებს უხვევდნენ, სახეზე წყალს ასხურებდნენ, გაფითრებულ ტუჩებთან ღვინიანი გოგრა მიჰქონდათ, თავქვემ უფრო რბილ ბალიშს უდებდნენ.

– პალურა, საბრალე პალურა, ვერც კი გვპასუხობ?

იგი პირაღმა იწვა თვალდახუჭული, ნახევრად დაბჩენილი პირით, ღანვებსა და ნიკაპზე მუქი ღინღლით, ახალგაზრდული ნაზი სილამაზით, ტკივილისაგან და-

ჭიმულ ნაკვებებში მაინც რომ გამოსჭვიოდა. შუბლზე გადახვეული ტილოდან საფეთქელზე სისხლის წვეთები ჩამოსდიოდა; პირის კიდეებთან ვარდისფერი ქაფის ბუშტულაკები უჩნდებოდა და ხან ყელიდან ჩახრინწული წყვეტილი სტვენის ხმა აღმოსდებოდა. მის ირგვლივ სულ უფრო მატულობდა მზრუნველთა, შეკითხვის მიმცემთა და აღგზნებულ სახეთა რიცხვი. ფაშატი დროდადრო თავს იქნევდა აქეთ-იქით და სახლების მიმართულებით ჭიხვინებდა. გარდუვალ გრიგალს რომ უძღვის წინ, იმგვარმა მღელვარებამ მოიცვა იქაურობა.

უცებ მოედნის მიმართულებით ქალის კივილი მოისმა, დედის კივილი, რომელიც უცებ ჩამოვარდნილ სრულ სიჩუმეში უფრო ხმამაღალი გეგონებოდა. და სიმსუქნისაგან აქოშინებულმა უშველებელმა ქალმა ყვირილით გაიარა ბრბო და ორთვალასთან მიიჭრა. ვინაიდან მძიმე იყო და აძრომა არ შეეძლო, შვილის ფეხებთან დაემხო, თან აქვითინებული აღერსიანად მიმართავდა უკიდურესი გამწარებისა და უბედურების ისეთი ცხოველური გამოვლინებით, რომ ყველას ჟრუანტელმა დაუარა და ყველამ პირი იბრუნა.

– ზაკეო! ზაკეო, ჩემო გულო! ჩემო სიხარულო! – გაუთავებლად მოთქვამდა ქვრივი, დაჭრილ ფეხებზე კოცნიდა და თავისკენ მიწაზე ექაჩებოდა.

დაჭრილი შეინძრა, პირი ძლიერი ტკივილისაგან მოელრიცა, თვალები ზევით აღაპყრო, მაგრამ უთუოდ ვერაფერს დაინახავდა, ვინაიდან თვალზე ერთგვარი სველი ლიბრი გადაჰკროდა. ქუთუთოების კიდეებიდან დიდრონი ცრემლები გადმოსცვივდა, რომლებიც ნელ-ნელა ჩაუდიოდა ლოყებსა და კისერში; პირი ისევ ღია ჰქონდა; ყელიდან ამოსული სუსტი სტვენის ხმაში იგრძნობოდა, რომ ამაოდ ცდილობდა, რაღაც ეთქვა. ირგვლივ მყოფნი დაჟინებით ევედრებოდნენ:

– თქვი, პალურა! ვინ დაგჭრა? ვინ დაგჭრა? თქვი! თქვი!

და ამ კითხვებით გულისწყრომა მატულობდა, მრისხანება მძაფრდებოდა, ყოველი მათგანის სულში ჩაბუდებული შურისძიების ძველისძველი წყურვილი კიდევ უფრო ღვივდებოდა.

– თქვი, პალურა! ვინ დაგჭრა? გვითხარი! გვითხარი!

მომაკვდავმა კვლავ გაახილა თვალები, და ვინაიდან მჭიდროდ ეჭირათ მისი ხელები და შესაძლოა იმიტომაც, რომ ადამიანური სითბო იგრძნო, წამით გონს მოვიდა და თვალებში შუქი ჩაუდგა. გაურკვეველად ბუტბუტებდა რაღაცას და პირიდან სულ უფრო მეტი სისხლისფერი დუჟი გადმოსდიოდა. ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო სიტყვების გარჩევა. გაუგებარი იყო, რას ამბობდა. სიჩუმეში მშფოთვარე ბრბოს მძიმე სუნთქვის ხმა ისმოდა და თვალები ყველას ერთი და იმავე გზებით უელავდა, ვინაიდან ყოველი მათგანი ერთი და იმავე სიტყვის გაგონებას ელოდა

– მა... მა... მა... სკალიკო.

– მასკალიკო! მასკალიკო! – დაიყვირა იაკობმა, რომელიც დახრილი იყო და გულდასმით უსმენდა მომაკვდავის პირიდან აღმობდომილ ყოველ სუსტ ბგერას.

ამ ყვირილს საშინელი ღრიალი მოჰყვა. ბრბოს ჯერ ქარიშხლის გუგუნმა გადაუარა. შემდეგ, როდესაც ამ აღიაქოთში ბრძოლისაკენ მონოდების მძლავრი ხმა

გაისმა, ხალხი ჩქარა დაიშალა. ყოველ მათგანს მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა, ის სურვილი, რომელმაც უმაღლესი გაიღვა მათ გონებაში: რამე საბრძოლო იარაღი ემოვათ. დაისის ავის მომასწავებელ შუქზე, მღელვარე სოფლის დაეღეჭტროებულ სურნელში ყველას გონებას სისხლიანი ბედისწერის გარდუვალობის განცდა დაუფლებოდა.

IV

და ცელებით, ნამგლებით, ცულებით, თოხებით, თოფებით შეიარაღებული ლაშქარი ეკლესიის წინ შეიკრიბა. კერპთაყვანისმცემლები ყვიროდნენ:

– წმინდაო პანტელეიმონ!

ხმაურით შეშინებული დონ კონსოლო საკურთხეველის ტიხრის უკან დაიმალა. ფანატიკოსთა ჯგუფმა იაკობის წინამძღოლობით მთავარ სამლოცველოში შეაღწია, აკლდამის ბრინჯაოს გისოსი გატეხა, სადაც წმინდანის ქანდაკება ინახებოდა. სამი ლამპარი, რომლებშიც ზეთითუნის ზეთი ენთო, საამოდ კიაფობდა ტაძრის ნესტიან ჰაერში; შუშიან კარადაში ქრისტიანული კერპი ბზინავდა მზიური შარავანდედით შემკული თეთრი თავით, ხოლო კედლებს მდიდრული შემონირულობანი ფარავდა.

როდესაც ეკლესიის სვეტებს შორის ოთხი გოლიათის მხრებზე აზიდული კერპი გამოჩნდა და ცისკრის შუქზე აელვარდა, მომლოდინე ბრბო მღელვარე განცდამ შეიპყრო და სიხარულისაგან ყველას სახე გაუნათდა. და კოლონა დაიძრა. და მათ ზემოთ წმინდანის ვეება თავი ქანაობდა და ორი ცარიელი თვალის ფოსოთი წინ იყურებოდა.

ახლა უკვე ცაზე ცისკრის მკრთალ და თანაბარ შუქზე დროდადრო უფრო მკვეთრად მოჩანდა მოწყვეტილი კუდიანი ვარსკვლავის კვალი; ღრუბლის ქულები სცილდებოდნენ ერთ გაბმულ ზოლს და ნელ-ნელა ლივლივით იფანტებოდნენ. უკან რადეზა მთლიანად ჩანდა ნაცრის გროვასავით, რომელშიც ცეცხლი ღვიოდა, და წინ მკრთალ ბინდში სოფლის სანახები ინთქმებოდა. იდუმალების ხმოვანებას ბაყაყების ხმამალალი ყიყინი ერწყმოდა.

მდინარის პირას გზაზე გავლას ხელს უშლიდა პალურას ორთვალა, რომელიც ცარიელი იყო, მხოლოდ აქა-იქ ჯერ კიდევ ემჩნეოდა სისხლის კვალი. სიჩუმეს დროდადრო მრისხანე წყევლა-კრულვა არღვევდა.

იაკობმა დაიძახა:

– წმინდანი ამაზე დავდოთ!

და ქანდაკება ფიცარნაგზე მოათავსეს და ფონზე გასავლელად გასწიეს. ასე მოიტოვა ზურგს უკან საზღვარი საბრძოლო რაზმმა. მის რიგებში ზოგჯერ ლითონის ანარეკლები ელავდა; მხეფები კაშკაშა ფერებად იფანტებოდა და შორს, ალვის ხეებს შორის, ოთხკუთხა კოშკების მიმართულებით წყლის მთელი წითელი ნაკადი ალივით გიზგიზებდა. პატარა ბორცვზე ზეთისხილის ხეებს შორის მძინარე მასკალიკო ოდნავ მოჩანდა. ძაღლები აქა-იქ გააფთრებული დაჟინებით უყეფდნენ ერთმანეთს. ფონის გავლის შემდეგ რაზმმა მთავარი გზიდან გადაუხვია და ყანების გავლით სწრაფი ნაბიჯით პირდაპირ გასწია. ახლა ვერცხლის ქანდაკება კვლავ მხრე-

ბით მიჰქონდათ; იგი ზემოდან დაჰყურებდა ადამიანებს სურნელოვან და ციციანათელებით მოფენილ მაღალ თავთავებს შორის.

უცებ ამდენი შეიარაღებული ადამიანის დანახვით თავზარდაცემული მწყემსი, რომელიც თივის ფარდულში იჯდა ყანის სადარაჯოდ, მაღლობისაკენ გაიქცა და ხმამაღალი ყვირილი მორთო:

– მიშველეთ! მიშველეთ!

და ზეთისხილის ჭალაში ყვირილის ექო დატრიალდა.

ახლა კი რადუზელები შეტევაზე გადავიდნენ. ხეების ტოტებსა და გამხმარ ლერწმებს შორის ვერცხლის წმინდანი ქანაობდა, რტოებზე მირტყმისას წკრიალა ხმას გამოსცემდა და ყოველ ჯერზე, როდესაც მისი დავარდნის საფრთხე იქმნებოდა, ელვარედ ბზინავდა. ერთიმეორის მიყოლებით ათი, თორმეტი, ოცი თოფის გასროლა სეტყვასავით დაატყდა სახლების რიგს. ისმოდა ლანალუნის, მერე ყვირილის ხმა; შემდეგ ხმამაღალი ორომტრიალი შეიქმნა: ზოგი კარი იღებოდა, ზოგი – იკეტებოდა, ცვიოდა მინის ნამსხვრევები, ეცემოდა და იმსხვრეოდა შაშკვლავის ქოთნები. მოიერიშეების კვალდაკვალ თეთრი კვამლი მშვიდადად მიინევადა გავარვარებული ლაჟვარდისაკენ. ბრძოლის ჟინით შეპყრობილები, დაბრმავებულები, გაიძახოდნენ:

– სიკვდილი მათ! სიკვდილი!

კერპთაყვანისმცემელთა ჯგუფი წმინდა პანტელეიმონის გარშემო შეგროვდა. უშვერად აგინებდნენ წმინდა გონსელვოს და თან ცელებსა და ბალის დანებს იქნევდნენ.

– ქურდო! ქურდო! მათხოვარო! სანთლები! სანთლები!

სხვა ჯგუფები წალდის დარტყმით უტევდნენ სახლებს. და როგორც კი კარებს ანჯამებიდან მოაცილებდნენ და ნამსხვრევებად აქცევდნენ, მოსაკლავად გამზადებული პანტელეიმონელები ღრიალით შერბოდნენ შიგ. ნახევრად შიშველი ქალები კუთხეებში იყუჩებოდნენ და შებრალებას ითხოვდნენ; დარტყმებისაგან რომ დაეცვათ თავი, იარაღს ავლებდნენ ხელს, რის გამოც თითებს ისერავდნენ; იატაკზე ეცემოდნენ და ფარდაგებისა და ზენრების გროვაში გორავდნენ, საიდანაც მათი თალგამით ნაკვები დაღეული სხეულები მოჩანდა.

ტანმაღალ, გამხდარ, წამონითლებულ, გაძვალტყავებულ, ხოცვა-ჟლეტის მეთაურ იაკობს ბრძოლის ჟინი მრისხანე იერს სძენდა; იგი წამდაუნუმ ჩერდებოდა და ყველას თავს ზემოთ დიდი ცელის მძლავრი ქნევით ბრძანებებს იძლეოდა. თავშიშველი, სხვებზე წინ უშიშარად მიინევადა წმინდა პანტელეიმონისათვის. მას ოცდაათზე მეტი კაცი მიჰყვებოდა. და ყოველი მათგანი ისეთი ყრუ და ბუნდოვანი განცდით იყო შეპყრობილი, თითქოს ხანძრის შუაგულში მიაბიჯებდა მერყევე ნიადაგზე ცეცხლმოდებულ თაღქვეშ, რომელიც სადაც იყო ჩამოიქცეოდა.

მაგრამ უკვე ყოველი მხრიდან მორბოდნენ დამცველები, მულატებივით ძლიერი და მუქკანიანი სისხლმონყურებული მასკალიკოელები, რომლებიც გრძელი დასაკეცი დანებით იბრძოდნენ; და მუცელში ან ყელში დანის ყოველ დარტყმას რაღაც ხორხისმიერ ხმას აყოლებდნენ. ორთაბრძოლა თანდათან ეკლესიის მიმართულე-

ბით ინაცვლებდა ადგილს; სამიოდე სახლის სახურავიდან უკვე ცეცხლი ბრიალებდა; შიშით თავზარდაცემული ქალებისა და ბავშვების გაოგნებული ჯგრო ზეთისხილის ჭალისაკენ თავგუდმოგლეჯილი გაიქცა.

ახლა მამაკაცები, რომლებსაც ხელს აღარ უშლიდა ცრემლი და ვედრება, კიდევ უფრო მეტი გააფთრებით ჩაებნენ ხელჩართულ ორთაბრძოლაში. ჟანგისფერი ცის შუქზე მინას გვამები ეფინებოდა. ისმოდა დავარდნილების კბილებს შუა გამოცრილი გინება; და ამ აურზაურს მაინც ფარავდა რადუხელების შეძახილები:

– სანთლები! სანთლები!

მაგრამ ეკლესიის უზარმაზარი და ლურსმნებით მოჭედული მუხის კარი ჯერ კიდევ ჩარაზული რჩებოდა. მასკალიკოელები მას დარტყმებისა და ცულებისაგან იცავდნენ. ხელჩართული ბრძოლის შუაგულში აულეღვებელი და თეთრი ვერცხლის წმინდანი აქეთ-იქით ირხეოდა; იგი ჯერაც მხრებით ეკავა ოთხ გოლიათს, რომლებიც თავფეხიანად სისხლში იყვნენ ამოსვრილნი, მაგრამ მაინც ზეზე იდგნენ. და მოერიშეთა უზენასი მიზანი ის იყო, რომ თავიანთი კერპი მტრის საკურთხეველზე დაედგათ.

ვიდრე მასკალიკოელები საოცარი გააფთრებით იბრძოდნენ ქვის საფეხურებზე, იაკობი უცებ იქაურობას გაეცალა, ნაგებობას მოუარა იმის გასარკვევად, თუ სად იყო ისეთი დაუცველი ადგილი, საიდანაც საყდარში შეღწევას შეძლებდა. როდესაც მიწიდან არც ისე მაღლა მცირე ლიობი დაინახა, აძვრა იქ და კლაკვნა-კლაკვნით ძლივს გააძვრინა შიგ თავისი თეძოები და გრძელი სხეული. უფლის სახლის ღამეულ სიცივეში საკმევლის თავბრუდამხვევი სურნელი იფრქვეოდა. სიბნელეში ხელების ცეცებით, კედლებს მიღმა ბრძოლის ხმაურით იკვლევდა გზას კარისაკენ: და თან სკამებს ეჯახებოდა და პირისახე უზიანდებოდა. მუხის მკვრივ მერქანზე უკვე ისმოდა რადუხელთა წალდების გაშმაგებული დარტყმის ხმა, როდესაც იაკობი რკინის იარაღით საკეტების გაეტეხვას შეუდგა; აქომინებული სულს ძლივს ითქვამდა, გული გამალებით უცემდა, რის გამოც ძალა ეცლებოდა, თვალები უჭრელდებოდა, იარები ტკივილს აყენებდნენ და ტანში თბილი ჟრუანტელი უვლიდა.

– წმინდა პანტელეიმონ! წმინდა პანტელეიმონ! – ჩახლერილი ხმით ყვიროდნენ გარეთ მისიანები, რომლებიც გრძნობდნენ, რომ კარს თანდათან იმორჩილებდნენ, და გაორმაგებული ძალით ურტყამდნენ ცულებსა და ნიხლებს. კარს იქით სხეულების მძიმედ ვარდნისა და მძლავრი დარტყმის ხმა ისმოდა, როდესაც ვინმეს დანას თირკმელებში გაუყრიდნენ და იქვე მიაკლავდნენ. და იაკობს ეჩვენებოდა, რომ მისი გამალებული გულისცემისაგან ეკლესიის მთელი ნეფი გუგუნებდა

უკანასკნელი ძალისხმევის შემდეგ კარი გაიღო. რადუხელებმა გამარჯვების ყიჟინა დასცეს, შიგ შეცვივდნენ, მოკლულების გვამებზე გადაიარეს და ვერცხლის წმინდანი საკურთხევისაკენ წაიღეს. და ნეფის უკუხეთში შემოჭრილმა შუქის მოლივლივე ანარეკლებმა ოქროს ქორკანდლები და მაღლა ორგანის მილები ააელვარა. და ამ აღისფერ ნათებაზე, რომელიც ახლომახლო ცეცხლმოდებული სახლებიდან შემოაღწევდა ხოლმე, ახალი ბრძოლა გაჩაღდა. მჭიდროდ გადაფსკვნილი სხეუ-

ლები აგურის იატაკზე ეცემოდნენ, ველარ სცილდებოდნენ ერთმანეთს, აქეთ-იქით ტრიალებდნენ, გააფთრებით იკლაკნებოდნენ, სკამებს ეტაკებოდნენ, მათ ქვეშ და საჭამნოს საფეხურებზე გორავდნენ, სააღსარებოს კიდეებს ეჯახებოდნენ. უფლის სახლის მყუდრო სიღრმეში რკინის შემზარავი ხმა ისმოდა, როდესაც დანა ხორცში აღწევდა და ძვლებზე სხლტებოდა; ისმოდა ადამიანის სასიცოცხლო ნაწილში მიყენებული ჭრილობით გამონვეული ყრუ გმინვა, დარტყმისაგან გამსკდარი თავისქალის ხრაშუნი, მათი ბლავილი, ვისაც სიკვდილი არ უნდოდა და მათი ცხოველური სიხარული, ვინაც მოკვლა შეძლო; ყოველივე ეს ცხადად ისმოდა. და ამ ორომტრი-ალში საკმევლის საამო სურნელი იფრქვეოდა.

ვერცხლის კერპს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული საკურთხეველში დაბრძანების პატივი, ვინაიდან მტრის ალყაში იყო მოქცეული. რამდენიმე ადგილას დაჭრილი იაკობი ცელს იქნევდა და მის მიერ დაკავებული საფეხურების არც ერთი გოჯის დათმობას არ აპირებდა. მხოლოდ ორნი იყვნენ გადარჩენილნი მათგან, ვისაც წმინდანი მოჰქონდა. ვეება თეთრი თავი დაღვრილი სისხლის გუბებზე მთვრალივით ქანაობდა. მასკალიკოელები გააფთრებით იბრძოდნენ.

უცებ წმინდა პანტელეიმონი იატაკზე დაეცა ჟღარუნით, რაც იაკობს დანის წვერზე უფრო მწარედ მოხვდა გულში. ცელიანი წითური წმინდანის ასანევად გაინია, მაგრამ ერთმა დიდრონმა კაცმა ბალის დანის დარტყმით მტერი იატაკზე დაანარცხა, რომელიც ორჯერ შეეცადა, წამომდგარიყო და ორმა დაარტყმამ ისევ ძირს დასცა. სახესა და მკერდზე და ხელებზე სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა; მხრებსა და მკლავებზე თეთრად მოუჩანდა დანის ღრმა დარტყმით გაშიშვლებული ძვლები; და ის კი მაინც ჯიუტად ცდილობდა, კვლავ ამდგარიყო. სიცოცხლის ასეთი შეუპოვარი სიმტკიცით გაშმაგებულმა სამმა, ოთხმა, ხუთმა გლეხმა ერთად ატაკა დანა მუცელში, საიდანაც შიგნეულობა გადმოცვივდა. ფანატიკოსი გულადმა დაეცა, კეფა ვერცხლის ქანდაკებას დაარტყა და უცებ პირქვე გადაბრუნდა ლითონზე პირისახით, წინ გაშვერილი ხელებითა და მოკეცილი ფეხებით. და ასე დაემხო წმინდა პანტელეიმონი.

*იტალიურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
სალომე კენჭოშვილმა*

ბაბიქიჯე დ'ანუნციოს „ჯაჩხთაყვანისმცემლები“: ქრისტიანობის
ღმრთაობის პრაქტიკა

XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის იტალიური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის – გაბრიელე დ'ანუნციოს (1863–1938) შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია მისი ნოველების კრებულს „პესკარას ნოველები“ (1902), მათში იდეურ-მხატვრული თავისებურებებით განსაკუთრებით გამოირჩევა ნოველა „კერპთაყვანისმცემლები“ („Gli idolatri“). ამ ნოველაში უაღრესად სპეციფიკური პრობლემატიკა აღძრული; კერძოდ, მორალურ-ეთიკურ ძრილობა გაშუქებული, ერთი მხრივ, ქრისტიანული რელიგიისა და, მეორე მხრივ – კოლექტიური ფსიქოზის, ცრუმორწმუნეობისა და ფანატიზმის ურთიერთმიმართების საკითხი. ნოველის ავტორი გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ყოველივე იმას, რასაც ადამიანები რწმუნისა და ეკლესიის სახელით აკეთებენ, არსებითად არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან და, რეალურად, ცრუმორწმუნეობისა და კერპთაყვანისმცემლობის გამოვლინებაა.

„კერპთაყვანისმცემლებში“ დ'ანუნციო გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ქრისტიანული რელიგიის პროფანირებული გამოვლინების მიმართ. ნოველის როგორც სათაური, ასევე მთლიანად ტექსტი იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ჩვენ წინაშე არა ნამდვილი ქრისტიანები, არამედ ერთგვარი წარმართები, კერპთაყვანისმცემლები არიან.

„კერპთაყვანისმცემლებში“ ხმელთაშუაზღვისპირეთის დაბალი ფენებისათვის დამახასიათებელი დაახლოებით ისეთივე წეს-ჩვეულებები და ზნეობრივი ნორმებია ასახული, როგორც პროსპერ მერიმეს ნოველაში „მატეო ფალკონე“ (3, გვ.46). მერიმეს ნოველის მსგავსად, დ'ანუნციოს ნოველაში ვენდეტას, შურისძიებას შელახული „ღირსების“ გრძნობის წარმართობის დროიდან მომდინარე გაგება განაპირობებს.

ამბის თხრობა იმთავითვე ორი შეუთავსებელი სანყისის – მორწმუნეობისა და ცრუმორწმუნეობის – ჩვენებით იწყება. კოლექტიური ფსიქოზით შეპყრობილი მორწმუნენი ერთთავად მიეშურებიან ეკლესიისაკენ იმის გამო, რომ რამდენიმე დღე ზედიზედ მზის ჩასვლისას ცა სისხლისფრად იღებება, რაც მათ უფლის სამსჯავროს ავის მომასწავებელ ნიშნად მიაჩნიათ.

თანდათან ისიც ირკვევა, რომ ეკლესიის წინ შეკრებილი რადუზელები ქრისტიანული სარწმუნოების კიდევ ერთ უმთავრეს მცნებას – „ნუ შეიქმნი კერპებს“ – არღვევენ. ისინი მხოლოდ თავიანთი მრევლის მფარველ წმინდა პანტელეიმონს სცემენ პატივს, ხოლო მასკალიკოელები – მხოლოდ წმინდა გონსელვოს; ამასთანავე, ორივე მრევლი მტრულადაა განწყობილი მეორე სოფლის მფარველი წმინდანის მიმართ. მასკალიკოელები სასიკვდილოდ დაჭრიან რადუზელების მიერ სანთლების ჩამოსატანად გაგზავნილ კაცს, რის გამოც რადუზელები მასკალიკოელებისად-

მი შურისძიების გრძნობით განიმსჭვალეზიან. ასე შემოდის ნოველაში კიდევ ერთი არაქრისტიანული და წარმართული თემა – შურისძიებისა და სისხლის აღების ატავისტური გრძნობის გამოვლინება. თოფებით, დანებითა და ნამგლებით შეიარაღებული მრევლი ეკლესიიდან წმინდა პანტელეიმონის ვერცხლის ქანდაკებას გამოასვენებს და შუალამისას თავს ესხმის მძინარე მასკალიკოს. მიმხდურები, თავიანთი მფარველი წმინდანის სახელით, უმოწყალოდ ხოცავენ ყველას, მათ შორის – ქალებს.

დ'ანუნციო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წმინდა ადგილი – ეკლესია – პროფანირებულია, კერპთაყვანისმცელობისა და უაზრო სისხლის ღვრის ასპარეზადაა ქცეული. შურისმაძიებელი რადუზელები ცდილობენ, მასკალიკოს ეკლესიაში შეაღწიონ, მის საკურთხეველში აღმართული წმინდა გონსელვოს ქანდაკება დაამხოონ და მის ნაცვლად თავიანთი მფარველი წმინდანის ქანდაკება დააბრძნონ. ეკლესიაში გამართული ბრძოლის დროს მიმხდურებს წმინდანის ქანდაკება ხელიდან უვარდებათ; ამავე დროს, კლავენ შურისმაძებელთა მეთაურს – იაკობს.

ნოველაში აღძრული ქრისტიანული სარწმუნოების „ხალხური“ თუ წარმართული გაგების თემა დამახასიათებელია იმ დროის იტალიური ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურისათვის. დ'ანუნციოს უფროსი თანამედროვის – ჯოვანი ვერგას – ცნობილ ნოველაში „წმინდანთა ომი“ სიცილიაზე ორი მრევლის – წმინდა პასკუალესა და წმინდა როკოს – თაყვანისმცემელთა შუღლის ამბავია აღწერილი. ამავე თემას ეძღვნება დ'ანუნციოს მეგობრის, იტალიელი მხატვრის, ფრანჩესკო პაოლო მიკეტის (1851-1929) ფერწერული ტილო „აღთქმა“, რომელზეც ქალაქ მილიანიკოს მფარველი წმინდანის – პანტელეიმონისადმი მიძღვნილი დღესასწაულია ასახული. „აღთქმისადმი“ მიძღვნილ თავის აღტაცებით სავსე სტატიკაში დ'ანუნციო სურათზე გამოსახულ მლოცველებს, რომლებიც ეკლესიის იატაკზე გართხმულნი მიინევენ წმინდანის ქანდაკებისაკენ, ქვემძრომებს ადარებს (1, გვ.461).

შეიძლება ითქვას, რომ დ'ანუნციომ გააერთიანა და ახლებურად წარმოაჩინა ჯოვანი ვერგას ნოველის – „წმინდანთა ომი“ – და ფრანჩესკო მიკეტის სურათის – „აღთქმა“ – თემები და ქრისტიანობის პროფანირების წარმართულ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება. მართლაც, „კერპთაყვანისმცემლებში“ რელიგიურად მოტივირებული „ძალადობა ორგისა და გამმაგების, ბახუსისა და ბაკქანალიების შთაბეჭდილებას ტოვებს“ (2, გვ.227).

მართალია, ნოველაში ფორმალური ნიშნით პროტაგონისტი ფანატიკოსთა თავკაცი და ხოცვა-ჟლეტის მომწყობი იაკობია, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, ნაწარმოების ნამდვილი მთავარი სუბიექტი ბრმა იმპულსებით გაერთიანებული კოლექტივი, რელიგიური ტრანსით შეპყრობილი ბრბოა. ნოველაში სასწაულის მოლოდინითა და შურისძიების წყურვილით შეპყრობილ ადამიანთა დახასიათებისას ვხვდებით სემანტიკურად მონათესავე სიტყვების ისეთ რიგს, როგორცაა „ბრბო“, „ფანატიკოსთა ჯგუფი“, „ცრუმორწმუნე“, „ფანატიკოსი“, „ბარბაროსი“, „კერპთაყვანისმცემლები“.

ერთი წმინდანის ფანატიკურად თაყვანისმცემელ და სხვათა მფარველი წმინდანის მოძულე მრევლს მწერალი შავკანიანთა ტომს ადარებს, ანუ მათ, ვინც ჯერ კიდევ წარმართები არიან: „დაისის ტრაგიკულ მენამულ შუქზე აღშფოთებული დიდძალი ხალხი აჯანყებული ზანგების ტომს ჰგავდა“. ასევე შურისმაძიებელთა

წარმართობას უსვამს ხაზს ავტორი, როდესაც მათ ბარბაროსებს ადარებს: „მრის-ხანებითა და დაისის შუქით ანთებული ფართო და მძლავრი სახეები, ოქროს საყურეებითა და შუბლზე გადმოყრილი ქოჩრით, [...] მათ ბარბაროსების უცნაურ იერს ანიჭებდა“. რადუზელთა მსგავსად, მასკალიკოელებიც ველურობისა და ეგზოტიკურობის ნიშნით ხასიათდებიან: „უკვე ყოველი მხრიდან მორბოდნენ დამცველები, მულატებივით ძლიერი და მუქკანიანი სისხლმონყურებული მასკალიკოელები“.

ქრისტიანობის გაუკუღმართების, ცრუმორწმუნეობის, ფანატიზმისა და შურისძიების მოტივების სრულყოფილ წარმოჩენას ნოველაში განსაკუთრებულად უწყობს ხელს ამბის გაშლა ერთგვარ მითოლოგიზებულ გარემოში და ამ ტოპოსში ინფერნალური სახეების გამოყენება: „ირგვლივ კირით შეთეთრებულ სახლებს ისეთი ალისფერი დასდებოდა, რომ ჩაქრობის პირას მისული ვეება ღუმელის კედლები გეგონებოდა“. ეს აღწერა „ღვთაებრივი კომედიის“ ჯოჯოხეთის კონოტაციებს იძენს; იქმნება იმის განცდა, რომ ტოპოსი, სადაც კერპთაყვანისმცემლები მოქმედებენ „ჯოჯოხეთია, წყეული ადგილია“ (3, გვ.46).

ასევე მითოლოგიური კონოტაციებითაა აღბეჭდილი ნოველაში ფერთა სიმბოლიკა, კერძოდ, წითელი ფერის სემანტიკური ველი („მენამული“, „დიდი მენამული ლაქა“, „გიზგიზებდა“, „ხანძრის ნაპერწკალი“, „დაისის ტრაგიკული შუქი“, „სისხლიანი ბედისწერა“, „სისხლმონყურებული“ და სხვ.) იმ განცდას განაპირობებს, რომ „კერპთაყვანისმცემლები“ სისხლისღვრის ტოპოსში იმყოფებიან.

მითოლოგიზებას ექვემდებარება აგრეთვე ფანატიკოსთა მიერ მოწყობილი „ხოცვა-ჟლეტის მეთაურის“ – იაკობის გარეგნობა, რომელიც მითოლოგიურ არსებასთან – ფავნუსთანაა მიმსგავსებული: „ზედა ყბის ორი წინა კბილი აკლდა, რის გამოც ლაპარაკისას – მისი პირი და მოძრაობისას ნაწვეტებული ნიკაპი, აქა-იქ თხელი თმით, ბებერი ფავნუსის იერს იძენდა“. იაკობი თავისი სხეულის ცალკეული იკონოგრაფიული ნიშნებით („მისი სხეული [...] გასაცოდავებული ჩონხი იყო“), ამასთანავე იმით, რომ ცელს იქნევს, რომლითაც თავის ირგვლივ ყველას ანადგურებს, სიკვდილის შუასაუკუნეობრივ სიმბოლურ გამოსახულებათა ინტერტექსტში აღიქმება.

საგულისხმოა, რომ ნოველაში არის მომენტები, როდესაც რადუზელებისა და მათი მეთაურის – იაკობის – ქმედება შურისძიების დროს ისეა მოწოდებული, თითქოს ჩვენ წინაშე ჭეშმარიტი გმირები იყვნენ: „ყოველი მათგანი ისეთი ყრუ და ბუნდოვანი განცდით იყო შეპყრობილი, თითქოს ხანძრის შუაგულში მიაბიჯებდა მერყევე ნიადაგზე ცეცხლმოდებულ თაღქვეშ, რომელიც სადაც იყო ჩამოიქცეოდა“.

იაკობისა და შურისმაძიებელთა შეუპოვრობისა და თავგანწირული ბრძოლის აღწერა ტიპოლოგიურად დიდად არ განსხვავდება პროტაგონისტის სიკვდილისაგან საგმირო და მარტვილოლოგიურ ტექსტებში. იაკობის მსგავსად, ისეთ შეუპოვრობას ამჟღავნებს მისი ერთ-ერთი თანამებროლი, თითქოს ჩვენ წინაშე საგმირო ეპოსის გმირი იყოს: „მხრებსა და მკლავებზე თეთრად მოუჩანდა დანის ღრმა დარტყმით გაშიშვლებული ძვლები; და ის კი მაინც ჯიუტად ცდილობდა, კვლავ ამდგარიყო“. მაგრამ ამ ადამიანთა ქმედების შეუსაბამობა როგორც საგმირო ეპოსის, ასევე ქრისტიანობის ეთიკის აქსიოლოგიასთან, მთლიანად აუქმებს გმირობის შარავანდედს და ქმნის იმის განცდას, რომ ეს თავგანწირვით მებრძოლი ადამიანი-

ბი, სინამდვილეში, ატავისტური ინსტინქტებით მოქმედი ანტიგმირები არიან, ვინაიდან მათ მიერ არჩეული შურისძიების გზა ეწინააღმდეგება როგორც საგმირო კოდექსის, ასევე ქრისტიანობის პრინციპებს, რომელიც განკითხვის უზენაეს უფლებას მხოლოდ უფალს უტოვებს. იაკობის ანტიგმირულ ბუნებას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ მას სხეულზე არა ბრძოლებში მიღებული იარების, არამედ წმინდა ადგილთა მონახულების სამახსოვროდ, მისივე ხელით ქინძისთავის წვერით დასერილი და ინდიგოთი გაფერადებული ლურჯი დალების კვალი ამჩნევია.

ამგვარად, „კერპთაყვანისმცემლებში“ ცხადად იკვეთება ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება რელიგიური საფარვლით შემოსილი ფანატიკური კოლექტივიზმის, კერპთაყვანისმცემლობის და შურისძიების მიმართ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი თანამედროვეობის იდეოლოგიურ და სარწმუნოებრივ ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთმტრობისა და სისხლის ღვრის ვითარებაში.

ლიტერატურა:

1. D'Annunzio, G. *Novelle*. Introduzione di Pietro Gibellini. Prefazione e note di Dario Redaelli. Italy: Garzanti Editore, 1995.
2. Lunardi, E. "Gabriele D'Annunzio's *Gli idolatri* at the dawn of verismo". *Forum italicum*, vol. 17, 2, 1983.
3. Sarkany, S. "*Gli idolatri* de Gabriele d'Annunzio". *Quaderni d'italianistica*, vol.3. issue 1, 1982.

SALOME KENCHOSHVILI

Gabriele D'Annunzio's "Gli idolatri": a Paradigm of Perversion of Christianity

The article is devoted to an analysis of D'Annunzio's (1863-1938) novella *Gli idolatri* which represents a paradigm of perversion of Christianity. The wide range of heroic and religious intertextuality and axiology associated with characters of the novella makes it clear that the cult of revenge, the form of justice chosen by worshipers of San Pantaleone contradicts the principles of heroism and Christianity which reserves the right on revenge only to God. In the intertext of the contemporary world, when clashes and collisions on religious ground become particularly widespread, *Gli idolatri* takes on new moral and ideological connotations, exposing anti-heroism and anti-humanism of the *War of Saints*.

Creating in the novella a quasi mythological reality D'Annunzio emphasizes a nonsense and illogic state of things in which people do not act according to the normal moral standards and are guided not by the Christian values but by atavistic and dark instincts.

ჯაო აბოიხომის ბახაჟი¹

„გამორჩენილ რგოლში“² ვიმსჯელებ ანტიკონცეპტუალურ მენტალობასა და მის ტრაიბალურ მანიფესტაციებზე. ყველა ტრაიბალისტი³ განსხვავებული ხარისხის ანტიკონცეპტუალისტია, მაგრამ ანტიკონცეპტუალური მენტალობის ყველა ადამიანი არ არის ტრაიბალისტი. ზოგიერთი მათგანი მარტოხელა მგელია (ამ სახეობისათვის დამახასიათებელი ყველაზე მტაცებელური თვისებით).⁴

ამგვარი მგლების უმეტესობა იმედგაცრუებული ტრაიბალისტია, ე.ი პიროვნება, რომელიც ტომმა (ან მისმა უშუალო გარემოცვამ) უარყო: ისინი მეტად არასანდონი არიან იმისათვის, რომ ტრადიციული კანონებით იქნენ მართულნი; და ძნელად მანიპულირებადნი იმისათვის, რომ იმართონ ტრაიბალური ძალაუფლების მიერ. რადგანაც პერცეპტუალურ მენტალობას არ ძალუძს უჩვენოს ადამიანს გზა ხსნისა, იგი, საკუთარი შესაძლებლობების ამარა შთენილი, იქცევა ინტელექტუალურ მანანნალად, რომელიც დაეხეტება, როგორც ეკლექტიკოსი⁵ მეორადი ადამიანი, ანუ იდეათა ამნაპვნელი, რომელიც ხელს სტაცებს შემთხვევით იდეებს და აქცევს მათ ახირებად; მხოლოდ ერთი რამაა უცვლელი მის ქცევაში – ხეტიალი, ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა, ნებისმიერი ჯურის ადამიანებთან მიკედლება და მათი მანიპულირებაა მისთვის ერთადერთი აუცილებლობა.

იგი სხვადასხვა დარგში თეორიულ კონსტრუქციებს ქსელავს, თვალთმაქცობს თავის დასაძვრენად, მაგრამ მას ყველაზე მეტად ეთიკურის სფერო აღავსებს სასტიკი შიშითა და საკუთარი იმპოტენციის განცდით. ეთიკა კონცეპტუალური დისციპლინაა და ღირებულებების კოდექსისადმი ლოიალობა მოითხოვს აბსტრაქტული პრინციპების მოხელთებისა და მათ კონკრეტულ აქტებსა და სიტუაციებში გამოყენების უნარს (თუნდაც ყველაზე პრიმიტიულ დონეზე, რუდიმენტული

1 თარგმანი შესრულებულია ფილოსოფიური ესეების კრებულიდან: *Selfishness without Self in: Ayn Rand, Philosophy: Who Needs It, a Signet book, 1982*. კრებულში გამოჩენილი ამერიკელი ფილოსოფოსი აჯამებს საკუთარ თვალსაზრისს ფილოსოფიის რაობის შესახებ და ასევე მსჯელობს პრობლემათა ფართო სპექტრზე.

რენდის მიხედვით, არჩევანი, რომელიც უნდა გააკეთოს ადამიანმა ფილოსოფიასთან მიმართებაში, „როგორი“ ფილოსოფიის არჩევანს გულისხმობს – რაციონალურს, გაცნობიერებულს და, შესაბამისად, პრაქტიკულს და მის საპირისპიროს – არაიდენტიფიცირებულს და, შესაბამისად, მკვდარ ფილოსოფიას. მოაზროვნე ადამიანი ირჩევს პირველს.

2 ეს ესეი (*The Missing Link*) ზემოთ მითითებულ კრებულშია დაბეჭდილი.

3 აქ რენდი გულისხმობს იმ სახის პოლიტიკური სისტემის მიმდევარს, რომელშიც ბატონობს ნეპოტიზმი, სადაც ჩამოყალიბებულია მემკვიდრეობითი ხასიათის მატარებელი ამ თუ იმ გვარის პოლიტიკური ბატონობა.

4 რენდის რემინისცენცია ჰერმან ჰესეს ცნობილ რომანზე „ტრამალის მგელი“.

5 ანუ ის, ვინც უპრინციპოდ აკონინებს ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულებებს (რედაქტორის შენიშვნა).

მორალური ბრძანებების აღსრულების დონეზე). ტრაიბალისტ მარტოხელა მგელს არ შეუძლია, ამ ღირებულებებს ჩასჭიდოს ხელი. ის ხვდება, რომ ეს ის ნაკლია, რომელიც მან ყველაფრის ფასად უნდა აღმოფხვრას – და ეს ის საკითხია მისთვის, რომელიც ურთულესია გასაყალბებლად. მისი კაპრიზები, რომლებიც თან დაჰყვება, იცვლება მომენტიდან მომენტამდე ან წლიდან წლამდე, საშუალებას არ აძლევს მას, სამუდამოდ მიუძღვნას საკუთარი თავი სხვის მიერ არჩეულ ღირებულებას. კაპრიზები მას საპირისპიროს კეთებას აიძულებს; უშლის ხელს, მარადიული კავშირი დაამყაროს ვინმესთან ან რამესთან. პიროვნული ღირებულებების გარეშე ადამიანს ვერ ექნება წარმოდგენა მართებულსა და მცდარზე. ტრაიბალისტი მარტოხელა მგელი ნებისმიერ შემთხვევაში ამორალურია.

ყველაზე ნათელი სიმპტომი, რომელიც ამგვარ ადამიანს ახასიათებს ისაა, რომ მას არასოდეს შეუძლია საკუთარ თავზე, საკუთარ ქცევებს ან ამგვარ ქმედებათა სტანდარტებზე მსჯელობა. საკუთარი თავის შეფასება მოითხოვს რომელიმე აბსტრაქტულ ღირებულებასთან ან გარკვეულ ღირსებასთან დაკავშირებას – მაგალითად: „მე ვარ კარგი იმიტომ, რომ ვარ მოაზროვნე“, „მე ვარ კარგი იმიტომ, რომ ვარ პატიოსანი“. მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა სხვისგან ნასწავლი ეს გამონათქვამი ღირებულების სტანდარტს, იგი მაინც მოიცავს ძირითად მორალურ პრინციპს – ღირებულება, რომელიც სხვას ეკუთვნის, უნდა მოიპოვო.

ამორალური ადამიანის თვითშეფასების იმპლიციტური ფორმულა (ამის იდენტიფიცირებასა და აღიარებაზე იგი იშვიათად თუ წავა) არის: „მე ვარ კარგი, რადგანაც ეს მე ვარ“.

დაახლოებით სამიდან ხუთ წლამდე ასაკის შემდეგ (ანუ გონებრივი განვითარების შემეცნებითი დონის ამაღლების შემდეგ), ეს უკვე აღარ არის თვითშეფასების ან სიამაყის გამომხატველი გამონათქვამი; ამის სრულიად საპირისპიროდ, ეს არის ვაკუუმის, შებოჭილი ცნობიერების აღსარება საკუთარი უსუსურობის გამო, რადგანაც მას აღარ ძალუძს რაიმე პიროვნული ღირებულებისა თუ ღირსების მოპოვება.

ამ შემთხვევის აღრევა ფსიქოლოგიურ სუბიექტივიზმში დაუშვებელია. ფსიქოლოგიურ სუბიექტივიზმს არ შეუძლია გამოხატოს სრულად თავისი ღირებულებები ან დაამტკიცოს მათი ობიექტური მდგრადობა, თუმცა პრაქტიკაში ის მტკიცე და ღრმად ერთგულია მათ მიმართ (გასათვალისწინებელია, რომ ამას თან სდევს საშინელი ფსიქოეპისტემოლოგიური სირთულე). ამორალისტს არ გააჩნია სუბიექტური ღირებულება, მას საერთოდ არ აქვს ღირებულება. ყველაფერი ის, რასაც იგი ამბობს შეფასებისას არის – „ეს კარგია, რადგან მე მომწონს ეს“, „ეს სწორია, რადგან ეს მე გავაკეთე“. რას წარმოადგენს ამ გამონათქვამებში „მე“? – იგი მოუხეშავი ფიზიკური სხეულია, რომელსაც მუდმივად მართავს შფოთვები.

ამგვარ მაგალითებს ხშირად ვხვდებით: მწერალი, რომელსაც სჯერა, რომ მის მიერ უძველესი ბანალური ამბების კვლავ გადამღერება სიახლეა, რადგანაც ეს მან დაწერა; აბსტრაქციონისტი, რომელსაც სჯერა, რომ მისი ნათხაპნი მაიმუნის კუდის ნათხაპნზე უკეთესია, რადგანაც ეს მან შექმნა; ბიზნესმენი, რომელიც ქირაობს

მლიქვნელებს, რადგანაც ისინი მას მოსწონს; პოლიტიკურ „იდეალისტს“, რომელიც აცხადებს, რომ რასიზმი კარგია, თუკი მას (მისი არჩევანით) უმცირესობა ახორციელებს, მაგრამ ცუდია თუ ამას უმრავლესობა სჩადის – ნებისმიერი მათგანი ორმაგი სტანდარტის ადვოკატად გვევლინება.

მაგრამ ზნეობის ეს იაფფასიანი შემცვლელიც კი მოჩვენებითია. ამორალისტს არ სწამს, რომ „მე კარგი ვარ, რადგან ეს მე ვარ“. ეს შინაგანი პოლიტიკა გაუცნობიერებელი თავდაცვაა მისი უღრმესი, ვერასოდეს ვერიდენტიფიცირებული/სახელდებული განჩინებისა: „*მე არამც და არამც არა ვარ კარგი*“.

სიყვარული არის ღირებულებებისთვის გაცემული პასუხი. ამორალისტის თვითშეფასება ვლინდება მის არანორმალურ მოთხოვნილებაში, რომ შეიყვარონ (მაგრამ არა ამ სიტყვის რაციონალური მნიშვნელობით) – „*შეიყვარონ მისთვის*“, ე.ი. *უმიზეზოდ*. ჯეიმს თავართი¹ ამჟღავნებს ამგვარი აუცილებლობის ბუნებას: „არ მინდა, რაღაცის გამო შემიყვარონ. მე მინდა, ჩემ გამო შემიყვარონ – არა იმის გამო, რა მაქვს, რას ვამბობ ან ვფიქრობ. ჩემ გამო – არა ჩემი სხეულის ან გონების, ან სიტყვების, ან საქმეების, ან ქცევების გამო“.² თუმცა, როდესაც მას ცოლი ეკითხება: „*მაგრამ მერე ღ. შენ თვითონ რა ხარ?*“ – მას არ აქვს პასუხი.

აი, მაგალითი რეალური ცხოვრებიდან: წლების წინ ერთ ძალიან ჭკვიან , მაგრამ მისტიციზმით შეპყრობილ მოხუც მწერალ ქალბატონს ვიცნობდი, იგი დამძიმებული, გაღიზიანებული, მარტოსული და ძალიან უბედური იყო. მისი შეხედულებები სიყვარულსა და მეგობრობაზე ჯეიმს თავარტის მსგავსი იყო. როცა ჩემი რომანი „პირველწყარო“³ გამოსცეს, მას ვუთხარი, რომ ძალიან მაღლიერი ვიყავი რედაქტორ არჩიზალდ ოგდენისა , რომელიც დაემუქრა გამომცემლებს სამსახურიდან დათხოვნი, თუკი ჩემს წიგნს არ გამოსცემდნენ. მან მომისმინა თავისებური სკეპტიკური და გამკიცხავი გამომეტყველებით და შემდეგ თქვა: „*არაა საჭირო, მისი მაღლიერი იყო. მას ეს შენთვის არ გაუკეთებია. მან ეს თავისი კარიერული წინსვლისთვის გააკეთა, იგი ფიქრობდა, რომ ეს კარგი წიგნი იყო*“. მისმა სიტყვებმა შოკი მომგვარა, ვკითხე კიდევ, თუ რას გულისხმობდა ამ სიტყვებში, ნამდვილად მერჩივნა, ოგდენს ეფიქრა, რომ ჩემი წიგნი უხეირო იყო , მაგრამ მაინც ებრძოლა მისი გამომცემისთვის. მან არაფერი მიპასუხა ჩემს კითხვაზე , საუბრის თემა შეცვალა და წლები დამჭირდა იმისათვის, რომ მისი ნათქვამი გამეზიარებინა.

მსგავსი ფენომენი, რომელმაც ჩემი დაბნეულობა გამოიწვია, შეიძლება ვიპოვოთ პოლიტიკაში. კომენტატორები ხშირად არწმუნებენ პოლიტიკოსებს, რომ ქვეყნის ინტერესები მათ პირად ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს და ამ გზით უნდა გაუწიონ ოპონენტებს წინააღმდეგობა. ასე წვრილმან მექრთამეებს კი არ არწმუნებდნენ, არამედ კარგი რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსებს. რას ნიშნავს ეს? თუ პოლიტიკოსს კომენტატორები არწმუნებენ, რომ იგი ქვეყანას უღალატებს კომპრომისებით ან, პირიქით – ოპონენტებისათვის წინააღმდეგობის განწევით , თუ ის

1 რენდის ცნობილი რომანის „ატლასმა გაშალა მხრები“ (1957) მთავარი გმირი.

2 რენდს მოჰყავს ეს ამონარიდი რომანიდან „ატლასმა გაშალა მხრები“ (Atlas Shregged).

3 “The Fountainhead”(1943). რომანი ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა 2012 წელს გამომცემლობა „არეტეს“ მიერ.

არ არის დარწმუნებული, რომელი რჩევაა მართალი და რომელი მცდარი, მაშინ მან საკუთარი შეხედულებები თავად უნდა გადაამოწმოს, არა ქვეყნის ინტერესებიდან, არამედ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, რადგანაც, რაც უნდა გადაწყვიტოს, იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისსავე პიროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.

მაგრამ ეს მიდგომები გულისხმობს კონცეპტუალურ ცნობიერებას, რომელიც იდეებს სერიოზულად უდგება, ე.ი თავის შეხედულებებს რეალური პრინციპებიდან გამომდინარე აყალიბებს. შემეცნებით ცნობიერებას არ ძალუძს ირწმუნოს, რომ იდეები შეიძლება ყველასათვის პიროვნული მნიშვნელობის მქონე იყოს. ეს თვითნებური არჩევანის საკითხია. ამ თვალსაზრისით, ადამიანი არ ესწრაფვის, აირჩიოს საზოგადო სამსახური, რათა გაატაროს გარკვეული პოლიტიკა – მხარს დაუჭერს ნებისმიერ პოლიტიკას, მხოლოდ იმისათვის, რომ აირჩიონ. თუ ასეა, მაშ რატომ სურს, რომ აირჩიონ? შემეცნებითი გონების პატრონი არასოდეს სვამს ამ კითხვას. ამ დიდი მიზნის არსი საზღვრებს მიღმა (დღესდღეობით ძალიან ბევრია ამგვარი პოლიტიკოსი და კომენტატორი. და რადგანაც ამგვარი მენტალობა ნორმალურად და მართებულად ითვლება, წარმოიდგინეთ, როგორია დღევანდელი კულტურის ინტელექტუალური მდგომარეობა?).

თუ ადამიანი უქვემდებარებს იდეებსა და პრინციპებს თავის „პიროვნულ ინტერესებს“, რა არის პიროვნული ინტერესები და როგორ ხდება მათი დეტერმინირება? წარმოიდგინე, როგორია გრძობებიდან დაცლილი, მე-ს გარეთ მდგომი ადამიანი, რა უმძიმეს განაჩენს გამოუტანს პოლიტიკოსი საკუთარ თავს, თუკი სამართლიანობა მის პიროვნულ ინტერესებში არ შედის (ან ადვოკატი, თუ სამართლიანობა არ არის მისი პიროვნული ინტერესი, ანდა მწერალი, რომლის მიერ აღწერილი ობიექტური ღირებულებანი არ მოიცავს მის პიროვნულ ინტერესებს). მაგრამ შემეცნებელ გონებას არ შეუძლია შექმნას ღირებულებები და მიზნები, ის უკვე მზას იღებს, შემდეგ კი სავარაუდო სვლებს აკეთებს (ყველა ამგვარი ადამიანი არ არის ტომის მართოსული მგელი – ზოგიერთი კეთილსინდისიერი, მაგრამ დაბნეულია. ფსიქოეპისტემოლოგიური სიღრმეების მიღმა მდგომია, თუმცა ყველა მათგანი ანტიკონცეპტუალური აზროვნებისაა).

მთლიანად და სრულად საკუთარ „მე“-ზე („საკუთარი თავის შეყვარების“) კონცენტრირების მიუხედავად, მართოსულ მგელს არც თვითობა აქვს, არც პიროვნული ინტერესები, ის ამწამიერი კაპრიზების ტყვეობაშია. მან იცის ამის შესახებ. დააკვირდი, როგორც კი იგი გაბედავს და დაილაპარაკებს სულიერ (ე.ი. ინტელექტუალურ) ღირებულებებზე – საგნებზე, რომელებიც პირადად მას უყვარს და აღაფრთოვანებს, მავანი შოკირებულია მისი ბანალურობით, ვულგარულობით, უფარგისობით.

ტრაიბალისტი მართოსული მგელი გრძნობს, რომ მისი „თვითობა“ განყენებულია მისი ქმედებების, საქმიანობის, იდეებისა და მიწრაფებებისგან. ერთადერთი, რასაც იგი გრძნობს ისაა, რომ მის გარეთ მდგომი ძალა – საზოგადოება ან რეალობა, ან მატერიალური სამყარო – აიძულებს იყოს ასეთი. მისი თვითობა ნიშნს მოკლებული მთლიანობაა, ე.ი არარსებულია. მისი რეალური „თვითობა“ არის

მისი ნიჭი, რომლითაც იგი სწვდება რეალობას, კამათობს, ირჩევს ღირებულებებს. ტომის მარტოსული მგლისათვის რეალობა უაზრო ტერმინია. მისი მეტაფიზიკა შედგება ქრონიკული გრძნობისაგან, რომ სიცოცხლე არის ადამიანთა შეთქმულება. მას შეუძლია, სხეულთა გროვას გადააბიჯოს, რატომ? იმიტომ, რომ საკუთარი თვითობა აიმაღლოს? – არა! იმიტომ, რომ შეივსოს (ან შეიგრძნოს) შინაგანი ვაკუუმი, რომელიც მის განუვითარებელ თვითობაშია ჩარჩენილი.

ფაქტია, რომ კაცობრიობაზე ნათქვამი უღმობელი ხუმრობის გამო იქცა იგი ეგოიზმის სიმბოლოდ. ეს აგულიანებს მას მტაცებლობისკენ – ეს ანიჭებს მას იმედს, რომ ყალბ ქმნილებას შექმნის, რადგანაც იცის, რომ ჭეშმარიტის აგება მის ძალებს აღემატება. ეგოიზმი არის ღრმად ფილოსოფიური კონცეპტუალური მონაპოვარი. ყველა, ვინც ტრაიბალისტ მარტოსულ მგელს ეგოიზმის ხატად მიიჩნევს, უბრალოდ, აღიარებს საკუთარი მენტალური ფუნქციონირების შემეცნებით ბუნებას.

თუმცა, ტრაიბალისტები მაინც ამტკიცებენ, რომ მორალი გამორჩეულად სოციალური ფენომენია და ტომის – ნებისმიერი ტომის – ნევრობა ერთადერთი გზაა ზნეობის შესანარჩუნებლად. მაგრამ ყველაზე მორჩილი ტომის ნევრებიც არ სჯობიან მათ მიერ უარყოფილ თანამომძებს – მგლებს; ისინიც ისევე ამორალურნი არიან, რადგანაც მათი ნორმა ამგვარად ჟღერს – „ჩვენ ვართ კარგები, რადგან ეს ჩვენ ვართ“.

ყველა შემეცნებითი გონებისთვის, ტრაიბალისტურისა თუ მარტოხელა მგლურისათვის, საკუთარი თვითობის გამოფიტვა და უარყოფაა დამახასიათებელი. ყველას ეშინია საკუთარ მე-ზე დაყრდნობა, ყველას ეშინია პასუხისმგებლობის ტვირთვა, ეს მხოლოდ თავად მე-მ (ე.წ. კონცეპტუალურმა გონებამ) შეიძლება იკისროს. ისინი ყოველთვის გაურბიან იმ ორ აქტივობას, რომელიც მუდმივად თანმდევია ჭეშმარიტი ეგოისტისა – ესაა მსჯელობა და არჩევანი. მათ ეშინიათ გონების (რომელიც ნებაყოფლობითია) და ენდობიან საკუთარ ემოციებს (რომელნიც ავტომატურია); მათ ურჩევნიათ ნათესავეები (სისხლისმიერი შემთხვევა) მეგობრებს (არჩევანის შემთხვევა); მათ ურჩევნიათ ტომი (მოცემულობა) გარეთ მდგომებს (ახალს); მათ ურჩევნიათ მცნებები (რაც დამახსოვრებელია) პრინციპებს (რაც უნდა გაიგო); ისინი მიესალმებიან დეტერმინიზმის ნებისმიერ თეორიას, ყველა იდეას, რომელიც უშვებს მათ ამოძახილს: „არაფერის გაკეთება არ შემიძლია!“

აშკარაა, თუ რატომ არის ალტრუიზმის მორალი ტომის ფენომენი. პრეისტორიულ ადამიანს არ შეეძლო ფიზიკურად თავის გადარჩენა, თუ ტომს არ მიეტმასნებოდა მმართველობისა და სხვა ტომებისგან თავდასაცავად. ცივილიზებურ ეპოქებში ალტრუიზმის შეღწევა არაა ფიზიკური, ფსიქოპისტიემოლოგიურია: რეალობის წინაშე მდგარი ადამიანები, რომელთაც საკუთარი შემეცნებითი მენტალობა დაუტყვევებიათ, შეუძლებელია გადარჩენენ ტრაიბალური ლიდერშიფისა და „პროტექციის“ გარეშე. თავის განირვის დოქტრინა მათ არ ეხებათ: მათ არ აქვთ წარმოდგენა მეობასა ან პერსონულ ღირებულებებზე; მათ ისიც კი არ იციან, რის შეწირვას სთხოვენ; მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ ისეთ საკითხებზე, როგორები-

ცაა: ინტელექტუალური ინტეგრირება, სიმართლის სიყვარული, პერსონულად შერჩეული ღირებულებები ან იდეისათვის საკუთარი თავის მგზნებარედ მიძღვნა. მათ ეგოიზმი განაჩენი ჰგონიათ და ერთადერთი რამ, რაც იციან, ისაა, რომ პირუტყვული, უსარგებლო კაპრიზების თავყანისცემა უნდა უარყონ; მათმა ლიდერებმა, ალტრუიზმის თეორეტიკოსებმა, უკეთესად იციან ეს. იმანუელ კანტმა იცოდა ეს; ჯონ დიუიმ იცოდა ეს; ბ. ფ სკინერმა იცის ეს;¹ ჯონ როულზმა იცის ეს. დააკვირდი, რომ ეს არ არის პირუტყვული ჟინი, ეს არის გონება, ჭკუა, საზრიანობა, მოხერხებულება, ღირსება, თვითრწმენა, თვითშეფასება, რწმენა იმისა, რომ მათი დანგრევა შეუძლებელია.

დღეს ჩვენ საზარელი სპექტაკლის მაცურებელნი ვართ: შესანიშნავ სამეცნიერო საზოგადოებაზე დომინირებს პრეისტორიული ველური მორალი. ფენომენი, რომელმაც ეს შესაძლებელი გახადა. „დახლეჩილი“ გონების გახლეჩილი ფსიქოეპისტემოლოგია გახლავთ. ამის საუკეთესო მაგალითები არიან ის ადამიანები, რომლებმაც *თავი შეაფარეს* ფიზიკალისტურ მეცნიერებებს (ტექნოლოგიას, ინდუსტრიას ან ბიზნესს) იმ იმედით, რომ აქ დაიცავდნენ თავს ირაციონალიზმისაგან, და გონების მტრებს შეატოვეს იდეების ველი. ამ ლტოლვილთა შორის კაცობრიობის საუკეთესო ტვინებია. მაგრამ ასეთი გაქცევა შეუძლებელია. ადამიანები, რომლებიც კონცეპტუალურ ინტეგრაციასა და რაციონალურ აზროვნებაში საგმირო საქმეებს სჩადიან, უსუსურნი და ანტიკონცეპტუალურნი არიან მათი ცხოვრების ყველა სხვა ასპექტში, განსაკუთრებით, ადამიანურ ურთიერთობებსა და სოციალურ საკითხებში (მაგალითისათვის, შეადარეთ აინშტაინის სამეცნიერო მიღწევები მის პოლიტიკურ შეხედულებებს).

ადამიანის წინსვლა მოითხოვს სპეციალობაში დახელოვნებას, მაგრამ სამუშაო ძალთა გამანაწილებელი საზოგადოება ვერ გადარჩება რაციონალური ფილოსოფიის გარეშე – იმ მყარი ფუნდამენტური პრინციპების გარეშე, რომელთა ამოცანაა, ავარჯიშოს კაცის გონება, რათა იგი არსებობდეს, როგორც ადამიანი, ე.ი. *მოაზროვნე*.

*ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ტარტარაშვილმა*

1 ბ.ფ სკინერი (1904-1990), ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი, რადიკალური მიმართულების ბიჰევიორისტი, ოპერანტული განპირობების თეორიის ავტორი.

არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე)

თანაშაქსოვი ხაფიჯის ბონიჰანი დისკუსიის, ჰიბიჰანი
ფიქსისა და ბანაჰვიჰიჰის მიღების თაობაზე

როდესაც შევიტყვე, რომ ავტორებმა დაამთავრეს ამ ნიგნზე მუშაობა, გამიხარდა. არ გამკვირვებია, სერიოზულმა მკვლევარებმა, მეცნიერებმა, უნივერსიტეტის პროფესორებმა ამ ამოცანას თავი რომ გაართვეს. არც ელექტრონული ვერსიები მომითხოვია ჩემი დაკავებულობის გამო, რომ გადამეხედა. უბრალოდ, დაველოდე, როდის იხილავდა დღის სინათლეს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის სახელმძღვანელოები გვაკლია ადამიანის ინტელექტუალური მოღვაწეობის ბევრ დარგში. ჩვენ მივტირით წარსულს, მათ შორის, განათლების სისტემას, გვაგინებდა კი კრიტიკული ანალიზი ვითარებისა – წარსულისა, დღევანდელისა და პერსპექტივისაც. მაგალითად, არ მოგვფიქრებია, დავგენერა სახელმძღვანელო იმ ექიმების, ინჟინრებისა და აგარარიკოსებისთვის, რომლებსაც მოუხდებოდათ პედაგოგიური მოღვაწეობა: რა მეთოდოლოგიით, რა წესითა და რიგით შეიძლება ასწავლო ოპერაციული ქირურგია, ხიდების კონსტრუირება ან მეაბრეშუმეობა? არა, კარგი ქირურგი რომ ხარ, ან არაერთი მშვენიერი ხიდის კონსტრუქტორი, ან ცნობილი მეფუტკრე თუ მეაბრეშუმე, არ ნიშნავს, რომ სწორად, გამართულად ასწავლი და აღზრდი სპეციალისტებს. ყველაფერი თვითდინებაზე იყო და, გარკვეულწილად, ახლაც არის მიშვეებული.

მავანნი ფიქრობენ, რომ აკადემიური მიდგომა არ სჭირდებოდა – ნიჭიც საკმარისია! აკი რამდენიმე ქართულმა სამეცნიერო სკოლამ გაითქვა კიდეც სახელი საერთაშორისო მასშტაბით. მაგრამ ეს ნიჭის გამოკრთომანი მონყვეტილი ვარსკვლავებით გაქრნენ და კრიზისიც ვიგრძენით, როგორც კი გარდაქმნათა და კატაკლიზმათა ხანა ჩამოდგა. ახლა ახალგაზრდა თაობებს დავაბრალეთ გაუნათლებლობა, წიგნის უსიყვარულობა, სიზარმაცე... რეფორმებიც ჰაიჰარად ჩავატარეთ. ერთმა თუ გაგვიმართლა, საყვედურს ვის ვათქმევინებთ?!

არადა, ამასობაში მსოფლიო სხვა გზით წავიდა. კაცობრიობა გამდიდრდა უნიკალური გამოცდილებით – როგორ ასწავლო, როგორ ისწავლო, როგორ დაწერო წიგნი-მონოგრაფია, კინო- თუ ტელესცენარი, მოთხრობა, ესეი, ჟურნალისტური ნარკვევი, ინტერვიუ, პიესა; როგორ მოიქცე მოულოდნელობებით დაყურსულ

ყოველდღიურ გარემოში, როგორ შექმნა შესატყვისი სამუშაო გარემო, როგორ მართო კროსკულტურული კრიტიკული სიტუაცია, როგორ იაზროვნო ადეკვატურად ტრანსდისციპლინურ განზომილებაში, როგორ შეეკამათო, როგორ დაინყო დიალოგი კონკურენტთან ან მტერთანაც კი...

ასე გაანალიზდა ის, რის ობიექტურ, მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე ადრე არ უფიქრიათ (ჩვენ ახლაც თითქმის არ ვფიქრობთ).

ახლა? ახლა ჩვენს წინაშეა ქართულ ენაზე შექმნილი წიგნი – სახელმძღვანელო – „ანალიტიკური აზროვნების შესავალი“. და იგი არ არის განკუთვნილი მხოლოდ რომელიმე დარგის სპეციალისტებისათვის, უნივერსალურია.

მართალია, მეცნიერება, ერთი მხრივ, და ფილოსოფიური, რელიგიური და მხატვრული აზროვნება, მეორე მხრივ, არსებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და თანამედროვე კულტურის ორ პოლუსსაც კი წარმოადგენენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ შორის არ არსებობს გადაულახავი ზღვარი, პირიქით, მათ ბუნებაში არსებობს ის საყრდენი, რომელზედაც ამ ორი მხარის დაახლოების ტენდენციები აღმოცენდა. ასე მოხდა ილია მართლის (ჭავჭავაძის), ფ. დოსტოევსკის, ლუკა ვოინო-იასენცკის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ალფრედ უაითჰედისა და მრავალთა სხვათა შემოქმედებაში.

ჯერ კიდევ 1986 წლის სააღდგომო ეპისტოლეში წერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: „დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი გაუძლებს მატერიალურ-ტექნიკურ შემოტევას, თუ იგი რწმენას, სიყვარულს, ადამიანებთან კეთილ დამოკიდებულებას, მაღალ ინტელექტსა და კულტურას შეინარჩუნებს. სამწუხაროდ, ადამიანი ზოგჯერ კვლავ ძველი კატეგორიებით მსჯელობს, აუცილებელი კია თანამედროვე აღქმა მოვლენებისა და ყოველივე სიახლის მიმართ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის გამოჩენა. ამაზე ფიქრობენ ღვთისმეტყველნი და ფილოსოფოსნი, სოციოლოგები და ანთროპოლოგები. დღეს ეს საკითხი აღელვებს ყველას“ (1, 70).

ამათვისაა განკუთვნილი ირაკლი ბრაჭულის, ანასტასია ზაქარიადისა და ვალერიან რამიშვილის სახელმძღვანელო „ანალიტიკური აზროვნების შესავალი“.

ვის წაადგება მისი შესწავლა? ეჭვგარეშეა, რომ ანალიტიკური აზროვნების უნარი თითოეულ ადამიანს გამოადგებოდა ცხოვრებაში, თუმცა უფრო მეტად მას, ვისაც უნდა, მიაღწიოს წარმატებას და გახდეს გამორჩეული თავის საქმიანობაში. ამისთანა ადამიანს დიდი უპირატესობა აქვს. მას შეუძლია, სხვებზე ეფექტურად და სწრაფად გადაწყვიტოს რთული ამოცანები, როგორც ცხოვრებისეული, ასევე პროფესიული, მეცნიერული, ტექნიკური და ა.შ. ასეთი უნარით აღჭურვილი ადამიანი აკეთებს სწორ, ლოგიკურად დასაბუთებულ დასკვნებს მაშინაც, როდესაც შეზღუდულ ინფორმაციას ფლობს; იგი პრობლემას ერთდროულად სხვადასხვა თვალსაწიერიდან უყურებს და ამიტომაც შეუძლია, მისი გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტი იპოვოს. ასეთი ადამიანი *ჯერ ასჯერ გაზომავს და მხოლოდ მერე გაჭრის, არც ფეხებს მიაყენებს ტყუილ ჯაფას*, თუმცა ისიც ხომ ვიცით: *სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, ცეტმა გარდავლო მთებო*.

მარტო კი არ ვიცით და გაგვიგონია, გამოგვიცდია კიდეც. ისიც, რომ ამგვარი სახელმძღვანელოების შედგენით და აზროვნებაზე ფიქრით, განსჯით და რეფლექსიით თავი არ შეგვიწუხებია აქამდე, აკი ამის დასტურია. ან *მთების გარდავლა რითაა ცუდი?*

ავტორებმა აზროვნების რუკა რომ შემოგვთავაზეს წიგნში, რა, ქართული ნეოემიგრანტების რუკა ნაკლებად მიმზიდველია, რუკა კი არა, გლობუსია – მთელი დედამიწა. ამას წინათ მიუხედავად მოვფრინავდი. ორი ქართველი ახალგაზრდა ქალი ხმამაღლა საუბრობდა მთელი გზა (ლამის მთელი ღამე) – მამაჩემმა დამირეკა, ჩამოდი, გოგო, არ გეყო ხეტიალიო? ი, მაგაი გონია ახლა ჩავალ და ლაფანყურში დავუჯღღებო... მე, გო, იტალიაში მიცხოვრია, ათენში მიცხოვრია და ახლა მაგაი გონია, იმისთვის ვბრუნდები, სოფელ შევაჭმევინო თავიო... არა, ევროპი გარეშე ღმერთმა ნუ მაცოცხლოს...

არა მგონია, ასეთი ადამიანები დაინტერესდნენ ამ წიგნით. მაგრამ ჩვენ ხომ უნდა დავინტერესდეთ ამ ადამიანების ბედითა და იღბლით და ვილოცოთ მათთვის, არა მარტო ვილოცოთ, ვუსაშველოთ კიდეც სწორი სოციალური პოლიტიკით, რომელიც ანალიტიკურ აზროვნებას უნდა ეყრდნობოდეს.

კიდეც ერთს გავიხსენებ. რა ნეგატიური განწყობით შეხვდა უნარ-ჩვევების ტესტირებითი გამოცდის შემოღებას ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი? ის, რომ მხოლოდ ტესტები არ შეიძლება იყოს გამოცდების ანუ სწავლების შეჯამების ერთადერთი ფორმა, რომ საჭიროა ალტერნატიული მეთოდების, კითხვებზე პასუხის, ამოცანების ამოხსნის, თხზულების ან, როგორც ახლა ამბობენ, ესეის დანერგა და ა. შ., ამაზე არავინ კამათობს. კამათი ამ ადამიანებს წიგნის ავტორებთანაც მოუწევთ. ამისთვის კი მათ ეს სახელმძღვანელო გულდასმით უნდა შეისწავლონ. სხვათა შორის, უნარ-ჩვევების სახელმძღვანელოების გადაშლა, ჩაჯდომა და საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების გადამონმებაც არ იქნებოდა ურიგო.

ამას ყველაფერს იმიტომ ვიხსენებ, რომ დღეს ჩვენ წინაშე წარმოდგენილი წიგნის არსებობის აუცილებლობა ყველამ დავინახოთ.

ახლა სხვა რამესაც მივხედოთ: სამწუხაროდ, ის რაც იბეჭდება და ვრცელდება დღეს სამეცნიერო, ფილოსოფიური, საღვთისმეტყველო, სამართლებრივი, მხატვრული, პუბლიცისტური, მემუარულ-ბიოგრაფიული, საცნობარო-ენციკლოპედიური, მთარგმნელობითი და სხვა ტექსტების სახით, უმეტეს შემთხვევებში, ვერ უძლებს ვერანაირ კონსტრუქციულ კრიტიკას. უხშირესად ეს ტექსტები თავადაა სოციალურად და პედაგოგიკურად დესტრუქციული და დევიაციურიც კი.

დიახ, ვფიქრობ, არა მარტო ვინრო სპეციალისტ-პროფესიონალის დასკვნარეცენზიას უნდა ვითხოვდეთ, არამედ – ანალიტიკური აზროვნების თეორეტიკოსისასაც. ჩვენი წიგნის მალაზიების დღევანდელი ყოფისათვის შეუფერებლად დამძიმებულ თაროებზე მოთავსებული პროდუქცია ჩვენი ქალაქის მძლოლების მოძრაობის წესებისადმი დამოკიდებულების პირდაპირპროპორციულად არღვევს აზროვნების, გონიერების, განსჯის, რეფლექსიის, გონივრული დისკუსიის, ლოგიკის, პოლემიკის, კრიტიკული ფიქრის, ბჭობის, კამათის, არგუმენტაციის, დასაბუთების,

გაგების, გადწყვეტილების მიღების, კონტექსტის გათვალისწინების, სააზროვნო განწყობის ცივილიზებული მსოფლიოსათვის ცნობილ და მიღებულ ყველა სტანდარტსა და კანონს.

აზროვნება სჭირდება სამეცნიერო ოპუსის ავტორსაც და ლექსის დამწერსაც, ჟურნალისტსაც და მქადაგებელსაც, გამომგონებელსაც და ძველი ამბების არქივებში მოძიებელსაც... მაგრამ რომ არ ვაზროვნებთ...

კიდევ ერთი პრობლემა: ცოდნისა და რწმენის მიმართება. უნდა ითქვას, რომ რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხს განსაკუთრებული ბედი გააჩნია კაცობრიობის ისტორიაში – ჩვენშიც.

ჩვენ აქ იმასაც გავიხსენებთ, რომ მე-20 საუკუნის ფილოსოფიაში ახლებურად დადგა ცოდნისა და რწმენის მიმართების საკითხი, რომელიც მარქსისტულ იდეოლოგიაში ერთმნიშვნელოვნად იყო გადაჭრილი ცოდნის სრული პრიმატის სასარგებლოდ. რელიგიურ რწმენას არც ნაციონალ-სოციალისტები, არც სოციალ-დემოკრატები და არც ბურჟუაზიულ იდეოლოგიათა უმეტესობა სწყალობდა. მას არც დღეს სწყალობენ და არც ჩვენში.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე დასავლეთში შეხედულება მეცნიერების ბუნებაზე პრინციპულად შეიცვალა: **უარყოფილ იქნა არა მარტო ასახვის თეორია, არამედ მეცნიერული კანონების მარადიულობაცა და ურყეობაც.**

კიდევ ერთი: მეცნიერული რაციონალურობის კლასიკური ტიპი ობიექტის შესწავლისას უკუაგდებდა ყველაფერს, რაც კი შემეცნების სუბიექტთან დ მეცნიერთან იყო დაკავშირებული. შეფასებისა და ღირებულებების სამყარო მეცნიერებისაგან გარიყული იყო. მხოლოდ მე-20 საუკუნეში შეიცვალა მდგომარეობა, როცა „აღმოაჩინეს“ (უფრო სწორად, აღიარეს), თუ რა ღრმად და ყოველმხრივია ჩაქსოვილი ადამიანის სამყარო – კაცობრიობის კულტურული ფენომენები – მეცნიერულ-ტექნიკურ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში.

რაკი მეცნიერებამ სინამდვილის ერთადერთ ჭეშმარიტ ამსახველად ყოფნის ძველ პრეტენზიაზე უარი თქვა, შესაძლებელი გახდა მეცნიერებისა და რელიგიის წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანი დიალოგი, რომლის მიზანი მართებული მსოფლგაგების ჩამოყალიბებაა.

რა არის ეს მართებული მსოფლმხედველობა? ამგვარი მსოფლმხედველობა უცილობლად უნდა მოიცავდეს როგორც კოსმოლოგიურ (გარემომცველი სამყაროს შესახებ), ასევე, ანთროპოლოგიურ (ადამიანის შესახებ, ანუ პიროვნულ, ფსიქოლოგიურ, მეტაფსიქოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ა. შ.) განზომილებებს. იგი ასევე უნდა ხსნიდეს რეალობის როგორც მატერიალურ, ისე იდეალურ ასპექტებს. თუკი მსოფლმხედველობა მარტოდენ ერთ განზომილებაში „მუშაობს“, იგი არასრულფასოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში სამყარო განიხილება ერთი, ხოლო ადამიანი მეორე მსოფლმხედველობრივ პრინციპებზე დაყრდნობით, მაგრამ ადამიანი ორ სხვადასხვა რეალობაში როდი არსებობს და მოღვაწეობს, არამედ – ერთ მთლიან რეალურ სამყაროში. წარმოდგენილი წიგნი კიდევ ბევრ ფიქრს აღძრავს.

ნიგნი სერიოზული შრომის შედეგია. მე იგი თავიდან ბოლომდე გადავფურცლე, გადავიკითხე და მივხვდი, რომ გამგები გაიგებს, დამფასებელი დააფასებს, წამკითხველი წაიკითხავს და ყველა მოგებულ დარჩება. ავტორებმა შეძლეს, ამოცანისათვის თავი გაერთვათ. იპოვეს სათანადო ენაც, სტილიც, სახელმძღვანელო აღჭურვეს აუცილებელი პედაგოგიური ინსტრუმენტალით: დავალებებით (სხვადასხვა ტიპის: უპასუხე კითხვებს, დასვი შეკითხვა, გამოთქვი მოსაზრება, გაარკვიე, გაანალიზე, მოიფიქრე მსგავსი მაგალითები და სხვ.), სასწავლო თვალსაჩინოებით – სქემატური გამოსახულებებით, მაგალითებით და ა. შ.

ნიგნში შვიდი თავია. თითოეული თავი შედგება პარაგრაფებისაგან, ხოლო პარაგრაფები – ქვეპარაგრაფებისაგან, რომელთაც ასევე აქვთ სათაური. ეს სათაურები იმგვარადაა შერჩეული, რომ სტუდენტს დაეხმარება მასში შესული სასწავლო მასალის ათვისებაში. მოვიტან რამდენიმე ნიმუშს: რატომ ვარდება აზროვნება წინააღმდეგობაში? ორი ნიგნის თეორია. კონფლიქტი ნორმაა? ივან ილიჩის სიკვდილი და დედუქციური დასკვნა. ახსნა-განმარტება არგუმენტის ნაცვლად. აზროვნების მონაწილეობა განწყობაში. ჰუმანიზმის კრიზისი და ა. შ.

ვინმე იტყვის, სად არის კრიტიკული შეფასებაო. წაიკითხეთ ეს ნიგნი და ნახავთ, რომ ის, რაც მე ვთქვი, სწორედ რომ კრიტიკაა. და რაც შეეხება შენიშვნებს, ისინი ყოველთვის სუბიექტურია და ცალკე უნდა გააცნო ავტორებს, რადგან არ მიმანია, რომ აუცილებლად უნდა გაიზიარონ.

ეს პირველი ნიგნია. ნავსი გატეხილია. ახლა ასეთი სახელმძღვანელოს შექმნა უკვე შეიძლება სხვადასხვა ასაკისა და ინტერესების სოციალური ჯგუფებისათვის საგანმანათლებლო სისტემაში. ამის მიხედვით გადანაწილდება სამომავლოდ აქცენტები, გაჩნდება ახალი მაგალითები და ილუსტრაციები, განმარტებები იმათთვის, ვინც მზად არაა ამ არცთუ მთლად მარტივად გასაგები მასალის ათვისებისათვის; უკეთეს ქალაქდზეც დაიბეჭდება, სიფერადეც გამოჩნდება შიგადაშიგ და დიდაქტიკური პედაგოგიკური მასალაც უფრო მრავალფეროვანი გახდება.

ერთსაც ვიტყვი, ალბათ, კარგი იქნება, თუ ერთ-ერთ ვარიანტად კოლექტიური სახელმძღვანელოც იქნება განხილული. ამ კოლექტივში კი ფილოსოფოსებთან ერთად სხვა სპეციალისტებიც შევლენ: მაგალითად, ლინგვოკულტუროლოგი, განათლების მეცნიერების სპეციალისტი, ფსიქოლოგი.

მარადიულ კითხვას მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სამყაროსი – რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი, ჩვენ პირველ ეტაპზე ჩავუნაცვლებთ ახალ კითხვას – რატომ იყო დღევანდლამდე – 2015 წლის 19 თებერვლამდე – დანერბილი არაერთი ნაშრომი, ნიგნი, დისერტაცია, ლექსი, ტრაქტატი და ა. შ. არაკონკურენტუნარიანი მსოფლიო ინტელექტუალურ ბაზარზე? ხოლო მეორე ეტაპზე, ჩვენი უნიკალური აზროვნების წყალობით, ვუპასუხებთ ამ კითხვას – ანუ გავაკეთებთ დანასკვს – იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ ბრაჭული-ზაქარიადე-რამიშვილის ნიგნი „ანალიტიკური აზროვნების შესავალი“.

ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, სააღდგომო ეპის-ტოლე. თბ. 1986.
2. ი. ბრაჭული, ა. ზაქარიადე. ვ. რამიშვილი, ანალიტიკური აზროვნების შესავალი, თბ., 2014.
3. Brown, Lesley. (ed.) *The New Shorter Oxford English Dictionary*. 1993.
4. Critical Thinking FAQs from Oxford Cambridge and RSA Examinations.
5. Reynolds, Martin. Critical thinking and systems thinking: towards a critical literacy for systems thinking in practice. In: Horvath , Christopher P. and Forte, James M. eds. *Critical Thinking*. New York, USA: Nova Science Publishers, 2011.
6. Mulnix, J. W. "Thinking critically about critical thinking". *Educational Philosophy and Theory*: 471. 2010.

პლატონის ახალი თახბანები

პლატონის შემოქმედება ყველა დროში აქტუალურია. არცთუ უსაფუძვლოდ, იგი დასავლური ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციის ფუძემდებლადაა მიჩნეული. ქართულ ენაზე პლატონური ფილოსოფიის ანალიზსა და ტექსტების გადმოტანას ასევე დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართულ აკადემიური სივრცეში დღესაც აქტიურად მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსის“ შენატანი. ამ წერილში მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ორ, ჩვენი მოსაზრებით, მნიშვნელოვან პუბლიკაციაზე.

პირველი გახლავთ პლატონის მეშვიდე წერილი, რომლის თარგმანი ძველი ბერძნული ენიდან, შესავალი, განმარტებები და დანართი ეკუთვნის პროფესორ ლელა ალექსიძეს.¹

პლატონის მეშვიდე წერილს მკვლევრები „ღია წერილს“ უწოდებენ იმის ხაზგასასმელად, რომ წერილის უშუალო ადრესატების – პლატონის სირაკუზელი მეგობრის დიონის ახლობლების – მიუხედავად, იგი ფართო საზოგადოებისათვისაა განკუთვნილი. პლატონის წერილი მრავალთემიანი და მრავალპლანიანია. იგი მასში ეხება საკუთრივ მეტაფიზიკურ საკითხებს ისეთებს როგორცაა ეპისტემოლოგიის, ონტოლოგიისა და შემეცნების საკითხები, მეტა და ნორმატული ეთიკის სფეროს საკითხებს, კონკრეტულად, სიკეთისა და სწორი ქცევის რაობას, ცოდნისა და ზნეობის ურთიერთმიმართების, საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქცევის რაგვარობის საკითხებს, წერილი საინტერესოა ავტობიოგრაფიული ნიაღვსვლებითაც. მიუხედავად ზემოთ ქმულისა, მეშვიდე წერილი მაინც, უმაღლეს, პოლიტიკური ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი ტექსტია. იგი პლატონის პოპულარული „სახელმწიფოსა“ და „კანონების“ ერთგვარ სინთეზადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. სახელმწიფოს მოწყობის გეგმა, კანონების მნიშვნელობა, მმართველის სახე და სხვ. იმ საკითხთა წრეა, რომელთაც ჩვენ აქ შევხვდებით.

პლატონის მეშვიდე წერილი დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტია. იგი პლატონის შემოქმედების აპოლოგიადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ამდენად, მისი თარგმანი ქართულ ენაზე, უდავოდ, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ სამეცნიერო სივრცისათვის. გამოცემა დასავლური აკადემიური სფეროსათვის დამახასიათებელი სტილითაა შედგენილი. მთარგმნელის მიერ შედგენილ შესავალს მოჰყვება თარგმანი, რომელსაც თან სდევს ინფორმაციულად დატვირთული ვრცელი სქოლიოები; გამოცემა აღჭურვილია მეთო-

1 „პლატონის მეშვიდე წერილი“, თარგმანი ძველი ბერძნული ენიდან, შესავალი, განმარტებები და დანართი ეკუთვნის პროფესორ ლელა ალექსიძეს. საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსის“ თბ; 2013.

დოლოგიურად გამართული აპარატურით – გეგმა-სარჩევით, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს წერილის შინაარსისა და სტრუქტურის გაგებასა და ათვისებას.

აღსანიშნავია, რომ, მკვლევართა მოსაზრებით, პლატონის მეშვეობით წერილი დროში დაახლოებით ემთხვევა დიალოგ „სოფისტს“, რომლის ძველი ბერძნული ენიდან პირველ ქართულ თარგმანს გვთავაზობს ფილოსოფიის დოქტორი მაია შუხოშვილი.¹ გამოცემას თან ერთვის გამოკვლევა და კომენტარები. პარალელურად წარმოდგენილია ძველი ბერძნული ტექსტი.

სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც პლატონის „სოფისტს“ ეძღვნება, მდიდარი და მრავალფეროვანია. „სოფისტზე“ წერდნენ ყველა ეპოქაში, სხვადასხვაგვარად, განსხვავებული პოზიციიდან და განსხვავებული მიზნებიდან გამომდინარე. არსებობს ფუნდამენტური კვლევები, რომლებიც უშუალოდ დიალოგის ანალიზს ეძღვნება. მათ შორის გამორჩეულია მარტინ ჰაიდეგერის „პლატონი: „სოფისტი“, პ. კოლბას „პლატონის სოფისტი“, ჰ.დ.გ. გადამერის „დიალექტიკა არაა სოფისტიკა“, დიალოგის ინტერპრეტაციაზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც ეძებენ და აანალიზებენ ანტიკური ფილოსოფიის ისტორიასა და/ან პლატონის შემოქმედებაში მის ქრონოლოგიურ და კონცეპტუალურ ადგილს; ე.დოდსისა და ს.ბლექბერნის ცნობილი კვლევები, რომლებიც პლატონის „სოციოლოგიზმის“ ფარგლებში მოქცევას ცდილობენ. ასევე კვლევები, სადაც ცალკე საკითხის სახითაა შესული „სოფისტის“ ტექსტის ანალიზი, მაგალითის სახით მოვიყვანთ პოლ რიკერის მონოგრაფიას „მეხსიერება, ისტორია, დავინყება“, სადაც „სოფისტის“ ანალიზს დათმობილი აქვს ცალკე პარაგრაფი – „მეხსიერება და წარმოსახვა“; ანალიზი, რომელიც ეხება დიალოგის ცალკეული ასპექტების განხილვას, მაგალითად, იმიტაციის ცნების ანალიზს მ. ლესაჟესა და ნ. სტრობახის კვლევებში.

სოფისტები სოკრატული ფრთის ყველაზე ღრმა იდეურ-მსოფლმხედველობითი ოპონენტები არიან. მათი კამათი წითელ ხაზად გასდევს მთელს დასავლურ კულტურას და მის არსობრივ განმსაზღვრელადაა ქცეული. პრობლემათა წრე: ადამიანი-საზოგადოება, ცოდნა დღესაც აქტუალურია. ეს კამათი თავს იყრის შეკითხვაში – ონტოლოგიზმი თუ რელატივიზმი? ეს კამათი განსაკუთრებულად კონცენტრირებული სახით თავს იყრის სოფიზმსა და ანტისოფიზმს შორის.

„სოფისტში“ პლატონის მიერ ფორმულირებულია ყოფიერების პრობლემა, ანუ ექსპლიციტურებულია ყოფიერების საზრისი, როგორც აზროვნების ძირეული საკითხი – ესაა თანამედროვე ფილოსოფიის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანი, რომელიც დასავლურ ფილოსოფიაში უმართებულოდ იქნა მივიწყებული. ყოფიერების პრობლემა მოითხოვს დროისა და მეტყველების საკითხების იმ პერსპექტივაში განმარტებას, რომელიც პლატონის „სოფისტშია“ გახსნილი. ჰაიდეგერის მიხედვით, პლატონის „სოფისტი“ აზროვნების ახალი ორიენტაციის წყაროა; ახალი ბრუნის პლატონისაკენ „ყოფიერებასა და დროში“ განხორციელდა.

გადამერის „ჰერმენევტიკული წრე“ წარმოუდგენელია პლატონის „სოფისტში“ დემონსტრირებული აზროვნების პოსტულატებისა და დრამის გარეშე. „სო-

1 „სოფისტი“, თარგმანი ძველი ბერძნული ენიდან, კომენტარები და განმარტებები. დანართი ეკუთვნის მაია შუხოშვილს. საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“თბ; 2013.

ფისტი“. ის ტექსტია, სადაც აზროვნება იშლება კონცეპტ-გმირების ქმნადობაში. ეს კი თანამედროვე ჰერმენევტიკის, ფილოსოფიური და მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მეთოდია.

ალბათ უნდა აღინიშნოს თემა, რომელიც განსაკუთრებულად ახლოა პლატონისათვის და რომელსაც იგი მეშვიდე წერილშიც ეხება. ვგულისხმობთ პლატონისეულ მიდგომას განათლებისადმი. ეს თემა განსაკუთრებულად საინტერესოა იმ ასპექტით, რომ მისი გახსნა თანამედროვე ჰერმენევტიკულ ვარიაცებში ხორციელდება. კერძოდ, ჰერმენევტიკულ მიდგომაში გაზიარებულია ტკივილისა და ტანჯვის საზრისის პლატონისეული გაგება და ამ ცნებათა მნიშვნელობა თანამედროვე განათლების სისტემაში.

პლატონის „სოფისტი“ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტია. ამდენად, მისი თარგმანი ქართულ ენაზე, უდავოდ, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

თარგმანი შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. პუბლიკაციას ღირსებას სძენს თან დართული ძველბერძნული ტექსტი. მკითხველს ეძლევა საშუალება, პარალელურად, ბნკარედ-ბნკარედ მისდიოს ქართულ და ბერძნულ ტექსტებს, დააზუსტოს, თუ როგორ „გამოიყურება“ ორიგინალში მისთვის საინტერესო ფრაზა, ცნება, სიუჟეტური ხაზი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გამართული სამეცნიერო აპარატურა – საქმის ცოდნით შედგენილი შესავალი, რომელიც პლატონის ფილოსოფიური ტექსტის საფუძვლიან ანალიზს ეთმობა; სქოლიოები, შენიშვნები, გლოსარიუმი, რომელიც გაუადვილებს პლატონით დაინტერესებულ მკითხველსა და, რაც მთავარია, სტუდენტებს, ამ ურთულესი ტექსტის სიღრმისეულ გაგებასა და შესწავლას.

რედკოლეგია

ავტორები:

ლელა ალექსიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე) – პროფესორი, წმ. თამარის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი.

არქიმანდრიტი პოლიკარპე ჩიტულესკუ – თეოლოგიის დოქტორი, რუმინეთის საპატრიარქოს წმინდა სინოდის ბიბლიოთეკის დირექტორი.

ვალერია ტრიგუეირო სანტოს ადინოლფი – სან-პაულოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ეთიკის დეპარტამენტის პროფესორი (ბრაზილია).

მამუკა ბიჭაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ირაკლი ბრაჭული – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნიკოლაე ვ. დურა – ქალაქ კონსტანცის „ოვიდიუსის“ უნივერსიტეტის პროფესორი, რუმინეთის აკადემიის ნამდვილი წევრი, (რუმინეთი).

პიერ იოვანოვიჩი – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი (საფრანგეთი).

ანასტასია ზაქარიაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სალომე კენჭოშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

ბასილი ლურიე – პროფესორი, პატროლოგიის, ჰაგიოგრაფიისა და ეკლესიის ისტორიის სამეცნიერო ჟურნალ “Scrinium“-ის რედაქტორი. სანკტ-პეტერბურგი.

კატალინა მიტიტელუ – კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი (რუმინეთი).

მღვდელი ალექსი (ქმუტაშვილი) – თეოლოგიის დოქტორი საეკლესიო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი.

ნინო ტარტარაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ქეთევან ცხვარიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

თორნიკე ქოროლიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

Authors:

Lela Alekssidze – Dr. professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Valeria Trigueiro Santos Adinolfi – PhD. Philosophy and Ethics department at San Paulo University (Brazil)

Archim. Adam (Akhaldze) – Dr. professor. Rector of St. Tamar’s University

Arhim. Policarp Chitulescu – Doctor of Theology. Holy Sinod Library-Bucharest, Romania

Irakli Brachuli – Dr. associated professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nicolae V. Dura – professor, academician, University Ovidius of Constantza (Romania)

Pierre Jovanovich – PhD in Social Sciences & Journalism (France)

Priest Aleksi Kshutashvili – Doctor of Theology in Church Law, visiting professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Salome Kenchoshvili – assistant professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Basil Lurie – chief editor of „ Scrinium“. Revue de patrologie, d’hagiographie et d’histoire ecclésiastique. St Petersburg

Catalina Mititelu – Asist. Lecturer Drd. University Ovidius of Constantza, Romania

Tornike Qoroglishvili – Doctoral student at TSU

Nino Tartarashvili – Doctoral student at TSU

Ketevan Tskhvariashvili – Doctoral student at TSU

Anastasia Zakariadze – Dr. associated professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University University

გამომცემლობის რედაქტორები: დალი გერმანიშვილი
მარინე ჭყონია
გარეკანის დიზაინერი ნინო ებრალიძე
დამკაბადონებელი ნათია დვალი

TSU Press Editors: Maia Ejibia
Marina Chkonia

Cover Designer Mariam Ebralidze

Compositor Natia Dvali

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchantchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge